მარჯორი უორდროპის მოგვიანებით მიკვლეული თარგმანები

შორენა შტოიერი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულება

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი ბელა წიფურია
თანახელმძღვანელი – ლონდონის უნივერიტეტის პროფესორი
დონალდ რეიფილდი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი
2012

სარჩევი

1. ნაშრომის სტრუქტურა 4-8

2. შესავალი 9-22

3. მარჯორი უორდროპის ქართული კოლექციის აქამდე გამოუქვეყნებელი მასალები 23-28

I.ბაბო ბაგრატიონი და მარჯორი უორდროპი 29-49

II.მარიამ საქართველოს უკანასკნელი დედოფალი და მარჯორი უორდროპი 50-61

III.მარჯორი უორდროპის ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული თარგმანები 62-98

IV.მარჯორის აღმსარებლობასთან დაკავშირებული საკითხი 99-108

V.მარჯორის მიერ დიპლომატიური მიზნით შესრულებული თარგმანები 109-114

VI.ზოგიერთი სიტყვა მარჯორისეული აქამდე გამოუქვეყნებელი მხატვრული ლიტერატურის თარგმანების შესახებ 115-127

VII.ქართული ლიტერატურისა და ენის მკვლევარნი 128-135

VIII. ქართული ეთნოგრაფიის მკვლევარნი 128-129

VIII. ქართული მითოლოგიის მთარგმნელ-მკვლევარნი 130-135

IX. უორდროპები და ქართველი მეგობრები (ოქსფორდში მიკვლეული წერილების მიხედვით) 136-153

X. ერთი უცნობი წერილის გამო და მასთან დაკავშირებული “ვეფხისტყაოსნის” ისტორია. 154-165

XI. მთარგმნელის მიერ შერჩეული თარგმნის სტილი 166-174

XII. ორიოდე სიტყვა მარჯორისეული თარგმანების აქამდე ჩრდილქვეშ ყოფნის მიზეზების გამო 175-180

3 . დასკვნა 181-183

4. დანართები 184-269

5. ბიბლიოგრაფია 269-283
6. ბიბლიოგრაფია მარჯორი უორდროპის ქართული კოლექციის მასალებისათვის 284-290
7.ბიბლიოგრაფია დანართებთისათვის 291-296

1. ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი უპირველესად მიზნად ისახავს ბოდლის ბიბლიოთეკაში, ოლივერ უორდროპის მიერ დაარსებულ მარჯორი უორდროპის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში მიგნებული მასალების წარმოჩენას, მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებული აქამდე უცნობი თარგმანების კვლევასა და ანალიზს.

ძირითად **კვლევის ობიექტს** წარმოადგენს: ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში არსებული მარჯორი უორდროპის ქართული ხელნაწერებისა და წიგნების კოლექცია; საქართველოში არსებული საცავები და ამასთან მარჯორი უორდროპთან დაკავშირებული უკვე ცნობილი, დამუშავებული და გამოქვეყნებული ლიტერატურა.

ნაშრომის სტრუქტურა. მოცემული დისერტაცია შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. ძირითადი ნაწილი დაყოფილია ქვეთავებად. ნაშრომს ახლავს დანართები და ბიბლიოთეკაში მოპოვებული მასალების ფოტოასლები, გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა და დანართების ბიბლიოგრაფია.

შესავალში დასაბუთებულია არჩეული თემის აქტუალურობა. განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, მათი გადაჭრის მეთოდოლოგიური საფუძველი. ხაზგასმულია ასევე სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

ძირითად ნაწილში – ბოდლის ბიბლიოთეკის ქართული საგანძური განხილულია მარჯორი უორდროპის კოლექციაში დაცული და აქამდე უცნობი ლიტერატურა. მასალა დალაგებულია

და გადანაწილებული გარკვეული თანმიმდევრობის მიხედვით, სადაც განხილულია 2008 წელს ოქსფორდის საცავის ხელახალი შესწავლის შედეგად მიკვლეული, აქამდე უცნობი მისი თითოეული თარგმანი. ყოველ ქვეთავს ახლავს შესაბამისი შესავალი და დასკვნა.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის შემაჯამებელი თეორიული განზოგადებები.

ნაშრომის მიზანი:

ა. ოქსფორდის ბიბლიოთეკის ქართული კოლექციის ხელახლა შესწავლა;

ბ. ბოდლის ბიბლიოთეკაში მიკვლეული, აქამდე უცნობი, მარჯორი უპრდროპის თარგმანებისა თუ წერილების (მცირე მიმოხილვის, ნაწყვეტების თუ სრული სახით) წარდგენა და მიმოხილვა/ანალიზი;

გ. ბოდლის ბიბლიოთეკაში არსებული მასალებისა თუ უორდროპებთან დაკავშირებული, უკვე გამოქვეყნებული ნაშრომებისა და მონოგრაფიების შესწავლისას მიღებული გადაწყვეტილებებისა და დასკვნების გამოვლენა.

დ. მოგვიანებით აღმოჩენილი თარგმანების ბედის კვლევა, პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რატომ „დამალა“ მარჯორიმ თარგმნილი ნაწარმოებები, ანუ რატომ არ იცოდა ქართველმა საზოგადოებამ მათ შესახებ, როცა მარჯორის მიერ წამოწყებული ნებისმიერი საქმიანობა ქართველთა საკმაოდ დიდ გამოხმაურებას ჰპოულობდა. ქართველი წარჩინებულები მას ეხმარებოდნენ კიდეც თარგმნაში და მისთვის ბუნდოვან ადგილებს უმარტავდნენ.

ე. მოგვიანებით აღმოჩენილი თარგმანების შერულების სავარაუდო თარიღის დადგენა.

ვ. ინგლისელი მოღვაწის, მარჯორი უორდროპის მიერ ქართული კულტურისადმი გაწეული ღვაწლის შესაბამისად აღწერა, მის

სახელთან დაკავშირებული იმ ინფორმაციის შევსება, რაც წლების მანძილზე უცნობი რჩებოდა ქართველი საზოგადოებისათვისა და სამეცნიერო წრისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ნაკლებად ან საერთოდ არაა შესწავლილი. მარჯორი უორდროპის 1900 – 1909 წლებში შესრულებული თარგმანები თუ საქართველოსთან დაკავშირებული ორიგინალური ნაშრომები არასოდეს გამხდარა ქართველ მეცნიერთა თუ ჟურნალისტთა განხილვის საგანი. უორდროპის ქართულ საცავში დაცული მარჯორისეული თარგმანები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შინაარსით, იმდენად რამდენადაც გვაწვდის მრავალმხრივ, მნიშვნელოვან და საინტერესო ახალ ინფორმაციას, არამედ მხატვრული თვალსაზრისითაც. ნაშრომს აქტუალურს ხდის თარგმანებთან დაკავშირებული, კვლევები და დასკვნები.

ნაშრომს აქტუალურობას ანიჭებს ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის ქართულ საცავში მიკვლეული მარჯორი უორდროპის თარგმანებისა თუ პირადი წერილების ასლები, სრული ტექსტები, რაც მკითხველის წინაშე პირველად წარდგება.

ნაშრომში წარმოდგენილია ქართული სამეცნიერო წრისათვის მეტაკლებად ცნობილი, არა მხოლოდ XIX საუკუნის ადრეული წლების სამეცნიერო ლიტერატურა, არამედ თანამედროვე უცხოელ მეცნიერთა მიერ დამუშავებული კვლევები (2011 წლის სექტემბრის) ქართული ლიტერატურისა და კულტურის შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლის საფუძველი იყო გურამ შარაძის მიერ მიგნებული მარჯორისეული, მანამდე უცნობი თარგმანების მხოლოდ დედანთან შედარება და ამ თარგმანების შეფასება. ამან მიგვიყვანა სწორედ იმ მეცნიერულ სიახლემდე, რაც უორდროპის კოლექციაში იქნა მიკვლეული 2008

წელს. მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ მარჯორის მიერ შესრულებული აღნიშნული თარგმანები მაღალ მხატვრულ დონეს აღწევს, რაც იმის თქმის საშუალებასაც გვაძლევს, რომ ისინი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში აქვს მთარგმნელს შესრულებული.

სიახლეს წარმოადგენს თვით მარჯორის მიერ შესრულებული თარგმანები და ორიგინალური ნაშრომები. მისი მიეცნიერული კვლევები და მისი პირადი შეხედულებები თუ დასკვნები. მარჯორის მიერ საქართველოსთან დაკავშირებული საქმიანობა და XIX-XX საუკუნის მიჯნაზე არსებული ინგლისურ-ქართული კონტაქტები სრულიად ახლებური კუთხითაა წარმოდგენილი. შეფასებულია მარჯორის ღვაწლი არა როგორც მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი ინგლისელი მანდილოსნისა, არამედ აქ პირველად განიხილება მარჯორის დიპლომატიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაცვის მიზნით შესრულებული თარგმანები და მისი აღმსარებლობასთან მიმართების საკითხები. პირველადაა წარდგენილი მარჯორის დამოკიდებულება საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, ასევე მოყვანილია პარალელები მარჯორისა და ისეთ ქართველ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: კირიონ ეპისკოპოსი, მარიამ საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, ბაბო (ბარბალე) ბაგრატიონი. მოცემულია მის მიერ თარგმნილი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურის თარგმანები და საუბარია ასევე ზოგადად მის მიერ შერჩეულ მთარგმნელობით მეთოდზე. ნაშრომში განხილულია *„მითი ამირანის შესახებ“* უპირველესი ინგლისური თარგმანი. პირველად გამოვლენილია მარჯორისეული ინგლისურიდან ქართულად თარგმნილი სტატია. მიკვლეულია ოქსფორდში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის ისტორია და მოყვანილია მოსაზრება ოლივერის ქართველი შეყვარებულის შესახებ. წარმოდგენილია

მარჯორისეული აქამდე უცნობი თარგმანების ასლები, რისი გადაღებაც თუ ხელით გადაწერაც მოხერხდა ქართულ ხელნაწერთა კვლევის დროს. ნაშრომის ძირითად ნაწილში განხილულია მხოლოდ აქამდე უცნობი, ქართველ მოღვაწეებთან, თუ მათთვის მიწერილი წერილები. დამუშავებულია და ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია არა მხოლოდ ქართველ, არამედ უცხოელ მეცნიერთა მიერ საქართველოსთან დაკავშირებული კვლევები, რაც მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ზოგადად ქართულ – საზღვარგარეთული კონტაქტების კვლევის დროს.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. მიკვლეული და ნაშრომში წარმოდგენილი მასალა, თუ კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ინგლისურ - ქართული ლიტერატურული ურთიერთობის, ასევე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, სპეცკურსებსა და სემინარებზე.

2. შესავალი

ქართულ - ბრიტანულ ლიტერატურულ ურთიერთობებსა და ურთიერთმიმართებებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველი წერილობითი დოკუმენტები ბრიტანეთსა და ბრიტანელებზე საქართველოში და ქართველურ მოსახლეობაზე ბრიტანეთში შუა საუკუნეებიდან გვხვდება. X საუკუნის მოღვაწე ექვთიმე ათონელმა მაქსიმე აღმსარებლის თხზულების თარგმანში „ნეტარისა თელასეს მიმართ," სემის შთამომავლებად მოიხსენია ქართველნი, ჰერნი, მეგრელნი, ხოლო იაფეტისა კი „კელტნი..., კელტქართველნი დასავლისანი..., ბრეტანელნი." (ოძელი 1998 : 20)

პირველი ბრიტანული ცნობები საქართველოზე XIII საუკუნეში ჩნდება ინგლისელი ქრონისტების – ბერთლომე ინგლისელის, როჯერ ბეკონისა და მათე პერიელის თხზულებებში. ინგლისის გარკვეული წრეები ანტიკური ლიტერატურის საშუალებით ეცნობოდნენ საქართველოს ისტორიის ეპიზოდებს, გეოგრაფიას, ყოფას. მოგვიანებით მისიონერებმა თუ დიპლომატებმა დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავებაში.

ქართული თემატიკა ინგლისურ მწერლობაში დამუშავებულია ნატალია ორლოვსკაიას, (ორლოვსკაია 1987, ორლოვსკაია 1987, Орловская 1986, Орловская 1965) ინესა მერაბიშვილის, (მერაბიშვილი 1991) დუდა გაწერელიას, (გაწერელია 1935) აკაკი გაწერელიას, (გაწერელია 1954) ირაკლი კენჭოშვილის, (კენჭოშვილი 1961) ელგუჯა ხინთიბიძის, (ხინთიბიძე 2008, Khintibidze 1996) მარიკა ოძელის (ოძელი 1998, ოძელი 2001, ქართულ-საზღვ. ლიტ. 2011) და სხვათა მიერ.

ინგლისში ქართველოლოგია, როგორც მეცნიერული დისციპლინა XIX საუკუნეში აღმოცენდა. წარმოშობით შვეიცარიელ სასულიერო პირის სოლომონ ცეზარ მალანს საქართველოთი დაინტერესების შემდეგ შეუსწავლია ქართული ეკლესიის ისტორია და გამოუცია პლატონ იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის ისტორიის“, (Malan 1866) ინგლისური თარგმანი კომენტარებითურთ. მის თარგმანებში შედის ასევე გაბრიელ ეპისკოპოსის „ქადაგებანი“. საქართველოში ყოფნისას მას თავადაც გაუცვნია ავტორი.

მის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით საუბრობს მისი ბიოგრაფიის აღმწერი არტურ ნოელ მალანი.

„23-ში, ხუთშაბათს იგი საეპისკოპოსო რეზიდენციაში გაჩერდა, ექვს ოთახიან წარმოუდგენელ სახლში, რომელიც მუხის ხეებით იყო გარშემორტყმული და საიდანაც თვალწარმტაცი ხედი იშლებოდა. გარს ეხვია ქართველი მეგობარი მღვდლები, რომელთა დახმარებით მან წმინდა იოანე (St. John xi.) ქართულად წარიკითხა.“ (Malan 1897: 274)

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა უილიამ რიჩარდ მორფილმა უკვე იცოდა ქართული, როცა 1888 წელს ეწვია საქართველოს. პროფესორ მარიკა ოძელის თქმით მისი ნარკვევი „ქართული ენა და ლიტერატურა“ ინგლისელი მკითხველისთვის ქართული ლიტერატურის ზოგადი სურათის წარმოჩენის პირველი ცდაა.

დასაფასებელია უილიამ მორფილის, (Morfill 1904); სოლომონ ცეზარ მალანის (1812 – 1894), (Malan 1897, Malan 1866); დევიდ მარშალ ლენგის (1924 – 1991), (Lang 1952, Lang 1955, Lang 1959, Lang 1957, Lang 1966, Lang 1976, Lang 1959, Lang 1962, Lang 1970, Lang 1956); უილიამ ედუარდ დევიდ ალენის (1901-1973), (Allen 1932, Allen 1970); მარი ბროსეს (1802-1880) (Historians of the Caucasus 2011) თეოდორ ედუარდ დაულინგის (1837 – 1921), (Dowling 1912) ქეთრინ ვივიანის (Vivian

1981, Vivian 1982); დონალდ რეიფილდის (დაიბადა 1942), (Rayfield 2000); დეივიდ ბარეტის (Barret 1973); ნინო უორდროპის (MS. Wardr.c.31) ჯენიფერ დონკინის (Donnkin 2004); კევინ ტუიტის (დაიბადა 1954), (Tuite 1998, Tuite 1997,Tuite 1994, Tuite 2008, Tuite 1998, Tuite 2010) და სხვა უცხოელ მეცნიერთა როლი ქართული ენის, ლიტერატურისა თუ საქართველოს ისტორიის შესწავლისას.

XIX საუკუნეში ინგლისური ქართველოლოგიის განვითარებასა და ქართულ – ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობათა გაღრმავებაში დიდი წვრილი შეიტანეს და-ძმა მარჯორი (1869 - 1909) და ოლივერ (1864 - 1948) უორდროპებმა. უორდროპების ღვაწლი ქართული კულტურის ინგლისურ გარემოსათვის გასაცნობასა და საზღვარგარეთ პოპულარიზაციაში საკმაოდ დიდია. პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე ქართულ - ევროპული ლიტერტაურული ურთიერთობების მიმოხილვისას ყურადგებას ამახვილებს და-ძმა უორდროპების მიერ საქართველოსათვის გაწეულ ღვაწლზე და დასძენს: "*ინგლისელმა და-ძმა უორდროპებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართული ლიტერტურის კვლევის საქმეში.*" (Khintibidze 1996)

უორდროპთა ღვაწლზე მიგვითითებს მათზე არსებული არა მხოლოდ უკვე ცნობილი და გამოქვეყნებული მასალები, არამედ ოქსფორდში დაცული და 2008 წლამდე უცნობი თარგმანები, ხელნაწერები, თუ ეპისტოლარული ლიტერატურა.

ოლივერი და მარჯორი იყვნენ თომას უორდროპისა და კამერონ სკოტის უფროსი და უმცროსი შვილები. ოლივერის შვილის, ნინო უორდროპის მონოგრაფიის (MS. Wardr.c.31) მიხედვით მათ ძალიან შეკრული და მოსიყვარულე ოჯახი ჰქონიათ, განშორებისას ოჯახის წევრები მუდმივად სწერდნენ ერთმანეთს და შემდეგ დიდი რუდუნებით ინახავდნენ ეპისტოლარულ მასალას.

არსებული წერილები მარჯორის საქართველოსთან დაკავშირებული მრავალი საკითხის გამოაშკარავების, საქართველოში თუ საზღვარგარეთ ლიტერატურული საქმიანობის თვალყურის დევნების საშუალებას გვაძლევს.

ოლივერ უორდროპი საქართველოს პირველად 1887 წლის აპრილს ესტუმრა. მან თითქმის მთელი საქართველო მოიარა. ბოდლის ბიბლიოთეკაში დღესაც შეიძლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადაღებული შუშაზე აღბეჭდილი ფოტოების ნახვა. (MS.Wardr. e. 35-36) (მოცემულია საქართველოში მოგზაურობისას გადაღებული ის ფოტოები, რომლებიც ჯერ არ გამოქვეყნებულა. ზოგი ფირი იმდენად დაზიანებულია, რომ მათი აღდგენაც კი შეუძლებელია. შუშაზე აღბეჭდილი ფირების კოპირება საცავის მკაცრი წესების თანახმად შეუძლებელია.)

ეს მოგზაურობა გახდა სათავე წიგნისა - „საქართველოს სამეფო, მოგზაურობა ღვინის, ქალებისა და სიმღერების ქვეყანაში.“ (Wardrop 1888) ამ ენციკლოპედიურ ნაშრომში ჩართულია თბილისის ხედების სურათები, ქართველი მწერლების პორტრეტები, ოლივერის მიერ შედგენილი საქართველოს რუკა, წიგნი შეიცავს ცნობებს საქართველოს ისტორიაზე, ლიტერატურასა და გეოგრაფიაზე. იგი მკითხველს აცნობს ქართულ ანბანს, უდარებს ინგლისურს და ეხება ქართული ენის წარმოშობის საკითხებს.

1888 წელს ივერიის კორესპონდენტი სახელად სანო აქვეყნებს ინფორმაციას აღნიშნული წიგნის შესახებ და მიუთითებს, რომ: *„მაინც ბ-ნ უორდროპის წიგნი უმთავრესად იმ აზრით არის დაწერილი, რომ ინგლისელ საზოგადოებას გაუღვიძოს სურვილი კავკასიის ნახვისა და შესწავლისა...“* (სანო 1888, გვ. 2) განსაკუთრებულ ყორადღებას ამახვილებს ოლივერის ნათქვამზე, რომ:

„საქართველო სულაც ისე შორს არ არის აქედამ, როგორცა ჰგონია ჩვენს ხალხსა – ლონდონიდამ ტფილისს ხმელეთით ერთს კვირაზე ჩახვალთ... ბოტანიკი იქნება, თუ გეოლოგი, არხეოლოგი, თუ ფილოლოგი, ყველასათვის საქართველოში ზღვის ოდენი მასალაა რომელიც ჯერ ხელუხლებელია თავ-თავიანთის მეცნიერებით." (მარკოზაშვილი 1969, №12)

მაშასადამე, ამ წიგნის მიზანი ქართული კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაცია, მისი შესწავლის სურვილის გაღვიძებაა. სწორედ ამ წიგნით გაიცნო უორდროპის გვარი ქართველმა ხალხმა და ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ გადაწყვიტა ოლივერის უმცროსმა დამ, მარჯორიმ, ქართული ენის სწავლა. როგორც ვიცით, მარჯორი სარგებლობდა მარი ბროსეს ქართული ენის თვითმასწავლებლით, სახარების ქართული თარგმანითა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონით, რაც გახდა საფუძველი მის მიერ შედგენილი ინგლისურ ქართული ლექსიკონისა: Georgian-English Word-list. (MS. Wardr. c. 1 (10) ორასი სიტყვისაგან შედგენილი ლექსიკონი უპირველესია ინგლისურ-ქართულ ლექსიკონებს შორის.

ქართველი საზოგადოება ყოველთვის ეხმაურებოდა მარჯორის მიერ წამოწყებულ ნებისმიერ ქართველოლოგიურ საქმიანობას, რაც მუდამ ირეკლებოდა ქართულ ჟურნალ - გაზეთებში. მის მიერ ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის გაღრმავების საქმეში გადადგმული ყოველი ნაბიჯი დეტალურად აღიწერებოდა და ქვეყნდებოდა. პირველი სტატია და-ძმის ქართველოლოგიური მოღვაწეობის შესახებ გვატყობინებს ინფორმაციას ქართული ხალხური ზრაპრებისა და „ვეფხისტყაოსნის" თარგმნის დაწყების შესახებ. (Литературные новости 1894) ამ გაზეთში მოყვანილია ოლივერის მიერ ივანე მაჩაბელთან გაგზავნილი წერილი, რომელიც ამჟამად ხელნაწერთა მოუზეუმშია დაცული. (ლიტ. მუზეუმი №14219-

ბ) იგივე ინფორმაციაა მოცემული ასევე გაზეთ „ივერიაში.“ (ივერია 1894: №11)

„გაზ. „კავკაზს“ ცნობა მოსვლია ინგლისიდგან, რომ საქართველოს ცნობილი მცოდნის ოლივერ უორდროპის დაი ქ-ნი ვარდროპი, თავის ძამასავით, შეუდგა ქართულის ენის შესწავლას, რათა ინგლისის საზოგადოებას გააცნოს საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, რომელსაც დასავლეთ ევროპა, მეტადრე ინგლისი, კარგად ვერ იცნობს... ეს ქალი ისე გულმოდგინედ შრომობს და შედარებით მცირე ხანში იმდენად შეითვისა ქართული ენა, რომელსაც ევროპიელები ადვილად ვერ სწალობენ, რომ უკვე გადათარგმნა ქართულ ენაზედ „ქართული სახალხო არაკები.“ ვ. აღნიაშვილისა, ცალკე წიგნად გამოცემული 1891 წელს.” (ივერია 1894, №11)

ქართველი ჟურნალისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი ლონდონიდან წერს:

„ამ ტანადს, ნარნარს, მოხდენილს, წყნარსა და მორცხვ ყმაწვილ ქალს, დიდი ცოდნა აქვს. საკუთარი შრომითა, სურვილითა და მოწადინებით შეძენილი. წარმოიდგინეთ რამდენი მეცადინეობა და გულმოდგინება უნდა გამოეჩინა, როდესაც მას ახალგაზრდობის საუკეთესო დრო უდგია, როცა გარს ათასი გასართობი, თავშესაქცევი და გასამხიარულებელი ახვევია...“ (ვაზიანი 1894, №162)

ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცოდა მარჯორი უორდროპის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სიახლე გაზეთის, ჟურნალისა, თუ პირადი მიმოწერების საშუალებებით.

როგორც მარჯორის ძმისადმი მიწერილი წერილებიდან ვიგებთ, მარჯორის მართლაც დიდი შრომა დასჭირვებია ქართულის შესასწავლად. იგი თავადვე სწერდა ძმას, რომ ქართულის სწავლა ნელა მიიწევს წინ და სიტყვების უმრავლესობა მალე ავიწყდება. ამ ენის შესწავლისათვის დიდი შეუპოვრობაა საჭირო. მან ერთხანს

ქართულის სწავლის შეწყვეტაც კი გადაწყვიტა ჯანმრთელობის გაუარესებისა და მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

1892 წელს ოლივერის ბრიტანეთის ელჩის პირველ მდივნად დანიშვნის შემდეგ, ოჯახი პეტერბურგში გადავიდა და მარჯორისაც შესაძლებლობა მიეცა, რომ ქართულის ცოდნა ალექსანდრე ცაგარელთან გაეღრმავებინა. მას უკვე შეეძლო ქართულიდან ინგლისურად თარგმნა, მაგრამ თარგმნის დროს ხშირად მიმართავდა იგი ქართველ მოძვაწეებს გარკვეული სიტყვებისა თუ ტერმინების განსამარტად. ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულია ასევე რამოდენიმე თაბახის ფურცელი, სადაც მოცემულია ილიას „განდეგილის“ რუსულად განმარტებული ქართული სიტყვები. (იხილეთ დანართი № 23)

საქართველოში ჩამოსვლისას იგი უკვე საკმაოდ კარგად საუბრობდა ქართულად. აკაკი წერეთელი გაოცებულია ინგლისელი ქალის ქართულით. იგი თავის კრებულში წერს:

“*ამას წინათ ერთი ახალგაზრდა, ცქრიალა, ინგლისელი ქალი გამაცვნეს, რომელიც კარგათ ლაპარაკობდა ქართულათ, მხოლოდ გურულით კი უქცევდა კილოს.*” (კრებული 1898 : 28)

და-ძმის ქართველოლოგიური მიღწევების შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია გაზეთებისა თუ ჟურნალების საშუალებით. 1894 წელს უკვე გაზეთი “ივერია” ქართველ საზოგადოებას ამცნობს, რომ ლონდონში გამოიცა მარჯორის თარგმანი “ქართული ხალხური ზღაპრები” (Wardrop 1894) სადაც შესულია კახური, გურული და მეგრული ზღაპრები და ოცდარვა ანდაზაა მოყვანილი.

წიგნის გამოცემის შემდეგ ანრე კარბელაშვილი და ვარლამ ჩერქეზიშვილი ივერიის ლონდონელი კორესპონდენტი ერთად სტუმრებიან უორდროპებს ლონდონის გარეუბანში, ჩიზლეხოტში.

მარჯორის თავადვე უჩვენებია ოქსფორდის უნივერსიტეტის სლავისტიკისა და ფოლკლორისტიკის პროფესორის მორფილისეული შეფასებები. მან მთარგმნელს წარმატება უსურვა და თარგმანის ენა მოხდენილად ჩათვალა:

“*დაიწყო გრამმის ბიბლიოთეკის სერიის ბეჭდვა და პირველ წიგნად გამოვიდა ქართული ეროვნული ზღაპრების კრებული, მშვენიერია და გულწრფელად ვუსირვებთ კრებულს აღიარებას. ეს ზღაპრები წავიკითხეთ, მათში ჩვენს მეგობრებს ვხედავთ ქართულ, მეგრულ და გურულ ტანსაცმლებში. ინგლისური ენა თარგმანისა დიდად სადაა, უკრიმანჭულო და ძალიან უხდება შინაარსს.*“ (კარბელაშვილი, 1987)

(ბოდლის ბიბლიოთეკის საცავში ვიხილეთ მარჯორის საქართველოში 1895 წელს ვიზიტის დროს ილია ჭყონიას მეუღლის, ანეტა ჭყონიას მიერ ნაჩუქარი ქართული ხალხური ზღაპრების ხელნაწერი. (იხილეთ <u>დანართი №1)</u> ესაა ბოდლის ბიბლიოთეკაში არსებული, კიდევ ერთი გაჩუქებული ქართული საგანძური, ისევე როგორც წმინდა გიორგი მეთორმეტის უძვირფასესი გულსაკიდი, მეჩვიდმეტე საუკუნით დათარიღებული „ვეფხისტყაოსანი,“ 1712 წლით დათარიღებული „ვეფხისტყაოსანი“ და სხვანი.)

ქართული პრესა მუდამ ადევნებდა თვალყურს უორდროპთა მიერ თარგმანზე მუშაობის პროცესს და „ვეფხისტყაოსნის“ 1912 წელს ლონდონში გამოქვეყნების ფაქტსაც დიდი სიხარულით შეხვდა. ქართული ლიტერატურისა და კულტურისადმი დიდი პატივისცემა და სიყვარული ოლივერმა მარჯორის მიერ ნათარგმნ „ვეფხისტყაოსნის“ (Wardrop 1912) შესავალში გამოავლინა. ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს გაცნობილი ოლივერი მკითხველს უხსნის რუსთაველის მსოფლმხედველობას, ძირითად მოტივებს, აწვდის ინფორმაციის ავტორსა თუ მის სახელთან დაკავშირებულ

ლეგენდებზე, პოემის უძველეს ხელნაწერებსა და მის სალექსო საზომზე. იგი იუწყება:

„ქრისტიანობიდან მოყოლებული, ქართული კარგად-განვითარებული სალიტერატურო ენაა. ისეთი მდიდარი ლექსიკა აქვს, რომ ის მეტაფიზიკური ტექსტების არა მხოლოდ სიტყვასიტყვით არამედ მარცვალ მარცვალ თარგმნის შესაძლებლობასაც იძლევა.“(Rustaveli 2005 : 12)

მარჯორი დაახლოებით თვრამეტი წელი თარგმნიდა პოემას. რამდენჯერმე მიბრუნებია ხელახლა, თვლიდა, რომ თარგმანი ხარვეზებით იყო სავსე და მის გასწორებას კიდევ ათი წელი სჭირდებოდა. ამის მიუხედავად, უორდროპისეული ნაშრომი ინგლისურ თარგმანებში საუკეთესოდ ითვლება. იგი პირველი მეცნიერულად შესწავლილი თარგმანია ოლივერისეული წინასიტყვაობითა და კომენტარებით. მთარგმნელი ტექსტს კრიტიკულად მიუდგა გულდასმით შეისწავლა და სწორი გეზი მისცა ევროპელ მთარგმნელებს პოემის თარგმნის დროს. მან ინგლისურენოვან სამყაროს გააცნო პოემა, შემდეგ შუამავლის როლი ითამაშა მის სხვა ენაზე თარგმნის საქმეში. მარჯორისეული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის მარჯორის მიერ ხელნაწერი ვერსიის პირველი გვერდის ფოტოასლი იხილეთ <u>დანართში № 19</u> (MS. Wardr.d. 32)

მარჯორი ორჯერ ესტუმრა საქართველოს. პირველად 1894 წლის დეკემბერს, როდესაც მას თან ახლდა დედა და ძმა – ოლივერი, ხოლო მეორედ – 1896 წელს გაზაფხულს, დედ-მამა და ძმასთან ერთად. საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი აღწერილია მარჯორის მიერ დაწერილ ნარკვევებში „შენიშვნები 1894-95წ.წ. საქართველოში მოგზაურობის შესახებ.“ (უორდროპი 1958)

შალვა გოზალიშვილის თქმით „უცხოელ მეგობართა შორის მარჯორი უორდროპი ერთი პირველთაგანი იყო, ვისაც თითქმის

მთელი საქართველო ჰქონდა შემოვლილი... ყველგან სიხარულითა და სახალხო ზეიმით ხვდებოდნენ. საქართველოზე შეყვარებულ ინგლისელ საპატიო სტუმარსა და მეგობარ მწერალს...“ (გოზალიშვილი 1972 : 110)

პირველად სტუმრობის ძირითადი მიზანი ქართველი ხალხის, სათარგმნი დედნის ავტორის გაცნობა და ქართული ენის დახვეწა იყო. ილიას პიროვნებითა და მოღვაწეობით აღფრთოვანებული მარჯორი მისი შემოქმედების ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი გახდა.

ილიამ დიდი როლი ითამაშა ქართულ თარგმანთმცოდნეობის განვითარებაში, იგი იყო პირველი, ვინც უარი თქვა უაზრო თარგმანებზე, გააკრიტიკა კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანი და მთარგმნელებს მიაწოდა ზოგადი პრინციპები, სადაც წამყვანი როლი სათარგმნი დედნის შერჩევას ენიჭებოდა. ილიამ ჩაუყარა საფუძველი ორიგინალიდან თარგმნის პრინციპს. (ხელმძღვანელობდა შექსპირის ქართულად თარგმნას, ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა ენებზე გადატანას.) ქართული კულტურის ინგლისურენოვან სამყაროში გადატანის პირველი ცდებიც სწორედ მასთანაა დაკავშირებული.

ილია პირველი მასპინძელი იყო ყველა უცხოელი მეცნიერისა და მწერლის, რომელიც საქართველოში კეთილი განზრახვით ჩამოდიოდა. „მოვიდოდა თუ არა ჩვენში რომელიმე ევროპელი და ქართველებს ჰკითხავდა, ჰყავთ ქართველებს დიდი ადამიანიო, ყველა ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა: როგორ არა დიდი ილია ჭავჭავაძეო.“ (გოზალიშვილი 1972 : 110)

მარჯორი არასოდეს მალავდა საქართველოში ჩამოსვლის სურვილს. იგი დიდ წყრომას გამოთქვამს თავისი ძმის მიმართ მის გარეშე რომ ესტუმრა საქართველოს:

„გუშინ ნაშუადღევს მივიღე შენი წერილი, 20 ოქტომბრით დათარიღებული, და დღეს ტომმა მოიტანა დეპეშა, სადაც წერია:

„მისამართი ბათუმი, ბრიტანეთის საკონსულო“. ბუნებრივია მე ძალიან ვწუხვარ რომ შენთან ერთად არ ვარ, როდესაც საქართველოში მიემგზავრები. სიბრაზისაგან შემიძლია მხოლოდ ვიტირო, როდესაც ვფიქრობ, რომ მე მხოლოდ საზიზღარი ქალი ვარ, ნაცვლად იმისა, რომ ვიყო მამაკაცი. მე უნდა დავრჩე სახლში და არაფერი ვაკეთო, როდესაც მე შემიძლია ვიცხოვრო, ვისწავლო ვიმუშაო... მენატრება ჩემი სახლი და ჩემს ქართულთან დაბრუნება. ჩემი სამუშაოს გარეშე სრულიად უბედურად ვგრძნობ თავს, ჩემი ქართული ბიბლიოთეკა იზრდება: მე კმაყოფილებით გავაგრძელებდი მუშაობას, რომ შემეძლოს საქართველოში ჩამოსვლა. მე რომ მამაკაცი ვიყო ჩამოვიდოდი. მე სულ შენზე ვფიქრობ და ყოველთვის ჩემს ფიქრებში იქნები. ჩემი ორი სიყვარული ერთადაა უძვირფასესი და საქართველო.“ (გოზალიშვილი 1972 : 216) *„არ ვიცი რატომ არი, რომ მე საქართველოს გარდა, ვერაფერზე ვფიქრობ ან ვლაპარაკობ, ეხ, რა იქნებოდა მეც რომ შენთან ვყოფილიყავი.“* (Nasmith 1998 : 7)

მარჯორიმ, დიდი ხნის სურვილის ასრულების მიზნით, 1894 წელს ილია ჭავჭავაძეს მისწერა წერილი და „განდეგილის“ თაგმნის ნებართვა სთხოვა.

„თავდი ილია ჭავჭავაძე, ტფილისი,
მოწყალეო ხელმწიფევ!

ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა“, რომელსა უკეთესისა ლექსისაა თქვენი მშვენიერ ენაში, რომ ვკითხვე და რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც ამ ლექსმა მაგრძნობინა. ამისთვის გჰკადრებ თხოვნა თქვენი ეს ჩემი თარგმანი გადმოსაცემად.“ (ვაზიანი 1894, №163)

ის, თუ რა შედეგი მოიტანა ამ წერილმა კარგად ჩანს ოლივერის მიერ დისადმი მიწერილ წერილში:

„ნუ გაგიგკვირდება, როდესაც გაიგებ, რომ ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე ლამაზი ქალის სადღეგრძელო ორჯერ შეისვა უდიდესი აღტაცებით, მე კი სიამაყისა და სხვა ემოციებისაგან უხერხულად ვწითლდებოდი. ჭავჭავაძისადმი შენი წერილის წაკითხვამ, რომელიც აქ ყველამ ზეპირად იცის და არ იღლებიან მისით, ისეთი აპლოდისმენტები გამოიწვია, რომელიც ალბათ მდინარის მეორე მხარეს ისმოდა. შენ წარმოდეგანც კი არ გაქვს როგორი სიყვრული აქვთ ქართველებს შენს მიმართ.“ (ოძელი 1998 : 225)

აქვე აღსანიშნია დავით მიქელაძის მიერ იმ ქართველ ქალთა გასაკრიტიკებლად გამოქვეყნებული სტატია, რომელთაც ქართული სხვა ენებზე ნაკლებად მიაჩნიათ.

„ნეტა ეხლა რაღას იტყვიან ჩვენი ქალები... დიაღ, დაჰბერა ცხოვრების ახალმა სიომ და, როგროც პოეტი ამბობს, „ტკბილი ტაროსი შეგვეცვალა“... ტკბილი ქართული ენა წარიყვნა, ჩვენმა ქალმა სხვა ფრად დაიწყო ჟრურტული, ქართული იუკადრისა, აითვალისწუნა, ივანე „ვანიუხად“ გადაიქცა და მარიამი „მაშინკად.“ (ჩიორა 1894)

მარჯორის წერილთან დაკავშირებულ გამოხმაურებებზე საუბრობს გაზეთ ივერიის უცნობი კორესპონდენტი:

„საგაზაფხულოდ ბატონი ვარდროპი მოელის თავის დას ქ-ნს მარჟორი ვარდროპს, რომელიც თავისს ძმასავით დიდი სიამოვნებითა და გულმოდგინებით სწავლობს ქართულს ენასა და მწერლობას. ჩვენის გაზეთის მკითხველი უეჭველია კარგად იცნობს ამ საპატიო ახალგაზრდა ინგლისელ მწერალ ქალს, რომლის წერილის გამო ამჟამად დიდი კამათობა აქვთ ქართველს ქალებს ატეხილი.“ (ივერია, 1894, №227 გვ. 2)

ილიამ სითბოთი და სიყვარულით აღსავსე წერილით უპასუხა მარჯორის და იგი საქართველოში მოიწვია: *„დარწმუნებული ვარ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთეს პატრონს ვერ ავუჩენდი.*“ (ივერია 1894:

№108) იგი მოხარულია, რომ მისმა ნაწარმოებებმა მთარგმნელის ყურადღება მიიქცია. „*ინგლისმა ცოტა რამ იცის ჩვენი უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთ დროს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონია...*“ (ოძელი 1998 : 215) მას სურს, რომ ინგლისმაც იცოდეს, რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიც „*საქმობს გონება და იძვრის გული,*“ რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი, რომ აქაც არის თავისი „*წამება და წვალება უკეთეს დღისთვის.*“ (ოძელი 1998 : 215) ილიას მიზანი უცხო ქვეყნისთვის საკუთარი ტკივილის გაცნობა, გულისცემის, გულითადი ნატვრის, ჭირისა და ლხინის გადატანაა.

მეცნიერებმა 1895 წელს ლონდონში გამოცემულ „განდეგილის“ თარგმანს მაღალი შეფასება მისცეს. თარგმანი განიხილეს ქართველმა მეცნიერებმა: ვ. ურუშაძემ. (ურუშაძე 1945), ც. თოფურიძემ, (თოფურიძე 1957) ლ. ურუშაძემ, (ურუშაძე 1961, ურუშაძე 1965).

იმ დროის ქართული საზოგადოება ეხმიანება “განდეგილის,” გამოცემას, აღწერს მისს უორდროპის ინტერესს ქართული ენის, ლიტერატურისადმი და განიხილავს მის თარგმანს.

“*ინგლისურს ენაზედ დაიბეჭდა და გამოვიდა ილია ჭავჭავაძის პოემა “განდეგილი,” თარგმნილი Miss Marjory Wardrop-ის მიერ, ავტორის სურათით და პატარა წინასიტყვაობით, რომელიც აქვე შემოკლებით მოგყავს:*

მაშინ, როცა მრავალნი ინგლისელნი სპარსულ ლიტერატურას ეტანებიან, ცოტას ნახავთ, რომ ვინმემ ქართული ლიტერატურის არსებობაც იცოდეს. საქართველო სწორედ ყურადღების ღირსია. “ვეფხისტყაოსანი” რუსთველის მე-XII საუკუნის ეპოსის პოეტისა სულაც არ ჩამოუვარდება შაჰნამეს; ხოლო რომელ ეხლანდელ სპარსელ პოეტს შეუძლია შეედაროს ბარათაშვილს?..” (ივერია 1896: №37)

მარჯორიმ საქართველოში ჩამოსვლით უკეთ შეისწავლა ქართული ენა და უფრო მეტად შეიყვარა ქართველი ხალხი. იგი მუდმივ მიმოწერას აწარმოებდა ქართველ მეგობრებთან და მუდმივად იღებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. მისი ყურადღება არასოდეს შენელებულა ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, კულტურის და ქართველთა ყოფა – ცხოვრების მიმართ.

ამის დამადასტურებელია ოლივერის მიერ დაარსებულ *უორდროპის ქართულ* კოლექციაში მიკვლეული, საქართველოსთან დაკავშირებული უამრავი თარგმანი. 1,454 ერთეულის, 73 სერიისა და 74 ხელნაწერისაგან შემდგარ კოლექციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ-ინგლისური ლიტერატურული კონტაქტების შესწავლის დროს.

აღნიშნული თავი ეყრდნობა ქართულ ენაზე, საქართველოში არსებული ბიბლიოთეკების, მასალების კვლევის დროს მოძიებულ ზოგად ინფორმაციას, რაც მეტნაკლებად ცნობილია ქართველი საზოგადოებისათვის. განვიხილეთ მარჯორის მიერ შესრულებული უკვე გამოქვეყნებული თარგმანები და მიმოვიხილეთ მათი თარგმნის ისტორია. ნაშრომის მნიშვნელობას განსაზღვრავს მომდევნო თავები, სადაც მოყვანილია ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის კვლევის დროს მიკვლეული მასალები, რაც არასოდეს გამოქვეყნებულა.

3. მარჯორი უორდროპის ქართული კოლექციის აქამდე გამოუქვეყნებელი და უცნობი მასალები

საზღვარგარეთ არსებული წიგნსაცავები და ქართული კოლექციები მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას იცავენ საქართველოს შესახებ. ამათგან მრავალი ჯერ კიდევ აღმოუჩენელი და შეუსწავლელია. ერთ-ერთ ასეთ ფასდაუდებელ საცავს წარმოადგენს ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკა, ოლივერ უორდროპის მიერ შედგენილი მარჯორი უორდროპის ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კოლექცია. ოქსფორდში არსებული ლიტერატურა და ხელნაწერები ორჯერ იქნა აღწერილი. პირველად ოლივერ უორდროპის მიერ საქართველოდან მიწვეულმა ეკატერინე ჩერქეზიშვილმა (ჩერქეზი) აღწერა. კატალოგი ორი ტომისაგან შედგება და შესულია მარჯორისა და ოლივერ უორდროპებთან, ინგლის - საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებული ლიტერატურა, პირადი ხელწერილები და თავად მათ მიერვე შეძენილი, ხელით გადაწერილი, თუ ფირზე აღბეჭდილი მასალები. იმის გამო, რომ აქ არ შედიოდა ყველა მასალა სრულიად, დევიდ ბარეტმა კვლავ მოახდინა საქართველოსთან დაკავშირებული მასალების კატალოგიზაცია და 1973 წელს გამოსცა წიგნად: *Catalogue of the Wardrop Collection and of other Georgian books and manuscripts in the Bodleian Library.* (Barret 1973) ეს კატალოგი აღმოჩნდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ბოდლის ბიბლიოთეკის მასალების კვლევისას.

წლების მანძილზე მარჯორი უორდროპი, ტრანსკავკასიაში ბრიტანეთის პირველი ელჩის ოლივერ უორდროპის და, ცნობილი იყო

როგორც შემდეგი ქართული მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი.

საყოველთაოდ ცნობილი მარჯორისეული თარგმანები:

1. ქართული ხალხური ზღაპრები, Georgiam Folk Tales, London, Published by David Nutt; 1894 (MS. Wardrop. d. 40/4 (4)

2. განდეგილი, The Hermit, Legend by Prince Ilia Chavchavadze, London, published by Bernard Quaritch, 1895 (MS.Wardr. e. 4)

3. ვეფხისტყაოსანი, The Man in the Panter's skin, A Romantic Epic by Shota Rustaveli, Oriental Translation Fund, London, 1912

ოლივერისა და მარჯორის ერთობლივი თარგმანები: (ოლივერის აქვს როგორც თარგმანები ასევე ორიგინალური ნაშრომები. მისი თარგმანები ძირითადად რუსულიდანაა გადმოტანილი, ნაწილი კი მარჯორისთან ერთადაა შესრულებული)

1. წმინდა ნინოს ცხოვრება, Life of St. Nino; Oxford, Clarendon Press 1900; (MS. Wardr. d. 8)

2. წიგნი სიბრძნე სიცრუისა, The Book of Wisdom and Lies, 1894, Klemscott Press; რაც ალექსანდრე ცაგარელისეული რუსული თარგმანიდანაა ოლივერის მიერ შესრულებული, მარჯორის ის ქართულთან შეუდარებია და ჩაუსწორებია. (MS. Wardr. d. 9)

3. ვისრამიანი, The story of the loves of Vis and Ramin, London, 1914. (Visramiani 1914)

ოლივერის ორიგინალური ნაშორმები:

1. The Kingdom of Georgia, Travel in Land of Women, Wine, and Song, London, 1888, Sampson Low, Marston, Searle and Revington, საქართველოს სამეფო, გამოცემული 1888 წელს და შემდგომ ხელახლა დაბეჭდილი 1977 წელს შპს Lucaz da kompany-ს მიერ;

2. ინგლისურ-სვანური ლექსიკონი, ”English – Svanetian Vocabulary” In Journalof Royal Asiatic Sosciety, ლონდონი, 1911;

3. ბრიტანეთის მუზეუმის ქართულ ზენაწერთა კატალოგი, 1913.

სულ ესაა ნინო უორდროპის მიერ მოწოდებული იმ თარგმანთა ჩამონათვალი, რაზეც უორდროპები მუშაობდნენ. (Wardrop, 1994)

1981 წლამდე უორდროპთა გვარი მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი თარგმანებით იყო ცნობილი. ამ წელს გურამ შარაძემ ოქსფორდის უორდროპის ფონდის საცავებში მიაკვლია სხვა თარგმანებსაც, მათ შორისაა: ილიას “მგზავრის წერილები”, “კაცია-ადამიანის?!” ფრაგმენტები, „გლახის ნაამბობი“, ილიას ავტობიოგრაფია (ოლივერის მიერაა შესრულებული), “მძინარე ქალს”, “გაზაფხული”, “ელეგია”, ნაწყვეტები “აჩრდილიდან” და “ბაზალეთის ტბიდან.” თარგმანები მხოლოდ 1987 წელს გამოიცა წიგნად თბილისში. გურამ შარაძემ ასევე იხილა, ვახტანგ ორბელიანის, გრიგოლ ორბელიანისა და რაფიელ ერისთავის მარჯორისეული, ხოლო ალექსანდრე ყაზბეგის ოლივერისეული გამოუქვეყნებელი თარგმანებიც. (MS. Wardr. c. 26 (30)

იმის მიუხედავად, რომ არსებობს უამრავი კვლევა უორდროპთა შესახებ, გადავწყვიტეთ ოქსფორდის ბიბლიოთეკის ქართული კოლექციის ხელახლა შესწავლა, რისი საფუძველიც 1994 წელს „მოზაიკაში“, (თურნავა 1995, №34) დაბეჭდილმა სტატიამ მოგვცა. სტატიის ავტორი სერგო თურნავა იუწყება, რომ ოქსფორდის ბიბლიოთეკის მასალებზე მუშაობის დროს გურამ შარაძემ ინგლისური და ფრანგული კარგად არ იცოდა და მას მხოლოდ საელჩოდან ეხმარებოდნენ ქართველი წარმომადგენლები. ამის მიუხედავად მან მოახერხა მარჯორი უორდროპის საკმაოდ მნიშვნელოვანი და ღირებული თარგმანების მიკვლევა.

2008 წელს შედგა ოქსფორდის საცავის კვლევის მომდევნო ეტაპი, რის შედეგადაც გამოვლინდა უორდროპებსა და საქართველოსთან დაკავშირებული უამრავი ღირებული მასალა, სწორედ ამის გამო, ჩვენს ნაშრომს, სადაც აღწერილია აქ გამოვლენილი მასალები, ვუწოდეთ ოქსფორდის ბიბლიოთეკის ქართული საგანძური.

მარჯორის ცხოვრება, მისი საქმიანობა და 1900 - 1909 წლებში, საქართველოსთან დაკავშირებული ქართველი მეგობრებისა და ქართველი საზოგადოებისათვის გაწეული ღვაწლი ჯერ არ ყოფილა შესწავლილი. 2008 წლის ივლისში ოქსფორდის ბიბლიოთეკაში განხორციელებული კვლევის შემდეგ მისი მოღვაწეობის შესახებ მრავალი საყურადღებო და აქამდე უცნობი ინფორმაცია იქნა მოძიებული. მისი ინტერესი ქართველი ხალხისადმი და ქართული კულტურისადმი მხოლოდ რამოდენიმე ნაწარმოების თარგმნითა და გამოქვეყნებით არ შემოფარგლულა.

საცავში ნანხი საქართველოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მასალები 2009 წელს წიგნად გამოიცა: ოქსფორდის ბიბლიოთეკის ქართული საგანძური (ბორაშვილი - შტოიერი 2009) გამომცემლობა "ნეკერის" მიერ.

ინგლისურ – ქართული ურთიერთობის გაღრმავება დაკავშირებულია ოლივერის ტრანსკავკასიის ბრიტანეთის პირველ კომისრად დანიშვნასა და ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დაწყებასთან. (საგარეო მდივანმა ლორდ კუზონმა ოლივერი ბრიტანეთის მთავარ კომისრად დანიშნა საქართველოში. ეს თანამდებობა ოლივერს ეკავა ბოლშევიკების საქართველოში შემოსვლამდე, 1921 წლამდე. 1919 წელს ოლივერი თბილისში დაინიშნა ბრიტანეთის მთავარ კომისრად კავკასიაში.)

ოქსფორდში მიკვლეული მასალების მიხედვით მარჯორის დიპლომატის თანამდებობა არასოდეს სჭერია, მაგრამ იგი მუდამ

ეხმარებოდა საქართველოში შეძენილ მეგობრებს. ქართველი ხალხი მას, როგორც მხსნელ მანდილოსანს მიმართავდა გასაჭირის დროს. ისიც შეძლებისდაგვარად ცდილობდა მათ დახმარებას. ის იყო არა მხოლოდ მთარგმნელი და საქართველოთი აღფრთოვანებული პიროვნება, არამედ ეგრეთწოდებული "დიპლომატი" და ამ მიწის, კულტურის და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველი. მის თარგმანებს და ორიგინალურ ნაშრომებს, მის შუამავლობას და დაუღალავ შრომას გარვეული როლი უნდა ეთამაშა საქართველოს ისტორიაზე.

შეუძლებელია ბოლდის ბიბლიოთეკაში, უორდროპის კოლექციაში ნანახი, მის მიერ თარგმნილი და მაღალი რანგის პირებთან და გაგზავნილი წერილების გაუთვალისწინებლობა, სადაც აშარადაა დაფიქსირებული ინგლისელი მოაზროვნის შეხედულება რუსული პოლიტიკისა და აგრესიისადმი საქართველოში. მის მიერ შესრულებულ თარგმანებს, საგაზეთოდ დასაბეჭდ სტატიებსა თუ პირად წერილებს რუსების საქართველოში განხორციელებული ქმედებები საზღვრებს გარეთ უნდა გაეტანათ და ყველასათვის შეულამაზებელი სიმართლე ეცნობებინათ. ოქსფორდის ქართული საცავის ხელნაწერებზე დაყრდნობით საუბარი შეგვიძლია მარჯორის, როგორც მეოცე საუკუნის რუსულ-ქართული კონტაქტების თვითმხილველსა და რუსული პოზიციისადმი საკუთარი შეხედულებების გამომხატველზე. "უორდროპის ხელნაწერთა კოლექცია ავლენს მნიშვნელოვან ინფრომაციას რუსულ-ქართული კონტაქტების შესახებ და ასევე ბრიტანელი მოაზროვნის მიერ გამოხატულ შეხედულებებზე." (Stoyer 2011)

2008 წელს ოქსფორდში მიკვლეული მასალებიდან მარჯორისა და ოლივერის აქამდე ნაკლებ ცნობილი და მნიშვნელოვანი ნაშრომების ჩამონათვალის ხილვა შესაძლებელია <u>დანართში №2.</u>

მოცემულ ნაშრომში განხილულია მხოლოდ მარჯორის სახელთან დაკავშირებული ის მასალები, რაც სიახლეს წარმოადგენს ქართულ სამეცნიერო სფეროში. აქ შედის არა მხოლოდ მარჯორის თარგმანები, არამედ მისი კვლევები თუ პირადი წერილები.

I. ბაბო ბაგრატიონი და მარჯორი უორდროპი

ოქსფორდის ბიბლიოთეკაში მიკვლეული მარჯორისეული თარგმანები მრავალმხრივაა საინტერესო, არა მხოლოდ მთარგმნელ-ფილოლოგებისათვის, არამედ ისტორიკოსებისათვისაც მათ'ში ასახული საინტერესო და საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამო. ოლივერ უორდროპის მიერ დაარსებული მარჯორი უორდროპის კოლექცია, რომელიც საოცრად მდიდარ მასალას ინახავს ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიაზე, **XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები, ქართველი საზოგადო მოღვაწეების შესახებ აქამდე უცნობი ინფორმაციის მოპოვების საშუალებას გვაძლევს.** ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, რომელსაც ამჟამად შევეხებით, გახლავთ არც თუ ისე ცნობილი და თავისი ეპოქის აქტიური საზოგადო მოღაწე - ბაბო ბაგრატიონი.

ვინ იყო ბაბო (ბარბალე) ალექსანდრეს ასული ბაგრატიონ-დავითაშვილი? (1872 – 1915) ქართველი მწერლის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ქართველ სამოციანელთა წარმომადგენელისა და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილის, ივანე მაჩაბლის (1854-1898) ცოლის და. ბაბოს ერთი და (ანასტასია) ტასო მაჩაბელი (1869-1917) იყო ივანეს მეუღლე, ხოლო მეორე და (ნინო) ნიცა ბაგრატიონი გათხოვილი იყო საჩხერეში, თავადზე ბეჟან წერეთელზე. ნიცას ქალიშვილი თამუნია სილამაზით ყოფილა განთქმული. ტიციან ტაბიძემ თამუნია წერეთელს არაერთი ლექსი მიუძღვნა. სამივე და იმ დროის აქტიური საზოგადო მოღვაწე

ყოფილა.

საინტერესეოა რა ურთიერთობა იყო მარჯორი სკოტ უორდროპსა და ქართველ თავადის ქალთა შორის. საქართველოში ჩამოსული მარჯორი გასაკვირი არაა, რომ სხვა გამოჩენილ ქართველ საზოგადოების წევრებთან ერთად მათაც გაიცნობდა. ოქსფორდის ბიბლიოთეკის საცავში მათი არაერთი წერილი მოიძებნა. ამათგან ზოგი გურამ შარაძის მიერაა გამოქვეყნებული. (შარაძე 1984) ნაშრომის ძირითად ნაწილში წარმოდგენილია უორდროპის კოლექციის მხოლოდ ის მასალები, რაც ჯერ არ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის საგანი და სრულ სიახლეს წარმოადგენს. მოცემულ შემთვევაში განხილულია: ა) მარჯორის მიერ დაწერილი, ერთ-ერთ ინგლისურ ჟურნალში პუბლიკაციისათვის გამზადებული სტატია; ბ) ბაბოს პიროვნებით დაინტერესებული ერთ-ერთი ჟურნალისტის სტატია; გ) ვერა ჩიჩევაძის მიერ ქართულად დაწერილი წერილის მარჯორისეული თარგმანი, რომლისთვისაც, ვფიქრობთ, რომ მარჯორის საკუთარი კომეტარებიც უნდა დაერთო, პეტერბურგის საგარეო საქმეთა მინისტრთან გაგაზვანის დროს.

ბოდლის ბიბლიოთეკაში შემონახული კორესპონდენციის მიხედვით, მათ საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონიათ. ისინი მუდამ სწერდნენ და უზიარებდნენ ერთმანეთს გასაჭირსა თუ ბედნიერებას. მარჯორი უორდროპის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში არსებული ჯერ კიდევ შეუსწავლელი ეპისტოლარული მასალის საფუძველზე შეგვიძლია აღვადგინოთ მარჯრისა და ბაბო ბაგრატიონთან დაკავშირებული გარკვეული ფრაგმენტები რაც თავისთავად ფარდას ახდის იმ ეპოქის ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას.

1905 წლის 26/X დაწერილი წერილის მიხედვით ბაბო ბაგრატიონი მარჯორის ხშირად ეხმარება ქართულის დახვეწაში. მარჯორი სწერს თავის მეგობარს ქართული გაზეთებიდან

წაკითხული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით. ბაბო ბაგრატიონი კი შემდეგ წერილს უგზავნის:

“ჩემო საყვარელო და ძვირფასო მეგობარო, თქვენი წერილი მივიღე, ძალიან მადლობელი ვარ თქვენი წერილისთვის, მაგრამ ცოტა შეცდომა არის მე მგონი. ჩემი ძმა არ არის დაჭრილი, ენგრე რომ ყოფილიყო დეპეშა მომივიდოდა. მე მსურს გავიგო საიდან გაიგეთ ჩემი ძმის ამბავი. დასწერეს ერთი დავით ბაგრატიონი, მაგრამ ის ჩემი ძმა არ გახლავთ, რადგან ჩემი ძმა დავითი გახლამთ ვენაში და მეორეს სახელად გიორგი ჰქვიან. ამის გარდა გიგზავნით თქვენს წერილს, რადგან დიდი შეცდომებია. სიტყვა დაკოდილი არ შეიძლება ვიხმაროთ, რადგან ეს კაი სიტყვა არ გახლავთ. ეს სიტყვა არ ვიცი როგორ გახლავთ ფრანგულათ და რუსულათ არის оскоплять. ბოდიშს ვიხდი რომ გწერთ ამაზე. მე მეშინია რომ ბატონ თავდგირიძესთან და ერისთავებთან არ წამოგცდეთ. მაგ სიტყვის ხმარება არ შეიძლება.

თქვენი ერთგული მეგობარი

ბ. ნაგრატიონ-დავითაშვილი” *(MS.Wardr. d. 20)*

ბაბოსა და მარჯორის შორის არსებულ ურთიერთობას ავლენს ელისაბედ ერისთავის, ბაბო ბაგრატიონის ბიძაშვილის ერთ-ერთი წერილი. ლენინგრადში ბაბოსთან სტუმრებოს დროს იგი აღწერს მის ღრმა განცდებს მარჯორის გარდაცვლების გამო:

“*ბაბო ბაგრატიონის მწუხარებას ვერ აგიღწერთ, იჯდა და იმდუღვრებოდა. მეგობარიც იყოვო, დაცა და დედაცაო. შენ არ იციო, რამდენ სიკეთეს აკეთებდაო ყველასათვისაო, თვითონაც იმდენი არა ჰქონდა რაო, მაგრამ თვითონ იკლებდა და სხვას აძლევდაო. ამისთანა მშვენიერი სულის ადამიანი იყოო.*” (ცერცვაძე, 2010 : 48)

მარჯორი ბაბო ბაგრატიონს იმ პირთა გვერდით ახსენებს, რომელთაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს საქართველოს ისტორიაში, ამის მიუხედავად ბაბოს შესახებ ქართულ წყაროებში ძალიან მწირი ინფორმაცია მოიძებნება. აღნიშნულ თავში განხორციელებული კვლევა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ აქ მოცემულია გარკვეული დამატებითი ინფორმაცია ბაბო ბაგრატიონის მოღვაწეობის შესახებ.

"არც თუ ისე ბევრ ქვეყანაში ითამაშა ქალმა ისეთი დიდი როლი როგორც საქართველოში, რომანტიკულ რეგიონში, რომელიც მდებარეობს შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის," (MS. Wardrop. c. 26 (2)- ამბობს მარჯორი ქართველი მანდილოსნების შესახებ და მაგალითად მოჰყავს წმინდა ნინო ქართველთა განმამათლებელი, თამარ მეფე, ქეთევან წამებული და ბაბო ბაგრატიონი.

ოქსფორდის საცავში მიკვლეული მარჯორისეული ერთ-ერთი ხელნაწერის მიხედვით ქართველი მანდილოსნებით აღფრთოვანებულ მარჯორის ინფორმაცია მოუგროვებია ბაბოს შესახებ სტატიის დასაწერად. მისი ხელნაწერები დასამუშავებელი სახითაა შემონახული. მარჯორი კვლავ აპირებდა მის დახვეწას და სტატიის განვრცობას. როგორც ჩანს, მარჯორი ამ სტატიის გამოქვეყნებას აპირებდა ჟურნალ „ბელლ"ში."

როგორც თავად წერილიდან ვიგებთ, მარჯორის ბაბო პირველად ვანო მაჩაბელთან გამართულ წვეულებაზე უნახავს. მასში კარგად ჩანს მარჯორისეული შთაბეჭდილებები, ახალგაზრდა ქართველ მანდილოსანზე. მხიარული ბუნების, ცნობისმოყვარე, ალალი, მჭერმეტყველი, ქველმოქმედი, ადამიანი, რომელიც ყველას უყვარს და ყველას გულს იგებს.

(მარჯორისეული წერილის თარგმანი)

"ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილი

ხშირად მიფიქრია ჟურნალი „ბელლის“ ახალგაზრდა მკითხველთათვის ქართველი სამეფო ოჯახის წევრებიდან ზოგიერთი იმ ქალბატონის წარდგენა, რომელთაც მე საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს შევხვდი. ნება მომეცით, დღეს წარმოგიდგინოთ ბაბო, ქართველი თავადისქალი, რომლის ოჯახს დავით წინასწარმეტყველის შთამომავლობის პრეტენზია აქვს. როდესაც პირველად ვნახე ბაბო თავისი გათხოვილი დის სახლში გამართულ წვეულებაზე, მას ახლახანს ჰქონდა დაასრულებული სწავლა-განათლება. ის ყველაზე მეტად მხიარულიობდა, მთელი სულითა და გულით ტკბებოდა წუთიერი სიამოვნებით. ვახშმობისას ის კვლავ წამოხტა და ჩვენი, უცხოელების სადღეგრძელო თქვა. მან ჩვენთვის დაუკრა, იცეკვა და რამოდენიმე მჭერმეტყველური სიტყვა თქვა თავის მშობლიურ ენაზე, რამაც ყოველი დამსწრის აპლოდისმენტი დაიმსახურა.

ის ყველას უყვარდა არა მხოლოდ თავისი მხიარული ბუნების გამო, იმ დღეებშიც კი მისი გული სავსე იყო ცნობისმოყვარეობით. თავისი ალალი გულით მოგვიყვა თუ როგორ შეიფარა დუხობორები დევნის დროს, როცა რვა მათგანი მივიდა მასთან და თავშესაფარი სთხოვა. მან ყველა მიიღო, ქალი, კაცი თუ ბავშვი, დააბინავა ბელელში, თავლაში და დააპურა. მისცა სამუშაო და ორი წელი შეინახა სანამ კანადაში არ წავიდნენ. ისინი არც თუ ისე ადვილად შესაგუებელი ხალხია, მაგრამ როგორც ჩანს ბაბომ მათი გული მოიგო და იგი ეხლაც კი იღებს მათგან წერილებს.

ძალიან მცირე ქვეყანაში ითამაშა ქალმა უფრო დიდი როლი ვიდრე საქართველოში, რომანტიკულ რეგიონში, რომელიც მდებარეობს შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის. ტრადიცია გვკარნახობს, რომ როდესაც იესოს მოწაფეებმა წილი ყარეს, თუ ვის ქვეყნის რომელი ნაწილი შეხვდებოდა ქადაგებისათვის, ქალწულმა მარიამმაც სთხოვა, რომ მასაც უნდოდა წილი მიეღო ამ საქმეში.

იბერია, ამჟამად წოდებული საქართველო მას ხვდა წილას მის შემდეგ ისაა მისი რჩეული ხალხის დამცველი.

წმინდა ნინო, ქართველთა განმანათლებელი, რომელიც გულმოკლული იყო მთებში სახიფათო მგზავრობით სამხრეთიდან მარიამი ეჩვენა და ვაზის ლერწმები გადასცა. მან ლერწმები თავისი თმით შეკრა...”

წერილის ინგლისური ვერსიისათვის იხილეთ დანართი 43. (MS. Wardrop. c. 26 (2)

მარჯორის თარგმანებისა და კვლევების უმთავრესი მიზანი ქართული კულტურის პოლულარიზაცია და უცხოელ მეცნიერთა ამ კუთხით დაინტრესება გახლდათ. მისი წყალობით მრავალი უცხოელი დაინტერესებულა და გაოცებული დარჩენილა ქართველი ხალხითა თუ ამ ქვეყნის სილამაზით. საქართველოში ჩამოსული უცხოელი მეგობრები მარჯორის დახმარებით ეცნობოდნენ ასევე წარჩინებულ ქართველ მოღვაწეებსაც.

რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობით და ასევე ქართველ თავადაზნაურთა ცხოვრებით დაინტერესებული ინგლისელი ჟურნალისტი აილმერ მაუდე თავად სტუმრებია ქართველ თავადს პეტერბურგში, მის მიერ დაარსებულ სამკერვალო სალონში. თავადის ასული, რომელიც იძულებული იქნა დაეტოვებინა ყველაფერი რაც გააჩნდა, უგზო-უკვლოდ არ დაკარგულა. იგი საქმის წამომწყები და მისი წარმატებით განმხორციელებელია არა მხოლოდ თავის ქვეყანაში, საიდანაც იძულებული იქნა წამოსულიყო და არსებული პრივილეგიები, ქონება და ფუფუნება სხვისთვის დაეტოვებინა, არამედ საზღვარგარეთაც. ბოდლის ბიბლიოთეკაში მიგნებული მასალის მიხედვით ბაბოს თავისი განზრახვა ხელმოკლე ქალების დასაქმების შესახებ სისრულეში მოუყვანია და წარმატებითაც წარუმართავს თავისი საქმიანობა.

ის, თუ როგორ განახორციელა ბაბომ თავისი სურვილი კარგად ჩანს აილმერ მაუდეს სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა 1906 წლის 12 დეკემბერს "უესტმინსტერ გაზეთში" (The Westminster Gazette). ჩვენი აზრით, მარჯორის უნდა მიეწვდია ინფორმაცია მის შესახებ.

ბოდლის ბიბლიოთეკაში, მარჯორის კოლექციაში მოძიებულ აღნიშნულ ვერსიას სათაურთან (ვფიქრობთ მარჯორის მიერვე) მინიშნება აქვს გაკეთებული, რომ სტატია ეხება ბაბო ბაგრატიონსა და ალონა თარხან-მოურავს.

(თარგმანი)

"მზერა რუსეთში

რევოლუციური მსვლელობა

როდესაც კარისკაცს ვკითხე ამ სახლში ცხოვრობდა თუ არა თავადის ასული ბ. მან მიპასუხა, რომ მე მას მეხუთე სართულზე ვიპოვიდი. კითხვა-კითხვით გავუყევით არც თუ ისე მდიდრული ხალიჩებით დაგებულ დიდი სახლის საფეხურებს, რომელიც მდებარეობს სანკტ პეტერბურგის სამხრეთით, გაიღო თუ არა კარი, ერთი მანდილოსნისა და გოგონების დაბნეულ მზერას შევეფეთე, რომელთაგან ზოგი სხვადასხვა ქსოვილზე მუშაობდნა და ზოგი უკვე ალაგებდა და მუშაობას წყვეტდა. ამ ოთახის გავლისას კიდევ ორ ასეთ ოთახს მოვკარით თვალი, ისინიც სავსე იყო ქალებითა და გოგონებით, რომლეთაგანაც ზოგი კერავდა და ზოგი ფუსფუსებდა. მალე მივუახლოვდით ერთ გემოვნებით მოწყობილ ოთახს, სადაც მრავალი ორიენტალური ქსოვილი იყო ჩამოკიდებული, რომლის დასათვალიერებლად არც თუ ისე დიდი დრო მქონდა, ჩემი ყურადღება სრულიად დაეპყრო ქართველ კნიაზს (სიტყვა ითარგმნება როგორც გასათხოვარი თავადის ასული), რომელმაც გულითადად გადმოდგა ნაბიჯი წინ და მოგვესალმა უცხოელებს, რომლებიც იმისათვის ეწვივნენ, რომ მისი გამოცდილება

გაეზიარებინათ რევოლუციასთან დაკავშირებით და თავად ენახათ მის მიერ დაარსებული საქველმოქმედო სამკერვალო დაწესებულება. ჩვენს მასპინძელს, სიმპათიურ და მიმზიდველ ქალბატონს, ღია, ტიპიური ქართული სახე ჰქონდა. მისი ქცევებიც ასევე სისადავით იყო სავსე, რამაც ჩვენ მაშინვე დაგვამეგობრა. იმ 1,000-ზე მეტი წლის განმავლობაში არსებული სამეფო შტოს შთამომავლამდე მისვლა, რომელიც ამჟამად მეხუთე სართულზე ცხოვრობს, ფრიად დიდი სასწაული გახლდათ, მაგრამ უფრო დიდი საოცრება განსაკუთრებული გემოვნებით შემოსილი ქალბატონის ხილვა აღმოჩნდა. (Maude 1906)

ავტორი ახალიათებს სამკერვალო სალონს, თავად ბაბო ბაგრატიონს და მას მიმართავს როგორც პრინცესა. იგი იქვე აკეთებს განმარტებას, რომ ასე, რომ ასე იწოდებოდა ყველა ის ოჯახი, რომელსაც გარკვეული დამოუკიდებელი უფლებები გააჩნდა ამჯამად რუსეთის ხელში არსებულ ერთ ან რამდენიმე პროვინციაზე, ამდენად ეს წოდება, რომელიც ითარგმნება როგორც პრინცესა ან პრინცი, როგორც იწოდებოდა ყველა მათი შთამომავალი, არაა იმავე დატვირთვის მქონე რუსულში, როგორც ესაა ინგლისურში. იგი აღნიშნავს, რომ აქ ჰერცოგი უნდა იგულისხმებოდეს.

სტატიის მომდევნო ნაწილში ავტორი მკითხველისთვის ნათელს ხდის რუსეთის საქართველოში შესვლასთან განხორციელებულ მოვლენებს, სოციალ-დემოკრატების მიერ საკუთარი სურვილების მიხედვით შეთხზული პროპაგანდის წყალობით სამი წლის განმავლობაში არც თავადის ასულ ბ-ს და არც სხვა ოჯახებს ერთი პენიც არ მიუღია თავისი დიდი უძრავი ქონებიდან და ისინი ამჟამად ცხოვრობენ მხოლოდ იმ სწრაფად შემცირებად ნარჩენებზე, რა რეალიზებადი აქტივებიც შემორჩათ რევოლუციის დაწყებისას. მათ სოფელში არსებული საკუთარი დიდი სახლი მიწის პირამდეა დამწვარი მთელი თავისი ავლა-დიდებით.

მაუდეს ასევე მოჰყავს მაგალითი, რაც ზოგიერთი თავადის მიერ რუსეთის მთავრობისადმი აპელაციის შეტანას მოჰყვა დამნაშავეთა დასჯისა და გადასახადების დაბრუნების მიზნით.

“კაზაკებმა ააგროვეს ქირა, მაგრამ ისე უმოწყალოდ გაანადგურეს ქონება, რომ გლეხები და მეპატრონეები ყველაფრის გარეშე დატოვეს, ისე რომ მომდევნო წლების მანძილზეც კი შეუძლებელია აქედან ქირის აღება.“ (Maude 1906)

ავორისათვის თითქოს გასაკვირია ის ფაქტი, რომ თავადაზნაურობა ჯერ კიდევ თვლის, რომ საქართველო არასოდეს ქოფილა რუსეთის მიერ დაპყრობილი. ირანსა და თურქეთთან დიდი ხნის ბრძოლით დაღლილებმა თავად მიმათეს რუსეთს ერთი საუკუნის წინ მფარველობისათვის.

ქართველი თავადისქალის დახასიათებისას იგი პარალელს ავლებს რევოლუციამდელ გულმხიარულ გოგონასა და რევოლუციის შემდეგ უკვე შრმისმოყვარე და გამრჯე ქალბატონს შორის.

„საოცარი იყო განსხვავების დანახვა, თუ როგორი ზეგავლენა მოახდინა ამ უბედურებამ მასსა და მის ოჯახზე, როგორ შეცვალა იმ მომღიმარი ენერგიული, ნათელი სულის მქონე ქალბატონის ბუნება, რომელსაც მე ვესაუბრებოდი.

”დილის რვა საათამდე ვცეკვავდი ხოლმე”- თქვა თავადის ქალმა ბ-მ “ეხლა კი დილის რვამდე ვმუშაობ.”

“რომელი უფრო საინტერესოდ მიგაჩნიათ – გართობა, რაც ადრე გქონდათ თუ სამუშაო, რაც ამჯამად გაქვთ.”

“სამუშაო! ცეკვისა და გართობის დროს ჩემს ცხოვრებაში სიცარიელეს ვგრძნობდი, ახლა კი მასე აღარ არის.”(Maude 1906)

წერილში ასევე საუბარია მეორე თავადის ასულზე, რომელიც ალონა თარხან მოურავი უნდა იყოს. მასაც დაუკარგავს მთელი ქონება და არ მიუღია რანაირი ქირა თავისი

მამაულებიდან. ამასთან, მოუკლეს ძმა, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ სახლში მისვლის სურვილი გამოხატა.

"ჯერ კიდევ უცნობია როგორ და რატომ მოკლეს იგი. ეს მოხდა დიდი გაფიცვების დროს და არავის დაუწყია ამ საქმის გამოძიება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მისი გვამი ნაპოვნი იქნა მამულთან ახლოს ერთ-ერთი გლეხის ურემზე."(Maude 1906)

სტატიის დაწერის მიზანი აილმერ მაუდესთვის იმისი ჩვენებაა, რომ იმ ცვილებემა, რაც ამ ორმა მანდილოსანმა გადაიტანეს, მათზე მხოლოდ დადებითი გავლენა იქონია. მათი ცხოვრება, რომელიც ცარიელად ითვლებოდა ადრე, ამჟამად ინტერესითაა სავსე. სტატიის ავტორის თქმით ქალბატონებმა ამ წარმატებას საკუთარი უბედურების წყალობით მიაღწიეს და კვლავ საზოგადოების წინა რიგებში იპოვეს ადგილი. გამოსახულება ჰპოვა მათ ორგანიზაციის უნარმა, პიროვნულმა წარმატებებმა, რაც აქამდე დაფარული იყო საკუთარ ქვეყანაში. აქვე ახსენებს, რომ ისინი იმსახურებენ მამაკაცთა მხრიდან პატივისცემით მოპყრობას და მათი გულის მოგება ძალიან რთულია. ბევრი დარჩენილა უიმედოდ და ყოველგვარი სახსრების გარეშე.

საქართველოში ჩამოსვლამ და ქართველი მანდილოსნების, გაცნობამ, საქართველოს ისტორიის შესწავლამ, როგორც ჩანს, გავლენა მოახდინა მარჯორიზე. მანამდე იგი თავის ძმას სწერდა ბათუმში:

„გუშინ ნაშუადღევს მივიღე შენი წერილი, 20 ოქტომბრით დათარიღებული, და დღეს ტომმა მოიტანა დეპეშა, სადაც წერია:

„მისამართი ბათუმი, ბრიტანეთის საკონსულო". ბუნებრივია მე ძალიან ვწუხვარ რომ შენთან ერთად არ ვარ, როდესაც საქართველოში მიემგზავრები. ***სიბრაზისაგან შემიძლია მხოლოდ ვიტირო, როდესაც ვფიქრობ, რომ მე მხოლოდ საზიზღარი ქალი ვარ, ნაცვლად იმისა, რომ ვიყო მამაკაცი.*** *მე უნდა დავრჩე სახლში და*

არაფერი ვაკეთო, როდესაც მე შემიძლია ვიცხოვრო, ვისწავლო ვიმუშაო... მენატრება ჩემი სახლი და ჩემს ქართულთან დაბრუნება. ჩემი სამუშაოს გარეშე სრულიად უბედურად ვგრძნობ თავს, ჩემი ქართული ბიბლიოთეკა იზრდება: მე კმაყოფილებით გავაგრძელებდი მუშაობას, რომ შემეძლოს საქართველოში ჩამოსვლა. ***მე რომ მამაკაცი ვიყო ჩამოვიდოდი.*** *მე სულ შენზე ვფიქრობ და ყოველთვის ჩემს ფიქრებში იქნები. ჩემი ორი სიყვარული ერთადაა უძვირფასესი და საქართველო.*“ (გოზალიშვილი 1972 : 216)

თუკი მარჯორი მანამდე თვლიდა, რომ იგი მამაკაცი უნდა ყოფილიყო მუშაობის საქმის კეთების უფლება რომ მოეპოვებინა, მომდევნო წერილებში იგი კალმით მებრძოლ მანდილოსნად გვევლინება.

ქართველი კორესპონდენტი მარჯორის შედეგნაირად გვიხასიათებს:

„მისს ვარდროპი ყმაწვილი ქალია – სულ ოცდაოთხის წლისაა, ხოლო ინგლისელთა აზრით - კი ძალიან ნორჩიც არის; ამასთან იგი მოხდენილად თავდაჭერილია, რაც ინგლისის საუკეთესო განათლებულ დედათა თვისებას შეადგენს; იგი მეტად წყნარია და ცოტა მორცხვიც – კი, მაგრამ ამ ტანადს, ნარნარს, მოხდენილს წყნარსა და მორცხვ ყმაწვილ ქალს დიდი ცოდნა აქვს...“ (ჩიორა 1894)

ამ მცირე მონაკვეთში ორჯერაა მოხსენებული, რომ იგი მეტად მორცხვია.

მომდევნო წლების განმავლობაში, საქართველოში ვიზიტის შემდეგ, მარჯორი უკვე ქართველ მებრძოლ დედათა გვერდით დგას და აქტიურ პროპაგანდას ეწევა რუსული პოლიტიკის წყალობით დაჩაგრული ქართველი მეგობრების დასახმარებლად. იგი პირადად ხვდებოდა შესაბამის პირებს, ვისაც ქართველთა დახმარება შეეძლოთ, თამამად თარგმნიდა რეალობის ამსახველ სტატიებს,

თავად სწერდა მაღალი რანგის პირებს. მრავალ თარგმანზე არაა მიწერილი ვისთვისაა იგი განკუთვლილი, თუმცა აშკარაა, რომ მის თარგმნას არ ჰქონდა მხატვრული ღირებულება და ქართული კულტურის საზღვარგარეთ გატანის მიზანი. მარჯორის უმთავრესი მიზანი ქართველი მეგობრებისთვის დახმარების ხელის გაწვდა იყო.

მარჯორი ამაოდ არ ახსენებს, რომ ქართველი ქალი **მებრძოლი სულის მქონეა და იგი საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა და ასრულებს საქართველოს ისტორიაში.** ბაბო ბაგრატიონი დაჩაგრულის გვერდით დგას და მუდამ ცდილობს მეგობრის დახმარებას. ქართულ საცავში მიკვლეული, ერთ-ერთი ასევე ბაბოს სახელთან დკავშირებული წერილი, იმ დროს მცხოვრები ქართველი თავადის ქალის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც სასიტკად დაისაჯა რუსი კოზაკების მიერ. დამცირებასა და შეურაცხყოფას, ქონების სრულიად დაკარგვა მოქყვა. ვერა ჩიჩევაძეს თავისი საჩივარი ბიძაშვილისათვის მიუწერია 1906 წლის 23 თეევრვალს და აუღწერია რუსი ოფიცრების მიერ ქართველთა უსამართლოდ დევნის ფაქტები. მასში კარგადაა აღწერილი არსებული რეალური მდგომარეობა ბაღდათსა და ქუთაისში, როგორ იჩაგრება საზოგადოების ყველა ფენა განურჩევლად, რანგისა, ასაკისა, ეროვნებისა და პოლიტიკური მიმართულებისა (განურჩევლად იმისა ეკუთვნის თუ არა იგი რომელიმე პოლიტიკურ პარტიას.) წერილში ასახულია ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ კარგავს საზოგადოების მაღალი ფენა, თავადაზნაურობა, არსებულ ქონებას და პრივილეგიებს და ყოველგვარი ორდერის, სასამართლოს, თუ რაიმე კანონის დაცვის გარეშე იძულებული ხდება დატოვოს ყველაფერი და თავს გაქცევითღა უშველოს.

ბაბოს ეს წერილი მარჯორისათვის გაუგზავნია. ცხრა ნაბეჭდი ფურცლისაგან შემდგარ თარგმანს თავფურცელზე აწერია, რომ იგი დაწერილია ვერა ჩიჩევაძის მიერ თავადის ასულ ბარბარა

ბაგრატიონ-დავითაშვილისადმი და რომ იგი მარჯორიმ თარგმნა და მისი ასლი გადაუგზავნა ბატონ სესილ სპრინგ რაისს, საგარეო საქმეთა მინისტრს პეტერბურგში. წერილის მარჯორისეული ევრსიისათვის იხილეთ დანართი 36. (MS.Wardr. c. 2)

„ძვირფასო ბაბო,

დიდი ხანია შენთვის არ მომიწერია და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა არა მხოლოდ პირად ცხოვრებაში არამედ ზოგადად კავკასიაში. ორი დღეა რაც ქუთაისში დავბინავდით ბაღდადიდან საშინელი დევნისა და ამის შედეგად სოფლებში ხეტიალის შემდეგ. დავრჩით თავშესაფრის გარეშე, უფრო სწორად რომ ვთქვათ ქონების გარეშე – ნამდვილი პროლეტარები ვართ. სოციალ-დემოკრეტები ცდილობენ ყველას გაპროლეტარებას მათი აზრით ის კლასი უფრო ენერგიულად იბრძოლებს პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებისათვის, რომელსაც არაფერი გააჩნია. მაგრამ ჩვენ არცერთ პარიას ვეკუთვნით. დავითი (წერილის ავტორის მეუღლე, ექიმი) ყველაფერს აკეთებდა თავისი მოვალეობის შესასრულებლად და ვერცერთი გამოძიება ვერ დაამტკიცებს მის აქტიურ მონაწილეობას რომელიმე პარტიაში, თუმცა ჩვენ ყველაზე მეტად დავისაჯეთ. აღა მაჰმად ხანის შემოსევა ვერ შეედრება რუსების საქართველოში შემოსვლას. როგორც წესი სრული სიმართლე რომ გაიგო, ყველაფერი პირველი ხელიდან უნდა მოისმინო.....

ნეტა შემეძლის ყველაფრის დეტალურად არწერა თუ როგორ გვდევნიდნენ 27 ნოემბრიდან მოყოლებული, როცა მათ აქ, ე. ი. ქუთაისში ბარიკადები აღმართეს. ისე შეშინებული ვიყავი სახლიდან ვერ გავდიოდი, მეშინოდა იმისაც კი, როცა ხალხი ქუჩაში ხმამაღლა საუბრობდა. ჯერ არ შეგვეძლო ბ. ში გადასვლა, ვინაიდან სახლი არ იყო დასრულებული, მაგრამ როგორც კი შუშები ჩასვეს და საღებავი

გაშრა, მაშინვე გადავედით იქ 30 დეკემბერს. მეორე დღეს მაშა მოვიდა ბავშვებთან ერთად. გვეგონა აქ მშვიდად ვიქნებოდით, მაგრამ ხმები მოდიოდა, რომ სურამის გვირაბი ააფეთქეს და მოხდა ჯარების შეტაკება, ამან ყველა უიმედო მდგომარეობაში ჩაგვყარა. შემდეგ გავიგეთ, რომ ეს არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რომ ჯარები თავისუფლად გადიოდნენ გვირაბში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, რომ ისინი გზადაგზა ჭავენ ყველა სადგურს, სახლებს, მაღაზიებს და ასე შემდეგ. ამის გამგონე ხალხი ბარგს ალაგებს და გარბის. შემდეგ მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა. ჩვენ დავარწმუნეთ ხალხი, რომ არ დაეტოვებინათ სახლები, ვინაიდან არანაირი მიზეზი არსებობდა ბ-ზე შეტევის განხორციელებისათვის. რამოდენიმემ დაგვიჯერა და დარჩა, მაგრამ ბევრმა მთებს შეაფარა თავი. 10 იანვარს გავიგეთ, რომ ნახევარი ქუთაისი გადაწვეს იმის გამიო რომ რამოდენიმე მაღაზია დაიკეტა გასული წლის ცხრა იანვარს არსებული მსხვერპლის მიმართ პატივისცემის მიზნით. (იგულისხმება პეტერბურგში არსებული სისხლისღვრა) ატყდა პანიკა, ქალები და ბავშვები გაიქცნენ. ჩვენ დამალვა გვირჩიეს, მაგრამ ღიმილით ვუპასუხე, რომ ისინი ჩვენთან არ მოვიდოდნენ, და თუ მოვიდოდნენ მხოლოდ მოძრაბის ლიდერებს დაუწყებდნენ ძებნას ან მათ, ვინც ამ მოძრაობაში იღებდა მონაწილეობას და იმის გამო რომ ჩვენ არანაირი სერთო გვაქვს არცერთთან, თავს უსაფრთხოდ ვგრძნობდით. ა-ს კიდეც დავავალე ოთახების დალაგება და დაბლა ხალიჩების და სურათების ჩატანა ხვალისათვის. 11 იანვრის დილას ადრე ავდექი, ბავშვები და დ. ისევ საწოლში იწვნენ. მაშამ შეამჩნია ქუთაისიდან მომავალნი, სხვებმა თქვეს, რომ ყაზახები მოდიოდნენ. შევწყვიტე თმის დავარცხნა, ბავშვებმა და დ.-მ ჩაცმა დაიწყეს. ჩვენმა მსახურმა მოგვახსენა, რომ ეს იყო ასეული, რომელსაც ოფიცერი მეთაურობდა. ჩვენ იმაზე დვიწყეთ ფიქრი, თუ რატომ მოდიოდნენ აქ ან რის გაკეთებას აპირებდნენ. მაშა და მე

შუშაბანდისაკენ გავიქეცით. სროლის ხმა გავიგეთ და დავინახეთ როგორ გარბოდნენ ქალაქის მეთაურები და როგორ მისდევდნენ მათ სროლით. ათი წუთიც არ იყო გასული, რომ ოფიცერი და ყაზახები ამოვიდნენ. მათ გვერდი აგვიარეს და აფთიაქს მიადგნენ. მისი მეპატრონე მოვიდა და გაგვაფრთხილა რომ ჯერ კიდევ დრო გქონდა გაქცევისათვის და რომ ყველას საავადმყოფოში უნდა შეგვეფარებინა თავი. ჩვენ დავარწმინეთ, რომ არაფერი მოხდებოდა მაგრამ თუ კი იარაღი ჰქონდა სადმე უნდა დაემალა. მასთან საუბრის დროს ყაზახები ფეხით ამოვიდნენ აფთიაქიდან. როდესაც ახლოს მოვიდნენ დავინახეთ, რომ სამხედრო ოფიცერი იყო ადიუტანტის ფორმაში ჩაცმული. ისინი ყველანი აივანზე იდგნენ, მე კარი გავარე და შემოვიპატიჟე. ოფიცერი, ოთხი ყაზახის თანხლებით შემოვიდა, გადატენილ თოფებს გვიმიზნებდნენ და გვიბრვერდნენ. მათ გვითხრეს რომ უნდა დაგვეყარა ყველანაირი იარაღი, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას დაგვხვრეტდნენ. ვერ წარმოიდგენ ამან როგორ შეგვაშინა. დ-მ თქვა, რომ ჩვენ არანაირი იარაღი გაგვაჩნდა და მე ვთვი, რომ ქალის რევოლვერი მქონდა და ეხლავე გამოვიტანდი, ვუბრძანე მასხურს მისი გამოტანა. ოფიცერი მიუბრუნდა ბიჭებს და ვინაობა ჰკითხა, სტუდენტები ხომ არ იყვნენ? მ-მ უპასუხა, რომ ისინი სტუდენტები იყვნენ. მათ თქვეს, რომ ისინი ორი სტუდენტის დასახვრეტად იყვნენ გამოგზავნილი, რომლებიც ბ-ში აგიტაციას ეწევიან და მათ ახლავე დახვრეტდნენ. მაშამ ტირილი დაიწყო, მე კი ვუთხარი, რომ ისინი არც თუ ისე დიდი ხნის წინ იყვნენ ჩამოსულნი და რომ არანაირ აგიტაციას არ ეწეოდნენ და უნდა რცხვენოდეთ ხალხის ყოველგვარი მიზეზის გარეშე დაშინებისათვის. მათ გამოიკითხეს ბიჭების სახელები, უნივერსიტეტი, პეტერბურგის დატოვების და იქ მისვლის დრო. შემდგებ სახლის გაჩხრეკა უბრძანა ყაზახებს და დაიწყო ყვირილი, რომ გუშინ ქუთაისი გადაწვა და დღეს ბ-ს გადაწვას გეგმავდა. მე ვთხოვე არ ეყვირა და

ბავშვი არ შეეშინებინა, შესულიყო და თავად გაეჩხრიკა სახლი. მეშინოდა რამეს მომპარავდნენ და მეც შევყევი კარადების, ყუთების, გასაღებად. როცა გასაღებს ვერ მალე ვერ ვპოულობდი, ეგრევე იარაღით ამტვრევდნენ ყველაფერს და ხანჯლით ჩხრეკდნენ ტანსაცმლის ყუთებსა და სამოგზაურო ჩანთებს. უცებ მომესმა: «რა არის ეს?» მივიხედე და იარაღი დავინახე... მხოლოდ მაშინღა გამახსენდა ამ იარაღის არსებობა... ეს იყო ძველი, დაჟანგებული, ყოვეგვარად გამოუსადეგარი სპორტული ვინჩესტერი. ჩვენმა სიძემ, პოლიციის ინსპექტორმა დატოვა მაშინ, როცა ჩვენი ხალხი დევნიდნენ ინსპექტორებს და კლავდნენ მათი იარაღის მოსაპოვებლად. დ-მ და მე ავუხსენით ეს ოფიცერს მაგრამ მათ თქვეს, რომ სახლი განწირული იყო დასაწვავად და დ. უნდა გაჰყოლოდა მათ, ვინაიდან ისინი აღარ გვენდობოდნენ. როცა დაასრულეს ჩხრეკა, გვიბრძანეს გარეთ გასვლა და სახლის დაწვა. მე მაშინვე ჩემს ჩანთას მივვარდი, სადაც ვინახავდი ქვითრებს და ჩემს ბეჭდებს, მაგრამ იგი იქ აღარ დამხვდა. ყაზახებმა იგი ჩხრეკის დროს წაიღეს. ამან ისე გამამწარა, რომ ჩემს კომოდზე დავემხე, ხელი დავავლე კუკუს, მაშას ხელი ვკარი გასასვლელისაკენ და გავედით გარეთ. ჩემი საწოლის ბალიშები ნავთში დაასველეს და ცეცხლი წაუკიდეს. იგივე გაიმეორეს ყველა ოთახში და ორივე აივანზე და დადგნენ სახლის გარშემო, რომ არავის ეცადა ცეცხლის ჩაქრობა ან სახურავის ბოლომდე ჩაწვამდე იქაურობის დატოვება. ჯერ მხოლოდ დ-ს უამრავი წიგნი, თვით მისი ინსტრუმენტები და მთელი ავეჯი, ყველაფერი დაიწვა. მე ხალათისა და ჩუსტების ამარა ვიყავი, და ხეტიალის დროს ისიც დავკარგე. მათი წასვლის შემდეგ ვნახეთ, რომ ბაზარი დაკეტილიყო და ის მაღაზიები, რაც გადაწვას გადაურჩა დალუქული იყო. რვა გვამი იყო, ერთი დამწვარი და რამოდენიმე დაჭრილი. ისინი ყველას ესროდნენ, ვინც გარბოდა და ასევე ყველას ვინც რჩებოდა.ზოგს იმიტომ ესროლეს, რომ სახუთარი

ნივთების ცეცხლმოკიდებული სახლიდან გამოტანა მოინდომეს. უკან წამოსვლისას ყველა სახლი გადაწვეს განურჩევლად გლეხისა თი თავადისა. მათ ამ ზიანის მოყენება ორ-სამ საათში მოასწრეს და ქურდობის, მკვლელობებისა და გადაწვის შემდეგ წავიდნენ. ერთი თვის წინ აბასთუმნიდან ერთი რუსი ოჯახი ჩამოვიდა. კაცი დურგალი იყო, ხოლო ქალი მრეცხავი, იგი ისე მოხდა, რომ ჩვენთვისაც აუთოვებდა იმ დილით. მე იგი დავამშვიდე და ვუთხარი, რომ რადგან ისინი რუსები იყვნენ, მათ ხელს არ ახლებდნენ, თუმცა შევცდი. როდესაც სახლს ცეცხლი წაუკიდეს, დურგალი, რომელიც ასევე კოჭლი იყო, შევარდა თავისი ყუთის გამოსატანად; მათ იგი კარებთან მოკლეს, და მის ბიჭს ცეცხლი გაუსხნეს, მან გაქცევით უშველა თავს. მსგავსი რამ სხვაგანაც ხდება. ისინი თავს დაესხმებია,ნ კლავენ, ძალადობას ხმარობენ ქალებზე და მერე ტოვებენ ადილს. ხდება ისეც, რომ როდესაც ვინმეს სახლის დასაწვავად მიდიან, ზოგი მიდის და სთხოვს რომ არ დაუწვან სახლი და ტყვედ წაიყვანონ ერთ-ერთი მათგანი, რომელიც დამნაშავედ მიაჩნიათ; ისინი აპატიმრებენ ზოგს და როგორც კი წაიყვანენ, თავს კვეთენ ან ხვრეტენ. მათ უკვე წესად აქვთ, რომ ტყვეები საპატიმროში კი არ უნდა წაიყვანონ, არამედ გზად დახვრიტონ. მასგავსი რამ არა მხოლოდ სოფლებში ხდება, არამედ ქუთაისში, გვამები ქუჩაში ყრია. არც თუ ისე დიდი ხნის წინ მათ ტყვეები ჩამოიყვანეს სენაკიდან; როდესაც ციხეში მიიყვანეს, ოფიცერმა ყვირილი დაუწყო მათ თუ რატომ მიიყვანეს ყველა, სულ მცირე ნახევარი მაინც გზაში უნდა დაეტოვებინათ. დარაჯისათვის უკითხავთ: როდესაც ტყვეებს იყვანთ გზაზე ტოვებთ, თუ ციხელში მიგყავთო, მან უპასუხა როგორც გაგიხარდებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ გზაზე უნდა დაიხვრიტონ. ერთი სიტყვით რომ ვთავათ ერთი მეორეს ეჯიბრება სიმკაცრისა და უხეშობის გამოვლენაში. ასეთია ჩვენი კარგი და სასიამოვნო ამბები! ესაა კავკასიის სიმშვიდე! ამ საქციელის შემდეგ ძნელი

დასაჯერებელია რუსების მტკიცება, რომ ისინი იაპონიაში ევროპელთა მსგავსად იქცეოდნენ და ტყვეებს კარგად ექცეოდნენ. ამ წერილის წერისას ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ ამას ყველაფერს თავიდან გავდივარ.

ახლა აქ მოვედი და მაინტერესებს თუ რამე გამოვა კომპენსაციის მოთხოვნით, იმის გამო, რომ სრულიად შიშველები დავრჩით. ვიფიქრე, რომ ძლივს ჩავსახლდებოდით: მშვენიერი სახლი იყო, სიტუაციაც სასიამოვნო, ქალაქთან კარგი კავშირი იყო დღეში ორჯერ. რამოდენიმე ავეჯის გარდა ყველაფერი მქონდა, მათ მიღებასაც მალე ვაპირებდი. ახლა კი აღარაფერი გამაჩნია. როდის მოვეწყობი კიდევ ისე, როგორც მე მინდა? რთულია, მაგრამ რა გინდა გააკეთო. დარდს ვერაფრით უშველი.

როდესაც ყაზახები წავიდნენ მე პირჯვარი გადავიწერე და ყველას ვუთხარი, რომ ამაზე აღარ ეფიქრათ მთავარი ის იყო, რომ მათი ხელიდან ცოცლებმა დააღწიეს თავი. ა. და მ. იქ დარჩნენ, ისინი ჩვენთან გლეხებად მუშაობდნენ. მაშამ აღარ მისცათ მათ სტუდენტის სამოსის ტარების უფლება, ჩერქეზული სამოსის ჩაცმა აიძულა. აქამდე ჩვენი «კეთილის მსურველები» არ გამოცენილან ჩვენს მამულში, მაგრამ ერთ მსვენიერ დღეს შეიძლება კიდეც მივიდნენ. დიდად მადლობელი დაგრჩები თუ ვინმე ნაცნობი გყავს მთვრობაში, რომ დამეხმაროს რაიმე კომპენსაციის მიღებაში ან იმ ოფიცერის დასჯაში. ჩემთვის მეორე უფრო სასურველი იქნებოდა....

ვერა ჩიჩევაძე. (MS.Wardr. C2)

ვფიქრობთ, რომ ამ წერილს უნდა ჰქონოდა მარჯორისეული კომენტარები, სადაც იგი ადრესანტს განუმარტავდა მისი თარგმნისა და გაგზავნის მიზანს, ისევე როგორც მან გიბრალტარის მრვდელთმთავარს განუმარტა წერილის მასთან გაგზავნის მიზანი. (შტოიერი, 2011 მარტი)

როგორც ბაბო ბაგრატიონი, ასევე ვერა ჩიჩევაძე, თუ თარხან მოურავი არიან XIX-XX საუკუნის მიჯნაზე მცხოვრები მანდილოსნები და მათზე არსებული, შემონახული წერილები, თუ სტატიები საინტერესო და მდიდარ მასალას წარმოადგენს მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებულ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გასაცემად.

როგორია მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველი მანდილოსანი დღევადელი გადმოსახედიდან? გულღია, სადა და თავისუფალი პიროვნება, რომელსაც შეუძლია წვეულების გამართვა და საგღეგრძელოების წარმოთქმა, ყველასაგან აპლოდისმენტების დამსახურება. მას თავისუფლად შეუძლია განათლების მიღება, ამასთან უცხო ქვეყანაში საქმის წამოწყება და მისი წარმატებით წარმართვა. ეს ყოველივე დღევანდელი გადმოსახედიდან გამომდინარე თითქოს წარმოუდგენლელი უნდა იყოს. გამრჯეობითა და შრომისმიყვარეობით გამოირჩევა ბაბო ბაგრატიონი, რომელსაც დილის რვა საათამდე უწევს მუშაობა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები ქართველი მანდილოსანი ქველმოქმედია, შეუძლია გაჭირვებულის შეწყალება და მეგობრის გვერდით დგომა, უნუგეშოს ნუგეშისცემა, ამასთან ოჯახის იმ კრიზისიდან გამოყვანა, რაც რუსული ჯარის საქართველოში შემოსვლას მოჰყვა.

როგორია ამავე პერიოდში მცხოვრები ინგლისელი მანდილოსანი? ივერიის კორესპონდენტი, ვაზიანი თავის სტატიაში „ინგლისის ახლანდელი დედაკაცი“ თანამედროვე ინგლისელ მანდილოსნებზე საუბრობს:

„ეხლანდელი ქალი შეიარაღებულია ცოდნით, მხნეობით სავსეა და მზად არის საზოგადო და საერო ცხოვრებაში განახორციელოს დედა აზრნი კეთილისა, სიყვარულისა და მორიგება-თანხმობისა.“ (ვაზიანი 1894 : №188)

„ამას უნდა დავურთოთ ზედ ერთი საზოგადო ხასიათი ინგლისელებისა, რომელიც ერთნაირად ემჩნევა ყველას, წოდების განურჩევლად. ეს ხასიათია საკვირველი სიყვარული სიმართლისა, მართლის თქმისა... ძვირად აფასებენ თავიანთ სიტყვას. ინგლისელები საზოგადოდ თავდაჭერილი ხალხია და ცოტას ლაპარაკობენ, იმათი მოკლე სიტყვა სავსეა აზრით, სიმართლით, იუმორით“ (ვაზიანი 1894 : №140)

აღსანიშნია, რომ მარჯორის ქალად ყოფნა ხელს არ უშლის აქტიურ საზოგადო მოღვაწეობაში. როგორც ბაბო ბაგრატიონი, ასევე მარჯორი, ხშირად მოგზაურობენ საზღვარგარეთ. ქართულ კოლექციაში დაცული წერილები დაწერილია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში: საფრანგეთში, პეტერბურგში, ინგლისში; ორივეს სამშობლოდან შორს უწევთ ცხოვრება.

მათი წერილების მიხედვით ორივე მანდილოსანი საკმაოდ განათლებულია, ფლობენ უცხო ენებს: რუსულს, ფრანგულს.

ქართველი ქალებით აღფრთოვანებული, სიმართლის მოყვარული, მხნეობით შეიარაღებული, ინგლისელი მანდილოსანი, ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის მასალებიდან გამომდინარე, გასაჭირში ჩავარდნილ ქართველ მანდილოსანთა მაშველად გვევლინება. დიდ გაბედულებას იჩენს იგი რუსული პოლიტიკის კრიტიკის დროს. თავს არ ზოგავს მეგობართა დასახმარებლად. გასაჭირში ჩავარდნილი ნათესავის დასახმარებლად ბაბო ბაგრატიონიც მზადაა საქმის კურსში ჩააყენოს მარჯორი, ვინაიდან იცი, რომ მისი ხმა უკეთ მიწვდება იმ პირებს, ვისგანაც დახმარების მიღებაა შესაძლებელი.

დამოუკიდებლობა, საკუთარ ფეხზე დგომა და საკუთარი უფლებების დაცვაა ის, რაც არაფრით განასხვავებს ამ მანდილოსნებს თანამედროვე, XXI საუკუნეში მცხოვრები მანდილოსნებისაგან.

ამდენად, ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაბადებულ მანდილოსნებს, ბაბოსა და მარჯორის მრავალი აქვთ საერთო. მათი აერთიანებთ ერთი სულისკვეთება და ერთი სურვილი, ქართველი ხალხის, საქართველოს კეთილდღეობისა და ქართველი ხალხის ბედნიერებისა. ამ მასალებმა მოგვცა ასევე საშუალება გვეთქვა ისიც, რომ XIX საუკუნის დასაწყისში მცხოვრები მანდილოსანი დღევანდელი გადმოსახედიდან გენდერულად თანასწორია.

II. მარიამ საქართველოს უკანასკნელი დედოფალი და მარჯორი უორდროპი

2008 წელს მარჯორი უორდროპის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებით, აქამდე არსებული მასალების ხელახალი გადახედვისა და ოქსფორდის ბიბლიოთეკის ქართული ფოდის შესწავლის შემდეგ, მიკვლეულ იქნა მრავალი საინტერესო და ღირებული ინფორმაცია, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ინგლისურ-ქართული ურთიერთობების შესწავლისათვის, არამედ ასევე საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული მრავალი დეტალის დადგენისათვისაც.

ამჯამად, ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ-ერთ წერილზე, რაც მარჯორის აშკარად მაღალი რანგის პირთან გასაგზავნად უნდა ჰქონოდა თარგმნილი. წერილი მარჯორისეული ხელნაწერი ვერსიის სახითაა შემონახული, მის მიერ შესრულებული ჩასწორებებით. თარგმანი შედგება თერთმეტი თაბახის ფურცლისაგან და ბოდლის ბიბლიოთეკაში MS. Wardr. C26 შიფრითაა დაცული.

ესაა საქართველოს უკანასკნელი დედოფლის, მარიამის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი პეტიცია / თხოვნა, რაც დედოფლის მიერვე გაგზავნილ იქნა იმპერატრიცა – მარია თეოდორეს ასულთან და სანკტ პეტერბუგის მიტროპოლიტთან. სტატია გამოქვეყნებულია პუბლიცისტის, ზაქარია ედილაშვილის ქართულ გაზეთში "ივერია." (ედილლი 1895, №109) ქართულ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაზე მითითებულია, რომ ესაა *თარგმანი.* ღოგორც ჩანს, მას ეს ინფორმაცია 1866 წელს გამოქვეყნებული დუბროვინის ნაშრომიდან გადმოუღია. (Дубровин 1866) მარჯორი რუსულსა და ქართულთან

ერთად კიდევ ხუთ ენას ფლობდა. საინტერესოა რომელი ვერსიიდან უნდა ეთარგმნა, რუსულიდან თუ ქართულიდან?

მოცემულ თავში ჩვენს მიერ ჩატარებულია კვლევა მარჯორის მიერ ნათარგმნი მარიამ დედოფლის წერილისა, საქართველოს ისტორიის, კერძოდ 1803 წლის მოვლენების ფონზე. აღნიშნული თავის მიზანია 2008 წელს მიკვლეული მარჯორისეული თარგმანის შესაბამისი დედნის დადგენა, მასში აღწერლი შინაარსის დედანთან და აქამდე არსებულ ისტორიულ წყაროებთან შედარება, ამასთან, საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული გარკვეული საკითხების დაზუსტება.

რა აერთიანებთ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ორ მანდილოსანს მარჯორი უორდროპსა და მარიამ საქართველოს უკანასკნელ დედოფალს? მათთვის ორივესთვის მნიშვნელოვანია უსამართლობის გარკვევა, სიმართლის დადგენა და დამნაშავის დასჯა.

მარჯორის მიერ შესრულებული წერილი მეტად ყურადსაღებია, ვინაიდან მან შემოგვინახა საკმაოდ მდიდარი ინფორმაცია ისტორიკოსებისათვის, სადაც დედოფალი დაწვრილებით აღწერს მის გადასახლების პერიოდს, მიზეზებსა და შედეგებს.

მარიამის წერილი პირველად 1866 წელს გამოქვეყნდა წიგნში: "ზაკავკაზიე" 1803-1806, (Дубровин 1866) ნ. ნიკოლაი ფეოდოროვიჩ დუბროვინის მიერ. ამის მიუხედავად, 1894 წლის ქართულ ჟურნალ "მოამბეში" დაბეჭდილ პოლკოვნიკ როიტერის წერილში დედოფალი კვლავ მკვლელადაა მიჩნეული.

მარიამ დედოფლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალმა მეცნიერმა თქვა თავისი სიტყვა. მათ შორისა არიან: კრისტოფერ ბაიერსი (Buyers 2007); დევიდ მარშალ ლენგი (Lang 1957, Lang 1962); თამარ და აკაკი პაპავები: (პაპავა 1956); ეს თემა განხილულია კ. მაკფარლეინის რედაქტორობით გამოცემულ

“*სამაგიდო საუბრების ჩანაწერებში*“ (Maria... 1847). მარიამი ყველგან გენერალი ლაზარევის მკვლელადაა მიჩნეული და ეს ფაქტი გამოყენებულია მისი რუსეთში გადასახლების საბაბად.

დევიდ ლანგი იმეორებს რა კოლონელის ვერსიას, (Colonel B. E. A. Rottiers, in his *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Brussels 1829, pp. 73-83.) მოაქვს აქვე გამოქვეყნებული ფოტო (იხილეთ დანართი №36) და დასძენს:

“*მარიამ დედოფლის რეზიდენციაში მისვლისას ლაზარევმა იგი საკუთარ ოთახში იხილა, ტახტზე მჯდომარე, რომელსაც გარს ეხვია შვიდი მძინარე ბავშვი. ლაზარევმა გაიწია დედოფლისაკენ და უხეშად მიმართა თარჯიმნის პირით: ადექი, წასვლის დროა. დედოფალმა მშვიდად მიუგო: რა გეჩქარებათ? ვერ ხედავთ როგორ მშვიდად სძინავთ ბავშვებს ჩემს გარშემო? უცებ რომ გავადვიძო, ვშიშობ, ეს საძიანო იქნება მათთვის. ვინ მოგცათ ამისი ბრძანება? გენერალმა უპასუხა, რომ ეს იყო თავად ბატონი ციციანოვის ბრძანება.*

- ციციანოვი - ეს გიჟი ძაღლი! -წამოყვირა მარიამმა.

ამის თქმაზედ, ლაზარევი დაიხარა მის ფეხით მოსათრევად. დედოფალი მუხლებით ეყრდნობოდა ბალიშს, რომლის ქვეშ დამალული ჰქონდა ქმრის, მეფე გიორგის კუთვნილი ხანჯალი. ელვის სისწრაფით გამოაძრო ხანჯალი და ლაზარევს ისეთი ძალით გაუყარა, რომ მისი წვერი მეორე მხარეს გამოვიდა.“ [1] (Lang 1962)

დედოფალი მარიამი ლენგის მიერ დახასიათებულია როგორც სასტიკი და პატივმოყვარე პიროვნება. მისი თქმით, როდესაც

———————

1. *“At this, Lazarev bent down to drag her forcibly to her feet. The queen was holding on her knees a pillow, beneath which she held concealed the dagger which had belonged to her late*

husband, King Giorgi. As quick as lightning, she drew the dagger and stabbed Lazarev through the body with such force that the tip of the weapon emerged through his left side."

დედოფალს ხანჯალი ლაზარევის ორგანიზმისან გამოუძვრია, მას ზედ დაუყოლებია, რომ ასე მოკვდებოდა ყველა ვინც გაბედავდა მასთან უპატიოსნო საქციელს.

ოლივერ უორდროპიც თავის *"საქართველოს სამეფოში"* მარიამს მკვლელად მოიხსენიებს. მისი თქმით, სამეფო ოჯახის რუსეთში გადასახლება ბატონი ციციშვილის ბრძანებით მოხდა. *"გადასახლების პროცესი დაკავშირებულია ერთ უბედურ შემთხვევასთან. დედოფალმა მარიამმა უარი განაცხადა წასვლაზე. ერთ ადრიან დილას ლაზარევი შევიდა დედოფლის საძინებელში ჯარისკაცებთან ერთად და ძალით სცადა მისი წამოყვანა. მან იგი კაბის ქვეშ დამალული ხანჯლით მოკლა."*[1] *(Wardrop 1888: 130)*

თანამედროვე რუსული პრესა მარიამის შესახებ მსგავს ინფორმაციას ავრცელებს:

"როგორც ცნობილია საქართველო რუსეთის ქვეშ გერთიანდა და აქედან შეწყდა მისი, როგორც პოლიტიკურ ერთეულად არსებობა. ამასთან 1803 წელს საქართველოს ყოფილმა დედოფალმა საზარელი დანაშაული ჩაიდინა (совершила страшное преступление), მოკლა გენერალი ლაზარევი. მისმა ქალიშვილმა თამარმა, იმის მიუხედავად, რომ იგი საკმაოდ ახლაგაზრდაა, თბილისის პოლიციის მეთაურის მოკვლა სცადა საკუთარი ხელით. მან თავს ძლივს უშველა გაქცევით. მის გამო, იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ორივე დამნაშავე კურსკის გუბერნიაში გადაასახლა – ბელგოროდში, ქალთა მონასტერში." (Tankov 1901)

ყოველგვარი გამოძიების გარეშე მკვლელობაში

———————————

1."...and this removal was accompanied by a very unfortunate incident. Queen Maria, widow of Giorgi, refused to go; General lazarev proceeded early one morning to the queen's sleeping

appartment with some soldiers and attempted to force her to accompany him; she killed him with a dagger which she had consealed under the her dress." (Wardrop 1888: 130)

დადანაშაულებული, დაჭრილი დედოფალი, როგორც ბოროტმოქმედი, ისე გადაასახლეს რუსეთში. ეს ფაქტი კი ისტორიკოსთა წყაროებზე დაზრდნობით ასე აღიწერება:

მარიამი, საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, 1783 წლის 13 ივლისს გახდა გიორგი XII-ის, საქართველოს უკანასკნელი მეფის მეორე მეუღლე. მათ რვა ვაჟი (მიხეილი, ჯიბრაილი, ელიზბარი, იოსები, სპირიდონი, ოქროპირი, სვიმონი ირაკლი) და სამი ქალიშვილი (თამარი, ანა, ანა) შეეძინათ. უორდროპის წერილში მოხსენიებულია მათი სახელებიც.

საქართველოში სამოქალაქო ომის წამოყების საშიშროების არსებობის გამო, 1799 წლის სექტემბერში გიორგიმ ხელშეკრულება გააფორმა რუსეთის იმპერატორ პავლე პირველთან, რის გამოც რუსეთის ჯარმა, საქართველოს საგარეო ურთიერთობების მოგვარების მიზნით, დაიკავა საქართველოს ტერიტორია პიოტრ ივანოვიჩ კოვალენსკის მეთაურობით. საქართველოს მეფემ რუსეთის იმპერიასთან გადაწყვიტა ხელახალი ხელშეკრულების გაფორმება, რის საფუძველზეც, საქართველოს სამეფო დინასტიის ხელშეუხებლობისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შენარჩუნების გარანტიის გაცემის შემთხვევაში რუსეთს უფრო მეტი ძალაუფლება ენიჭებოდა, ამჟამად რუსეთს უკვე შეეძლო ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში ჩარევა. ამის მიუხედავად 1800 წლის 18 დეკემბერს გაიცა ბრძანება საქართველოს ანექსიის შესახებ. არც გიორგის და არც პავლეს არ უნახავს ამ მანიფესტის დაბეჭდილი ვერსია, თუმცა უკვე 1800 წლის 28 დეკემბერს, დესპანების საქართველოში ჩამოსვლამდე, გიორგი XII გარდაიცვალა და დავითმა თავი მეფედ გამოაცხადა. პავლე 1801 წელს მოკლეს და მისმა ვაჟმა, ალექსანდრე I-მა, არ მისცა დავითს გამეფების უფლება. 1801 წლის 12 სექტემბრის ბრძანებით ალექსანდრემ საქართველოს

ანექსიის ბრძანება გასცა, გააუქმა საქართველოს მონარქია და მოახდინა საქართველოს ანექსია. 1802 წელს ახლად დანიშნულმა რუსულმა ადმინისტრაციამ დაიწყო საქართველოს სამეფო დინასტიის წევრების რუსეთში გადასახლება, ვინაიდან მათი საქართველოში ყოფნა თითქოს ქართველ ხალხში სახელმწიფოებრიობის განახლების სურვილს ასაზრდოებდა.

1803 წლის აპრილს საქართველოში მთავარმმართველად დანიშნულმა რუსთა სარდალმა, თავად პავლე ციციანოვმა, გარუსებულმა ქართველმა და ასევე, როგორც ცნობილია, საქართველოს დედოფლის შორეულმა ნათესავმა, გაოგო რა, რომ დედოფალი ხევსურეთში გაპარვას აპირებდა, უბრძანა მაიორ – გენერალ ივან პეტროვიჩ ლაზარევს, რომ დედოფალსა და მის შვილებს სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინათ საქართველო და ისიც დაცვის თანხლებით. მეორე დღესვე, 1803 წლის 22 აპრილს რუსი სალდათები მივიდნენ დედოფლის სასახლეში და ლაზარევმა უბრძანა მარიამს, რომ ამდგარიყო და გამზადებულიყო წასასვლელად. დედოფალმა უარი განაცხადა წასვლაზე. გენერალმა ფეხში წაავლო ხელი, რომ აეძულებინა ამდგარიყო იმ ბალიშიდან, რომელზეც იგი იჯდა ბავშვების თანხლებით. მარიამმა, მსგავსი ძალადობის შედეგ ბალიშის წინ მდებარე ხანჯალი გამოიღო, გაუყარა მას და ადგილზევე მოკლა. ლაზარევის მთარგმნელმა აიღო ხანჯალი და დედოფალს თავში ჩასცხო, ისე, რომ დედოფალი ძირს დაეცა. სალდათები შევარდნენ საძინებელში და დააპატიმრეს დედოფალი და მისი შვილები. (Lang, 1962 : 46-7)

მრავალრიცხოვანი ჯარის თანხლებით, დარიალის გადასასვლელის გზით, ისინი საქართველოდან გაიყვანეს. იგი ვორონეჟში, ბელოგოროვსკში რვა წელი ტყვეობაში ამყოფეს და 1811 წელს მოსკოვში გადასვლის ნებართვა მისცეს. დედოფალი 1850 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოველში.

დედოფლის გადასახლებასთან დაკავშირებით მრავალფეროვანი ინფორმაცია ვრცელდება სხვადასხვა წყაროებში. მარჯორის მიერ თარგმნილი, ოქსფორდის ბოდლის საცავში 2008 წელს მიკვლეული წერილი ყურადსაღებია, ვინაიდან იგი ეჭვქვეშ აყენებს მარიამ დედოფალთან დაკავშირებულ აქამდე აღწერილ გარკვეულ დეტალებსა და ისტორიკოსთა მიერ მოწოდებულ რამოდენიმე მნიშვნელოვან და გასათვალისწინებელ მომენტს. გარდა იმისა, რომ მოცემულია თავად მოქმედი პირის მიერ დაწერილი არსებული რეალობა, შევსებულია ამ პერიოდთან დაკავშირებული ზოგიერთი დეტალი.

დედოფალი თავად სთხოვს რუსეთის უმაღლეს პირებს ნება დართონ, მიიღონ, მოუსმინონ და მტყუანი დასაჯონ. იგი დაწვრილებით აღწერს თუ როგორ ეპყრობოდნენ ქართველ დედოფალს და მეფის შთამომალებს რუსი ჩინოვნიკები და მათ აღვირახსნილობას.

მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი წერილის დედანი, მარიამ დედოფლის წერილი გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ზაქარია ედილაშვილმა *ედილლის* ფსევდონიმით. (იხილეთ <u>დანართი 27)</u> (ედილლი 1895)

წერილში აღწერილია 1803 წელს მომხდარი ტრაგედია, რაც მცირედ განსხვავდება არსებული ისტორიული წყაროებისაგან:

ა) მარიამი ახსენებს, რომ ლაზარევი მას თავისი ჯარით 18 აპრილს ესტუმრა პირველად და არა 22 აპრილს. მეორე დღეს, კვირას, 19 აპრილს, გამთენიისას დაატოვებინა სასახლე. პირველი უზუსტობა სწორედ თარიღებთანაა დაკავშირებული, ხოლო მეორე კი მოქმედების ადგილთან.

ბ) წერილის მიხედვით შემთხვევა საძინებელ ოთახში მოხდა. ვინაიდან ლაზარევი დილით ადრე მიადგა დედოფალს, იგი საწოლში იმყოფებოდა ვაჟ ირაკლისთან ერთად და არა ბალიშზე იჯდა შვილებთან ერთად, საიდანაც შემდგომ ხმალი გამოაძრო.

გ) წერილის მიხედვით ამ ამბის მხილველი ცამეტი-თოთხმეტი ყაზახი იყო და სწორედ ისინი იყვნენ ლაზარევის ბრძანების შემსრულებლები, მათ უნდა გადმოეყვანათ დედოფალი საწოლიდან და ლაზარევს ხელიც არ უხლია. ისინი იყვნენ ამ ამბის თვითმხილველებიც. სხვა ცნობების მიხედვით კი სწორედ ლაზაევმა დაიწყო არსებული ბრძანების შესრულება, მან მოჰკიდა დედოფალს ხელი.

დ) მარიამის წერილში ხანჯალი სწორედ შვილის, ჯიბრაილის ხელში ჩნდება პირველად, ვინც ცდილობს დედის უფლებების დაცვას. მარიამს კი, თურმე სარკმლიდან აუღია ხანჯალი თავდაცვის მიზნით.

ე) ისტორიკოსთა მიხედვით ლაზარევმა ხმალი თავში მოარტყა დედოფალს. თავად დედოფალი კი თავისი ხელით წერს, რომ ხმალი მხარში მოხვდა, ამის დასამოწმებლად კი მოწმეებიც მოჰყავს, ის ექიმები, რომლებმაც ჭრილობა შეუხვიეს. მას შემდეგ მრავალმა მიაყენა მარიამს ჭრილობა, მაგრამ არცერთი ყოფილა თავის არეში.

წერილში ნახსენებია ასევე გადასახლების მეორე მიზეზი, დედოფლის ქალის, თამარის მიერ ასევე რუსი მოხელის დაჭრა, რაც რა თქმა უნდა სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან დაჭრილი პიროვნება თავად მასთან იმყოფებოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დედოფალი თავად კი არ აპირებდა გაპარვას, წერილის მიხედვით ვაჟი უნდა გაეპარებინა მხოლოდ. დედოფალი, რომელიც განწირული იყო გადასახლებისათვის, თითქოს განზრახ წელავდა დროს, იქ უფრო დიდ ხანს დარჩენის მიზნით.

აღსანიშნია წერილის დასასრული, სადაც მითითებულია, რომ დედოფლის ეს და სხვა არსებული თხოვნა არასოდეს გაუთვალისწინებიათ, არასოდეს უცდიათ დამნაშავის მოძებნა და დასჯა.

წერილში მოცემულია და ახსნილია ის შედეგი, რითაც დასრულდა ეს ტრაგედია, ცილისწამების მიზეზები და ის

უსამართლო ბრალდება, რომელიც რუსებმა წაუყენეს ქართველ დედოფალს და გამოიყენეს მისი რუსეთში გადასახლების სფუძვლად საქართველოს სრული ანექსიის მოხდენის მიზნით. რაც მთავარია თავად ქართველებიც დაგვაჯერეს ამ უსამართლობაში, რომ დედოფალმა ლაზარევი ადგილზე მოკლა იმ მიზნით, რომ მას სასახლის დატოვება არ სურდა.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მასალებიდან, კერძოდ ლაზარევისადმი მიერილი 1803 წლის 18 აპრილით დათარიღებული წერილიდან (№745) ვიგებთ ინფორმაციას დედოფლის გადახალების მიზეზებზე:

„იმის გამო, რომ დედოფალი მარიამი, თავისი ოჯახით და მეფისწული ბაგრატ გიორგის ძე გეგმავენ საიდუმლოდ თბილისადნ გაქცევას, რისთვისაც უკვე გარკვეული ზომები აქვთ მიღებული, თბილისი შუაგულიდან გაპარვის აღკვეთის მიზნით ვბრძანებ, რომ იგი თქვენი თანხლებით, ამავე მიზეზის გათვალისწინებით მოზდოკში გადაიყვანოთ.“ (Акты собранные…1868:111)

წერილიდან ვიგებთ, რომ ბრძანება მარიამ დედოფლის გადასახლების შესახებ გაცემულია 18 აპრილს და მიზეზად კი მისი თბილისის სასახლიდან გაქცევაა დასახელებული.

დედოფლის გადასახლება სინამდვილეში, ამავე აქტების მასალებზე დაყრდნობით დიდი ხნის წინ იყო დაგეგმილი. მარიამ დედოფალს მოთხოვნა გადასახლების შესახებ ჯერ კიდევ 1802 წელს ჰქონდა მიღებული. ამის გამო იგი სისხლით ნათესავს, ციციანოვს შეწყალებას სთხოვს, ახსენებს ზავის პირობებს და 1802 წლის 2 თებერვალს სწერს:

„მებოძა მისი დიდებულებისაგან ჩემდამი მოულოდებელი წერილი, რომელსაცა ჰაზრი მიცხადებს ჩემსა შვილებიანად როსიად წასვლასა...“ (Акты собранные…1868:111)

სამწუხაროდ, იგი უკვე 1803 წლის 14 აპრილს იღებს წერილს ისევ ციციანოვისაგან, რომ მას აღარ აქვს ქონების განკარგვის უფლება. 14 აპრილს იგი უკვე ნიშნავს "პრისტავს", რომელსაც ევალება მარიამის რუსეთში გადასახლება. დედოფალი განწირულია გადასახლებისათვის.

საიდან გვაქვს ინფორმაცია მარიამის მიერ მკვლელობის ჩადენის თაობაზე? ამჟამად არსებული კვლევები ეფუძნება ისევ ციციანოვის 1803 წლის 20 აპრილით დათარიღებულ წერილს, (№45) სადაც იგი აღწერს 1803 წლის 19 აპრილს, დილის ექვს საათზე მომდარ ინციდენტს. (Акты собранные…1868:111-112) ადამიანს, რომელსაც დავიწყებული აქვს თავისი მოვალეობები სამშობლოს წინაშე, მოკვეთილი აქვს თავისი ფესვები და იმ დროს, როცა თავის ქვეყნანას დახმარება სჭირდება, დედოფალს გადასასახლებლად იმეტებს, ვფიქრობთ, რომ ადვილად შეეძლო მარიამის დადანაშაულება. პლატონ იოსელიანის ცნობით გენერალი ლაზარევი მოკლულ იქნა მისივე მხლებლის, ნიკოლოდ ხიმშიაშვილის მიერ, რის შემდეგაც იგი სასახლიდან შეუმჩნევლად გაპარულა და ახალციხეში გადახვეწილა. (ბორაშვილი-შტოიერი... 2010)

მარიამის უდანაშაულობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ, რუსი გენერლის მკვლელობაში დადანაშაულებული საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, ვორონცოვს მცხეთაში დიდი პატივით მიუსვენებია და ზალპის თანხლებით, მეუღლის, გიორგი XII-ის გვერდით დაუკრძალავს. საინტერესოა რისი მომასწავებელი იყო ეს ჟესტი? იქნებ დანაშაულის მონანიების?

მარჯორიმ მნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნია ეს ინფორმაცია, ამიტომაც გადაწყვიტა მისი თარგმნა და სიმართლის გავრცელება ევროპაში. საფუძველმოკლებული არ იქნება იმისი თქმაც, რომ მანაც ირწმუნა დედოფლის უდანაშაულობა არსებული პოლიტიკური

ვითარების ფონზე, როცა რუსეთის ხელისუფლება სასტიკად უსწორდებოდა საქართველოს მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას – თავადსა თუ გლეხს.

მარჯორი უორდროპის ამ თარგმანში გარდა მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციისა, ასევე მოცემულია მისეული თარგმანის პრინციპები. როგორ მიუდგა მარჯორი ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის თარგმნას? რისი გადატანა ჩათვალა მან უმთავრესად – მხატვრული მხარის, თუ ერთგული დარჩა შინაარსის?

როგორც თავად თარგმანიდან ჩანს, მარჯორის სწორედ ქართული ვერსიიდან უნდა ჰქონდეს თარგმანი შესრულებული, ვინაიდან წინადადები ზედმიწევნითი თანმიმდევრობით მიჰყვება დედანს. მარჯორი საოცარი რუდუნებით უდგება თითოეულ ფრაზას და ყოველი მათგანი სხარტად და ლაკონურად გადააქვს. არცეთი სიტყვაა ზედმეტი. მთარგმნელს ესმის რა ამ დოკუმენტის თარგმნის მნიშვნელობა და იცავს ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპს.

ყურადღება გამახვილებულია ასევე მხატვრული მხარის შენარჩუნებასა და ემოციურობაზე. *„ნუ-თუ ისეთი რამ უნდა გვიყონ, რომ თავის მოწამლვად და **სიცოცხლის საუკუნოდ გამოსასალმებლად** ღირდესო...“ თარგმნილია როგორც: „Where we in such a state, said we, that they should think it worth own while to poison ourselves and **to bid an eternal adieus to life**.“* მთარგმნელმა თავი გაართვა მხატვრულ ხერხებს, მეტაფორებს და ზუსტი შესატყვეისები დაუძებნა მათ. *The people surged in like the sea, like lightning my story flashed over all the town...* ასე თარგმნა შემდეგი ფრაზა: *„ხალხი ზღვასავით მოგვაწყდა, ჩემს ამბავს ელვასავით გაერბინა მთელს ქალაქში...“* სასვენი ნიშნები, ინტონაცია და რითმიკაც კი დედნის მიხედვით აქვს გადატანილი. ვვარაუდობთ, რომ აღნიშნული წერილი მარჯორის

ასევე ვინმესთვის, კერძოდ მაღალი რანგის პირისათვის გასაგზავნად ჰქონია ინგლისურ ენაზე თარგმნილი.

ოქსფორდის საცავში მიკვლეული მარჯორისეული თარგმანის სრული ვერსიისათვის იხილეთ დანართი 26. (MS.Wardr. c. 26 (6) პირველი გვერდის მარჯორისეული ხელნაწერის ასლისათვის იხილეთ დანართი 28 (MS.Wardr. c. 26 (6)

ამრიგად, თარგმანი საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან აქ ეჭვქვეშაა დაყენებული აქამდე არსებული ზოგიერთი დეტალი, მოცემულია თავად ავტორის მიერ მოწოდებული ვერსია. თარგმანი საკმაოდ ახლოსაა დედანთან, როგორც შინაარსობლივი, ასევე მხატვრული მხარე ზედმიწევნითაა გადატანილი. აღნიშნული თარგმანის მიზანი კი ზუსტი ინფორმაციის ადრესატამდე მიტანა იყო. აქვე დაფიქსირებულია მთარგმნელის, ინგლისელი მოაზროვნის პოზიციაც წერილის შინაარსთან და დედოფლის უდანასაულობასთან დაკავშირებით. ამდენად თარგმანს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინგლისურ-ქართული და რუსულ-ქართული კონტაქტებისა და საქართველოს ისტორიის გარკვეული დეტალების შესწავლის დროს.

III. მარჯორი უორდროპის ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული თარგმანები

მარჯორი უორდროპი დიდ ინტერესს იჩენსს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე არსებული ქართული ეკლესიის მდგომარეობისადმი. აღნიშნულ თავში განხილულია ქართული ეკლესიის დაცვის მიზნით მარჯორის მიერ შესრულებული თარგმანები, რომელთა უმთავრესი მიზანი რუსულ სინოდთან შუამდგომლობის მიღწევა გახლდათ.

რუსულ-ქართული საეკლესიო ურთიერთობები ამ პერიოდში არაერთხელ მოექცა უცხოელი მეცნიერებისა თუ ისტორიკოსების ყურადღების ქვეშ. ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა თოედორ ედუარდ დაულინგი (1837-1921). იგი იყო ანგლიკანი მღვდელი და ისტორიკოსი, რომელიც სწავლობდა ანტიკურ ორიენტალისტურ ეკლესიებს და პუბლიკაციებს აქვეყნებდა სომხური, თუ ანტიოქიის ეკლესიების, იერუსალიმის პატრიარქატისა და საქართველოს შესახებ. საკუთარ წიგნში: *Scetches on Georgian Church* (Dowling 1912) იგი მიმოიხილავს საქართველოს და ქართული ეკლესიის ისტორიას, ქართული ეკლესიის ადრეულ ტრადიციებს, საუკუნეების მიხედვით აღწერს მნიშვნელოვან მოვლენებს საქართველოს ისტორიაში. აფიქსირებს თავის შეხედულებებს მეცხრამეტე საუკუნეში, ქართულ ეკლესიაში განვითარებულ მოვლენებზე.

„საკათალიკოსო გაუქმებულია და საქართველოს ეგზარქი ამჟამად რუსეთის წმინდა სინოდის წარმომადგენელია... ზოგიერთი მონასტერი დანგრეულია და მიმდინარეობს საეკლესიო სკოლების რუსიფიკაცია და ქართული ენის დევნა, მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებებისა და საზოგადო პროტესტისა.“ (Dowling 1912 :118)

როგორც ჩანს, ოლივერი მას გარკვეულწილად ეხმარებოდა საქართველოს ეკლესიის შესახებ წიგნის გამოქვეყნებისას. მასში ჩართულია ოლივერის მიერ მიწოდებული ილუსტრაციები და

თავფურცელზევეა მინიშნებული, რომ იგი ჩართულია ბატონ ოლივერ უორდროპის ნებართვით. საუბარია თამარ დიდის პორტრეტზე. (Inserted by the permission of Mr. Oliver Wardrop. Queen Tamara the Great.)

„ასე, რომ ერთი დარტყმით აღიგავა მიწიდან ქართველი ერი და ქართული ეკლესია.“[1] (Fontescue 1908 : 305) პროფესორმა ადრიან ფორტესკიემ, (1874 – 1923) ინგლისელმა ლიტურგისტმა, კალიგრაფმა, ფილოლოგმა და ბიზანტიოლოგმა ქართველი ერი და ქართული ეკლესია მეცხრამეტე საუკუნეში ერთი ხელის მოსმით მიწიდან აღგვილად მიიჩნია თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნაშრომში *The Orthodox Eastern Church*. (Fontescue 1908)

„ეს ეკლესია აღარ შეიძლება ჩაითვალოს მართლმადიდებლური ერთობის ერთ-ერთ ნაწილად, ვინაიდან მან არსებობა შეწყვიტა... გმირი ხალხის ერთ-ერთი უძველესი ეკლესია მარტო დარჩა. 1802 წელს გიორგის უდიდესი უბედურება შეემთხვა, რაც კი შეიძლება რომელიმე ერს დაემართოს. ის რუსეთის პროვინციად გადაიქცა. ამ დროიდან მოყოლებული მისმა ეკლესიამ არსებობა შეწყვიტა. პეტერბურგელ ტირანებს, რა თქმა უნდა, სრულიად არ ანაღვლებდათ არც იმ ეკლესიის უფლებები, რომელიც დაახლოებით ხუთი საუკუნით უფრო ძველი და უფრო პატივცემული იყო, ვიდრე მათი და არც ეროვნული გრძნობები გმირული ერისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იცავდა ქრისტიანობის საზღვრებს. მათ აქ უბრალოდ განახორციელეს თავისი ჩვეული პოლიტიკა – იმათი გარუსება, ვისი ძლევაც კი შესაძლებელია.“ (Fontescue 1908 : 304)

ქართული ეკლესიის ისტორიას აღწერს ჯორჯ უილიამსი (1814-1878) და რობერტ უილისი (1800-1875) ნაშრომში: „The Holy City.“ (Williams 1849) წიგნი ძირითადად ეყრდნობა პლატონ იოსელიანის კვლევებს.

———————

1. *„So, at one strike the Georgian Nation and the Georgian Church were wiped out.*“

აქვე მოხსენიებულია 1801 წლის მანიფესტი იმპერატორ ალექსანდრესთან.“ (Williams 1849 :49)

ქართული ეკლესიის საკითხს ეხება ოლივერ უორდროპი „საქართველოს სამეფოში.“ *The political conditions of the Kingdom of Georgia* (Wardrop 1888 : 155-170) ბოდლის ბიბლიოთეკის ქართული საცავის კვლევის დროს ვიხილეთ ოლივერის მიერ შესრულებული ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული არაერთი თარგმანი, თუ საკუთარი ნაშრომი. მისი ინტერესი ქართული ეკლესიისადმი გაცილებით დიდი აღმოჩნდა.

მარჯორი უორდროპი განსაკუთრებული რუდუნებით მოეკიდა ამ საკითხს და მისი ინტერესი, მხოლოდ ინტერესად არ დარჩენილა. მის მიერ შესრულებული, ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული, აქამდე უცნობი თარგმანები საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს არა მხოლოდ ქართული ეკლესიის ისტორიის განვითარების, არამედ XIX საუკუნეში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის, რეპრესირებული და დევნილი ქართველი მამების ყოფის აღწერას.

დევიდ ბარეტის კატალოგში მარჯორისა მიერ ქართული ეკლესიის შესახებ დაწერილ თუ თარგმნილ ტექსტებს ერთი ქვეთავი / ტომი ეთმობა, რაც თვრამეტი ფურცლისაგან შედგება და დანომრილია MS. WARDR. C29 შიფრით, შემდეგი სათაურით: *Articles on the Georgin Church*. (სტატიები ქართული ეკლესიის შესახებ).

სტატია ***The persecution of the Georgian Church (****MS.Wardr. c. 29 (3)* – (**ქართული ეკლესიის დევნა**) მარჯორი უორდროპის მიერ რუსულიდანაა თარგმნილი, 1909 წელს გამოცემული გაზეთიდან „რეჩი“ (№72, მარტი). კოლხიდელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ გრიგოლ დადიანის სტატიაში აღწერილია საქართველოს ეგზარქოსის - ნიკონის მოკვლის შემდეგ დაწყებული რეპრესიები და მისი შედეგები. ეკლესიის მეთაურის მკვლელობა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ გამაოგნებელ ფაქტადაა მიჩნეული, რასაც

ქართველთა გაუთავებელი წამება და გადასახლებები მოჰყვა. აღნიშნული წერილის ქართული თარგმანი იხილეთ დანართში 32 (MS.Wardr. c. 29 (3)

მარჯორის თარგმანში დაფიქსირებულია ინგლისელი მოაზროვნის თვალით დანახული რეალობა და მის ემოციურ ფრაზებში ნაჩვენებია მისი დამოკიდებულება არსებული მოვლენების მიმართ. მისი თქმით, ქართველ ხალხს, რომელსაც შემწყნარებლური დამოკიდებულება აქვს ყველა აღმსარებლობის მიმართ, ახლა თავად იდევნება, ისიც რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მფარველობის ქვეშ. ქართველთათვის რწმენის თავისუფლება მუდამ მამულის თავისუფლების ტოლფასი იყო, რწმენისადმი თავდადება კი მამულისადმი თავდადებად მიიჩნეოდა.

აღსანიშნია ფაქტიც, რომ მარჯორი ნაკლებ კრიტიკულად უდგებოდა საქართველოდან მიღებულ სტატიებს. მართალია მან კარგად იცოდა საქართველოში არსებული მდგომარეობა, მაგრამ არსებული ინფორმაცია ეყრდნობოდა ასევე საქართველოდან, ქართველი მეგობრებისაგან გაგზავნილ ქართულ გაზეთებს, კერძოდ „ივერიას.“ იგი დარწმუნებული იყო მასში გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორეში და მათ სრულ ნდობას უცხადებდა ყოველგვარი გადამოწმების, საპირისპირო შეხედულებების გაცნობის გარეშე.

(თარგმანი)

”საქართველოს ისტორიაში არც სეკრეტიზმი, არც რელიგიური დევნა და ძალადობა ყოფილა ცნობილი. საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებლური სიონის კათედრალის გვერდით მშვიდობიანად იდგა კათოლიკური ეკლესია, მეჩეთი, სომხური კათედრალი და

სინაგოგა. სრული აღმსარებლობითი თავისუფლების გარანტიით. იმ დროს, როცა ევროპაში ერეტიზმი მძვინვარებდა, თვით აშკარა დამპყრობელთა ქვეშ ქართველი ხალხი რწმენის ინტერესებისადმი მუდმივად სათუთ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა.

საუკუნეებმა გაიარეს.

საქართველოს პოლიტიკური მიმართულება შეიცვალა, მაგრამ ეს მახასიათებელი თვისება კვლავ ქართველ ხალხში დარჩა." (MS.Wardr. c. 29 (3)

როგორც წერილიდან ჩანს, სტატიის დაწერის მიზანი კოლხიდელისათვის რუსი ხალხისათვის სიმართლის მოწოდებაა, არსებული სურათის ჩვენებაა, მხილებაა იმისა თუ როგორ იჩაგრება საქართველოს მოსახლეობა რუსული რეჟიმის ქვეშ. წერილი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „*მიეცით საშუალება რუს საზოგადოებასაც, რომ შეიტყოს ამის შესახებ. შესაძლოა ამან უშუამდგომლოს დევნილ მოსახლეობას და იხსნას ღია სასამართლოს მიერ გამოტანილი სამართალი."* (MS.Wardr. c. 29 (3)

2008 წელს ოქსფორდის საცავში მიკვლეული აღნიშნული თარგმანი მარჯორის მიერ ფანქრითაა შესრულებული და სულ სამი ფურცლისაგან შედგება. თარგმანის სრული ასლი იხილეთ <u>დანართში 33</u> (MS.Wardr. c. 29 (3) საინტერესოა ისიც, რომ აქვე შევძელით კოლხიდელის მიერ (რუსულ ენაზე) გამოქვეყნებული სტატიის ხილვაც.

მარჯორის ინტერესი ქართული ეკლესიის ისტორიისა და არსებული მდგომარეობისადმი ამით არ შენელებულა. ქართული ეკლესიის საკითხს ეხება ასევე 1909 წლის 24 იანვარს, (№ 4) ჟურნალ "მოსკოვსკიე ეჟენედელნიკში" ალექსანდრე ხახანოვის (ხახანაშვილის) მიერ გამოქვეყნებული სტატიის - ***The persecution of Georgian Church*** (MS.Wardr. c. 29(5) (ქართული ეკლესიის დევნა) თარგმანი.

მარჯორი მხარს უჭერს იმ რეპრესირებულ მამაოებს, რომლებიც სამი წლის განმავლობაში უსამართლოდ ისჯებიან, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ საკუთარი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას უჭერენ მხარს, იმ ავტოკეფალიისას, რაც მეზობელმა რუსეთმა ყოველგვარი წესების დაცვის, საეკლესიო კრების ჩატარებისა და საერთო გადაწყვეტილების მიღების გარეშე გააუქმა. არსებული რეპრესიების გამართლება თითქოს ეგზარქოსი ნიკონის მკვლელობა და მკვლელის ძებნა იყო, თუმცა მკვლელი დღემდე უცნობი დარჩა. თარგმანის სრული ვერსია იხილეთ დანართში 34, (MS.Wardr. c. 29(5) ბოდლის ბიბლიოთეკაში შევძელით რუსული ვერსიის ასლის გადაღებაც და მისი მკითხველისათვის წარდგენა. რუსული ენიდან შესრულებული ქართული თარგმანის ნახვა შესაძლებელია ჟურნალში: *“ლიტერატურა და ხელოვნება.”* (ბორაშვილი-შტოიერი 2011)

სტატიის თარგმნის მიზნიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ დაახლოებით 1905 წელსვე უნდა იყოს შესრულებული ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული სტატიის თარგმანი: ***Petition of the Georgian Church Presented to the Viceroy of the Caucasus***. (MS. Wardr. c.1 (9) სტატია 1905 წელს 24 ოქტომბერ - 6 ნოემბერს დაიბეჭდა გაზეთში “*ნოვოსტი.”* (MS. Wardr. c.1 (9) თარგმანი რუსეთის იმპერატორისადმი მიმართვით, ქართული ეკლესიის ისტორიის აღწერით იწყება, განხილულია ქართულ ეკლესიაში რუსების შემოსვლის შედეგად გაბატონებული მდგომარეობის დამადასტურებელი ფაქტები და სრულდება თხოვნით, აღუდგინონ ქართულ ეკლესიას ავტონომია. სტატიას წერილის ფორმა აქვს და იწყება მისი უდიდებულესობისადმი მიმართვით. მარჯორისეულ თარგმანში წერილი ეგზარქატის მიმართაა დაწერილი. მაგრამ მთარგმნელს სიტყვა ეგზარქატი გადაუშლია. როგორც ჩანს, განმარტება აღარ ჩაუთვლია საჭიროდ. მარჯორისეული თარგმანი სამი გვერდისაგან

შედგება და მისი სრული ვერსია იხილეთ დანართში 35 (MS. Wardr. c.1 (9)

„ქართული ეკლესიის პეტიცია კავკასიის მეფისნაცვალთან

თქვენო აღმატებულებავ!

იბერიელნი თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში აღმერთებდნენ ქრისტეს წმინდა ჯვარს. რწმენის ერთგულებისათვის წარსულში მათ მრავალი სასტიკი გამოცდა და უბედურება გადაიტანეს. საუკუნეების განმავლობაში იტანდნენ აღმოსავლეთიდან შემოსული დამპყრობლების დამცირებას, მაგრამ იბერიის ეკლესია ურყევი რჩებოდა და კვლავ განაგრძობდა არსებობას. მედგარი იყო მისი სული, მძლავრი იყო მისი ძალაუფლება, რომელიც დაფუძნებული იყო მწყემსის და თავისი ფარის ერთიანობაზე; დიდებული იყო მოწამეთა სისხლით მოკირწყლული კვალი, რაც ქართველ ხალხს ანუგეშებდა, ამხნევებდა და ქრისტიანული, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების დიადი გეგმებისა თუ იდეებისაკენ უკვალავდა გზას.

მაგრამ ასი წლის წინ ქართული ეკლესიის მმართველობა რუსული ეგზარქატის წარმომადგენლებს გადაეცა ხელში და რისი მოწმენი ვხდებით? ქართველთა შერყეული რწმენისა, რელიგიური გულცივობისა, რამაც მოსახლეობის ყველა ფენა მოიცვა და თვით ხალხთა მასებში შეაღწია, ეკლესია ცარიელია, დიდ დღესასწაულებზეც კი; თითქმის ყოველ დღეა ქურდობის, გასულ საუკუნეებში აქამდე გაუგონარი ძალადობის შემთხვევები; მრევლს აღარ სურს მღვდლის მიერ საეკლესიო ცერემონიის ჩატარებისათვის თანხის შეწირვა და ზოგან ერთხმად უარყოფენ კიდეც მათ საჭიროებას. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი თბილისისა და ქუთაისის ქართველი მამაოები, წერილობით მიმართავენ საქართველოს ეგზარქატს, აგზავნიან დელეგაციასაც იმის

საცნობებლად, რომ ისინი განწირულნი არიან შიმშილით სიკვდილისათვის; თუ სახელმწიფო ცხოვრებისათვის საჭირო ხელფასის გარანტიას არ მისცემს, ისინი იძულებულნი გახდებიან მიატოვონ მღვდლის მოვალეობები და დაუბრუნდნენ მოსამართლის თანამდებობას, დამსახურებული სასჯელებისათვის ცხოვრებისათვის საჭირო თანხა რომ მოიპოვონ. ერთი სიტყვით, ქართული ეკლესია ამჟამად ავონიაშია, იმ დროს, როცა სხვა კავკასიელი ხალხების რწმენა კვლავ მყარი რჩება და სამღვდელოება კვლავ პატივისცემისა და გავლენის უფლებებით სარგებლობს. რა უნდა იყოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ამგვარი დაცემის მიზეზი? რა უნდა იყოს ქართველთა შორის რწმენის გაქრობის საფუძველი, იმავე ქართველებისა, რომელთა შესახებაც ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფიუსი ამბობს: იბერიელები სხვა ხალხებზე მეტად იცავენ ქრისტიანული რწმენის კანონებს. საქმე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას წაართვეს ყველაფერი, რაც მას არსებობის საშუალებას ანიჭებდა და ის, რაც ამჟამად კავკასიის სხვა ხალხების ეკლესიას სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებს – გადაჭრეს მთავარი ნერვი, გაწყვიტეს კავშირი მის თავთან, ის კავშირი, რომელიც დაფუძნებული იყო ეროვნების, ენის, ტრადიციების და სულიერი სიახლოვის ერთიანობაზე. დღეს, ძალაუფლებით აღჭურვილი, თვითმმართველობის მიერ შევიწროებული ქართული ეკლესია თავის გარეშეა. გაუცხოებულია; გაუცხოებულნი არიან ის მღვდლებიც, რომლებიც ხალხისადმი ანტაგონისტურ იდეებზე არიან აღზრდილნი, არ გააჩნიათ თვით საკუთარ ენაზე ქადაგების ნიჭი და ხალხის თვალში მხოლოდ საეკლესიო ჩინოვნიკებად რჩებიან. ამ პირობებში ეკლესია მუდამ დაცემისათვისაა განწირული და ისიც დაეცა. ქართული ეკლესიის გადასარჩენად აუცილებელია მასში სულის ჩაბერვა, ადრინდელი კანონიკური წყობის (ორგანიზების) სრულად დაბრუნება, არჩეული კათოლიკოსის მთელი თავისი

უფლებებითა და მოვალეობებით აღდგენა. სხვა გზა არ არსებობს. საუკუნეების განმავლობაში არსებული ერთიანობის გაუქმება საქართველოს რუსეთთან პოლიტიკური გაერთიანების გაძლიერების მიზნით, სხვა თუ არაფერი, ამ ერთიანობას ასუსტებს, ვინაიდან ქართველი ხალხი კარგავს იმ უფლებებს, რომლითაც მეზობელი ქვეყანა, რუსეთის იმპერიის ფარგლებში, მთელი სისრულით სარგებლობს.

თქვენო აღმატებულებავ! შემოთავაზებული კავკასიის ეკლესიის ავტონომია, კავკასიის მეტროპოლიტით სათავეში არ აკმაყოფილებს ქართველი ხალხის სურვილს, იმ ხალხისა, რომელიც ამ ცნობას იღებს როგორც აფილირებული პირი. შეხედეთ ამ პროექტს როგორც სტიმულს, თვით დიდებული, მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებული ქართული ეკლესიისა. ქართველ ხალხს მხოლოდ კათოლიკოსის ტიტულის აღდგენა დააკმაყოფილებს, მთელი თავისი სიწმინდით. ამის გამო, ჩვენ, ქართული ეკლესიის წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შევიკრიბეთ ერთად, რათა მხურვალე თხოვნით მივმართოთ თქვენს აღმატებულესობას, გვიწყალობოს თქვენი ძლევამოსილი დახმარება პეტიციასთან დაკავშირებით, რომელიც წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისა და წმინდა სინოდის წინაშე, რაც ითვალისწინებს იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას არჩეული კათალიკოსით სათავეში, აღმოსავლეთის, საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წესების შესაბამისად.

ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ თქვენი ავტორიტეტული და სამართლიანი ჩარევა დაფასდება იმპერატორის მიერ და რომ ქართული ეკლესია დაიბრუნებს თავის ავტოკეფალიას, ისევე როგორც სომხეთის ეკლესიას მიენიჭა ავტოკეფალია ეკლესიის ქონების და ეროვნული სამრევლო სკოლების დაბრუნების უფლებით

მხოლოდ თქვენი პეტიციის საფუძველზე. ქართული ეკლესიის რენენსანსი სხვა რეფორმებთან ერთად, რასაც საქართველოს მთელი მოსახლეობა მოუთმენლად ელის, ქვეყანას იმ სიმშვიდეს მოუტანს, რაც თქვენ ხალხისადმი მიმართვაში მათთან შეხვედრისას გრაციოზულად აღნიშნეთ.“ (MS. Wardr. c.1 (9)

პეტიციის საკითხს ეხმიანება ასევე ინგლისელი საზოგადო მოღვაწე, ანდრია ფონტესკიე: 1904 წელს, როცა რუსული მთავრობა შეშინდა საკუთარი მიზეზებით გამოწვეული არეულობის გამო. „ქართველებმაც ჩათვალეს, რომ მათაც შეეძლოთ სულ მცირე უკეთესად მოპყრობის უფლების მოპოვება. ამის გამო, მათ ლოიალურობით აღსავსე და თითქმის უმნიშვნელო პროტესტის გამომხატველი პეტიცია წარუდგინეს იმ ტირანს, რომელიც მას სდევნიდა. მათ წამოაყენეს საკითხები ქართულ ეკლესიისა და ენის უფლების აღდგენის შესახებ.“(Fontescue 1908 : 305)

პეტიციაში გათვალისწინებული მოთხოვნები არასოდეს ყოფილა დაკმაყოფილებული, პირიქით, ქართული მხარე დაადანაშაულეს სეპარატიზმში და მათ მიმართ დამოკიდებულება უფრო და უფრო გაამკაცრეს. მათ ახალი ეგზარქოსი გამოაგზავნეს საქართველში, რომლის მკვლელობასაც (1908წ.) მოჰყვა სასტიკი რეპრესიები.

ბოდლის ბილიოთეკაში დევიდ ბარეტის კატალოგის მიხედვით ეკლესიასთან დაკავშირებულ სტატიებშია ასევე შესული მარჯორი უორდროპის კიდევ ერთი სტატიის თარგმანი გაზეთიდან „რეჩი“ (№72, 15/28, 1909 წელი). სტატიაში საუბარია ქართველთა მიმართ განხორციელებული მკაცრი ზომების შესახებ; მოხსენიებულია იმ თავადების ბედი, რომლებიც აღშფოთებას გამოხატავდნენ საეკლესიო პირების შევიწროების გამო. სტატია *ქართველ თავადთა დაკავება Arrest of georgian Princes, (*MS.Wardr. c. 29 (4) დასრულებული არაა,

როგორც ჩანს, მთარგმნელი სხვადასხვა გაზეთიდან აპირებდა საჭირო ინფორმაციის ამოკრებას და ინგლისურ ენაზე გადატანას.

„22 თებერვალს, ქუთაისის კლუბში, ქუთაისის წარჩინებულთა და თავადთა პირადი შეხვედრა ჩატარდა. სხვადასხვა საკითხებთან ერთად, შეხვედრაზე გამოთქმული იქნა მოსაზრება, რომ თუ კიდევ გაგრძელდებოდა ქართული ეკლესიის იერარქთა დაკავება და გადასახლება ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, ეს უარყოფით შედეგებს იქონიებდა ხალხთა მასებზე და ჩამოაშორებდა მათ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიას. შეხვედრის დამსწრეებმა გადაწყვიტეს, რომ ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა წარდგენილიყო ქუთაისელ თავადთა მოახლოებულ გენერალურ შეხვედრაზე. არანაირი ზიანის მომყენებელი შეხვედრის ხასიათის მიუხედავად, მან შეხვედრის დამსწრეებს სავალალო შედეგები მოუტანა.

გენერალურმა მმართველმა განსაკუთრებული დავალება მისცა ქუთაისის თავადთა მმართველ მარშალს, რომ წარედგინა შემდგარი შეხვედრის სრული შინაარსი. 28 თებერვალს დააკავეს თავადი დ. ა. მიქელაძე და თავადი ჰ. კ. თავდგირიძე. მოსალოდნელია კიდევ მრავალი დაკავებანი...“ (MS.Wardr. c. 29 (4)

მარჯორი უორდროპისეული თარგმანის ვერსიისათვის <u>იხილეთ დანართი 41.</u>

ოქსფორდის ქართულ საცავში მიკვლეული მასალების მიხედვით, მარჯორი უორდროპისათვის საქართველოსთან დაკავშირებული ყოველი ინფორმაცია დიდ მნიშვნელობას იძენდა. იგი თავად იყო რუსთა კოლონიური პოლიტიკის გამო ქართველ მეგობართა უსამართლო ჩაგვრის მოწმე. მათი სისასტიკით აღშფოთებული, საქართველოდან მიღებულ გაზეთებს <u>დაუყოვნებლივ</u> თარგმნიდა და შემდეგ აგზავნიდა მაღალი რანგის პირებთან,

სიმართლის ცნობებისა თუ მათგან დახმარების მიღების, მცირე ერის, მისი კულტურისა და რელიგიის დაცვის მიზნით.

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ასევე ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულ, მარჯორის მიერ შესრულებულ ერთ-ერთ თარგმანზე, რისი მიზანიცაა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის, ქართველი მამების და მამა კირიონის რუსეთის კოლონიური პოლიტიკისაგან დაცვა.

მარჯორის მიერ 1900 - 1909 წლებში "დიპლომატიური" მიზნით თარგმნილ წერილთა შორისაა ასევე მამა კირიონის წერილი. მარჯორის ინტერესი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისადმი, თუ სასულიერო პირების მიმართ თანდათან იზრდებოდა, რაც უფრო მეტად ეცნობოდა იქ არსებულ მდგომარეობას. განსაკუთრებული ყურადღება კი მთარგმნელმა მამა კირიონის მოღვაწეობას დაუთმო.

კირიონ ეპისკოპოსი ალბათ ყველაზე მეტად დაისაჯა იმის გამო, რომ იგი თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ზრუნავდა, უსამართლოდ დასწამეს ცილი და მრავალჯერ გადაასახლეს რუსეთში, მოაშორეს თავის სამშობლოს, რაც მისთვის ყველაზე უძვირფასესი და ღირებული იყო.

ვინ იყო კირიონ ეპისკოპოსი? ისტორია სამ კირიონს იცნობს: იბერიის კათალიკოს მთავარეპისკოპოს **კირიონ I 595 – 610, კირიონ II 678 – 683 და კირიონ III-ს,** ქართველ მეცნიერს, სასულიერო და საზოგადო მოღვაწეს და სრულიად საქართველოს პირველ კათოლიკოს პატრიარქს 1917 – 1918 წლებში. ამდენად, ერისკაცობაში - გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი სწორედ კირიონ მესამეა და არა მეორე, როგროც იგი ზოგადად იწოდება.

რა საერთოა ამ ორ ადამიანს, საქართველოს კათალიკოსსა და ინგლისელ მთარგმნელ ქალს შორის? მარჯორი იყო კირიონ ეპისკოპოსის თანამედროვე, მათთვის მნიშვნელოვანი იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლსიის და უძველესი ქართული ენის მომავალი, რომელიც ამ ბოლო დროს დავიწყებას მისცემოდა. ორივე

თავისი გზით ცდილობდა მათ დაცვასა და მხარდაჭერას. მათ აერთიანებთ ერთი სულისკვეთება, საერთო მიზანი, რაც ილიამ „მგზავრის წერილებში“ გამოხატა. (ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო.)

კირიონი, თავისი სტატიების საშუალებით, თუ როგორც ბიბლიის ტექსტის დამდგენი კომისსის თავჯდომარე, იბრძოდა ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის. მარჯორი, ქართული ენის მოტრფიალე, აღშფოთებას გამოხატავს იმ ქართველი ინტელიგენციისადმი, რომელთაც ქართულად ლაპარაკის რცხვენიათ. უკვირს, რომ უძველესი ენა სწორედ ახლაა უარყოფილი და ახლა იწყება მისი შერყვნა.

აკაკი წერეთელი იგონებს მის სიტყვებს:

- *„ნუთუ გიკრძალავენ ქართულად ლაპარაკს?“* - კითხულობს მარჯორი.

- *„ვის უნდა აეკრძალა?! მაგრამ უცხო ენები უფრო გვეხერხება და მართალი რომ ვთქვათ, მაინცა და მაინც სასიამოვნო ენა ვერ არის ქართული, ყურს ეჩოთირება, გამოსათქმელადაც ძნელია: წ, ძ, ყ, ჭ, სანამ გამოსთქვამდეს კაცი ენას დაიმტვრევს...*

მაგნაირი რამეები განა სხვა ენებში კი არ არის? მაგრამ ჩვენი ენა მაინც კეთილხმოვანი გვგონია და არავისში არ გავცვლით. ფრანცუზები ცხვირში დუდუნებენ და მოსწონთ.“ (კრებული 1898: 27) - ამბობს მარჯორი.

მის მიერ ილიასადმი ქართულად დაწერილი წერილი 1894 წლის 8 სექტემბერს გაზეთ ივერიაში გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ, იმათ სამხელად, ვისაც მსგავსი მოსაზრება გააჩდათ. მარჯორი იყო მაგალითი ყველა იმ ქართველისათვის, ვინც ქართულ ენას რომელიმე ენაზე ნაკლებად მიიჩნევდა.

კირიონის ღვაწლი ქართიული ენის, ლიტერატურისა და ეკლესიის მიმართ, სამწუხაროდ ქართველი საზოგადოებისათვის დიდი ხანი უცნობი იყო. მისი ცხოვრების შესწავლას მხოლოდ ბოლო

საუკუნეებში მოჰკიდეს ხელი და ჯერაც არ ამოუწურავთ. კირონი დაიბადა 1855 წლის 10 ნოემბერს გორის რაიონში. დაამთავრა მამის მიერ დაარსებული ანანურის სამრევლო სკოლა. შემდეგ გორის სასულიერო სასწავლებლის, ხოლო 1876 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტია. კიევის სასულიერო აკადემიაში მოიპოვა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. 1883 წელს კირიონი საქართველოში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ასწავლიდა ქართული სიტყვიერების ისტორიას, რუსულ ენას, საღმრთო ისტორიას. 1896 წელს ოჯახის დაღუპვის გამო ბერად აღიკვეცა და ქვათახევის მონასტერში განაგრძო მოღვაწეობა. 1898 წელს კირიონი ალავერდის ქორეპისკოპოსად დაადგინეს. 1901 წელს გადაიყვანეს გორის სავიკაროს ეპისკოპოსად. მან მოახერხა საერო და სამრევლო სკოლების, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების დაარსება. დაუღალავად აგროვებდა ხელნაწერებს და წიგნებს. ხშირად აქვეყნებდა წერილებს ივერიელის, ნიქოზელისა და ლიახველის ფევდონიმებით საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ისტორიოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ვეფხიტყაოსნისა და ქართლის ცხოვრების უძველესი ნუსხების შესახებ, მის ნაშრომებში შედიოდა ასევე სტატიები: ნუმიზმატიკის, ხალხური ხიტყვიერების ისტორიის, ხუროთმოძღვრების შესახებ. მას ეკუთვნის წიგნად გამოცემული ორმოცზე მეტი მონოგრაფია. მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომია 1909 წელს კურიაჟ-სანახსარში დაწერილი: *Культурная роль Иверии в истории Руси,* (Епископ Кирион 1910) სადაც განხილულია ქართული ეკლესიის ისტორია და დასაბუთებულია ქართული ეკლესიის ავტოკეფალის უფლება.

ავტორი ამ ნაშრომის მიზანს შესავალშივე ხსნის: მისი თქმით „რუსები ერთიან ქართველთა ისტორიას ნაკლებად იცნობენ, მაშინ, როცა ქართველები ქრისტიანობისადმი და ქართული კულტურისადმი

უამრავი დამსახურებებით უდაოდ იმსახურებენ დიდ, სერიოზულ ყურადღებას.

„გვინდა აღვნიშნოთ სამწუხარო ფაქტი, რომ რუსულ ენაზე ჯერ არ არსებობს კეთილსინდისიერად შესრულებული ნაშრომი საქართველოს ისტორიის შესახებ... ჯერ კიდევ გრიბოდოვი მიუთითებდა თავის თანამემამულეებს საქართველოს შესახებ ნაკლები ცნობების არსებობის შესახებ.“ (Епископ Кирион 1910 : 3)

ამჯამად ნევადას შტატის უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს პაულ ვერთის კომენტარები კირიონის და ქართული ეკლესიის შესახებ მეტად მნიშვნელოვანია, რადგან აქ წარმოდგენილია *მესამე პირის* (არაქართველი და არარუსი პიროვნების) მოსაზრებები. იგი თავად მუშაობდა რუსულ თუ ქართულ არქივებში და აქვეყნებდა შრომებს რუსულ-ქართული საეკლესიო ურთიერთობების შესახებ. იგი აღწერს ქართველთა შევიწროების ფაქტებს, განიხილავს კირიონის მიერ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის გაწეულ ღვაწლს და დასძენს, რომ სწორედ კირიონმა წამოიწყო ბრძოლა რუსული აგრესიის წინააღმდეგ 1901 წელს. იგი აღნიშნავს, რომ: ქართველთა მღელვარება დაიწყო მხოლოდ თბილისის სემინარიაში 1886 წელს მისი რექტორის მოკვლის შემდეგ, რომელიც ქართულ „ძაღლების ენას“ უწოდებდა.

„რამდენადაც მე ვიცი, 1905 წლამდე არ არსებობდა არანაირი ღია საუბარი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ან საკათალიკოსოს აღდგენის შესახებ. მხოლოდ მღვდელთმთავრმა კირიონმა, რომელიც მოგვიანებით საქართველოს კათალიკოსი გახდა, 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ – დაწერა ეგზარქატის ისტორიია 1901 წელს, რუსეთის საქართველოსთან ერთობის 100 წლისთავთან დაკავშირებით.“ (Werth 2003 : 84)

მისი აქტიურობა რუსეთის მოხელეთა წყრომას იწვევდა, რის გამოც მასზე მეთვალყურეობა დააწესეს და შემდეგ გადაასახლეს რუსეთში. საქართველოს საეგზარქოსოს სასწავლო ოლქის მზრუნველმა და საღმრთო რჯულის პედაგოგმა დეკანოზმა ივანე ვოსტორგოვმა მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა გამოაცხადა იმის გამო, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აღმავლობისა და ქართული ეკლესიის გაძლიერების წინასწარმეტყველება ახსენა. კირიონი სამშობლოში დააბრუნეს რევოლუციური აღმავლობის პერიოდში და სოხუმის ეპარქიის მმართველად დააყენეს. ამ დროს იგი უფრო აქტიურად ჩაერთო რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი უმთავრესი მიზანი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გახდა. იგი მონაწილეობას იღებდა პეტერბურგის საეკლესიო სხდომებზე და ასაბუთებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებას. რევოლუციის დამარცხებას მისი კვლავ გადასახლება მოჰყვა ვითომდა აფხაზთა გაქართველების ბრალდებით. ამ ფაქტის მცდარობას ასაბუთებს 909 რუსი, აფხაზი, ქართველი და სხვადასხვა ეროვნების, მოქალაქის მიერ ხელმოწერილი წერილი, რაც სინოდში გაიგზავნა ეპისკოპოსის დაბრუნების მოთხოვნით. იგი იყო ყველაზე სასურველი პიროვნება, ვინაიდან მისი ეპისკოპოსობის დროს რუსები სლავურად, ბერძნები ბერძნულად, ქართველები ქართულად ისმენდნენ წირვას. კირონს 1902 წელს კამენეც – პოლდოლოს ეპარქიაში გზავნიან, აქედან 1903 წელს ხერსონში, 1904 წელს ორიოლის ეპარქიაში, ხოლო 1907 წლის 27 იანვარს კვლავ ცივ რუსეთში – კონვოს ეპარქიაში ისტუმრებენ, საიდანაც 1908 წლის ზამთარში ითხოვენ და ჟანდარმების თანხლებით კურიაჟის მონასტერში, ხარკოვში აგზავნიან. აქედან ავადმყოფი კირიონი ჟანდარმებს მოსკოვის გზით სანაქსარის უდაბნოში მიჰყავთ და პოლიციელთა დაცვის ქვეშ იმყოფება. 1908 წელს ეპისკოპოს ნიკონის მკვლელობის ამბავი იქცა მისი კიდევ

ერთხელ დასჯის საფუძვლად. მისი უდანაშაულობა მართალია დაადასტურეს, მაგრამ საქართველოში დაბრუნების ნება მაინც არ მისცეს.

მან თავის ცხოვრების განმავლობაში მრავალი რამის გაკეთება შესძლო, მოაგროვა უამრავი ქართული ხელნაწერი, დოკუმენტური მასალები. გადაარჩინა მრავალი უძველესი ხელნაწერი, ხატები თუ მონეტები. დიდი სიფრთხილით აგროვებდა ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ლეგენდებს, სიმღერებს. ბევრის გაკეთებას შესძლებდა, რომ არა 1918 წლის 27 ივლისის მარტყოფის ტრაგედია. იგი დაცხრილეს თავის საწოლ ოთახში, მკვლელი დღესაც დაუდგენელი დარჩა, გარკვეული მიზეზების გამო. იგი დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძარში. ქართველი ერისათვის გაწეული ღვაწლისათვის მოწამებრივად აღსრულებული კირიონი 2002 წლის 18 ოქტომბერს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

მარჯორი, როგორც უდანაშაულო ქართველთა ქომაგი, კირიონის ცხოვრებით დაინტერესდა ალბათ სწორედ მისი შეუპოვარი ხაიათისა და მებრძოლი ბუნების გამო. ინგლისელი მთარგმნელის მიერ შესრულებული საგაზეთო სტატიის თარგმანი კირიონის ცხოვრების სწორედ გადასახლების პერიოდს, მოსკოვში გამგზავრებას ეხება, რაც აღწერილია ეპისკოპოსთან დაახლოებული პირის, მისი თანამგზავრის, გიორგი მოუსვენარიძის მიერ. ავტორი სტატიას შეკითხვით იწყებს და შემდეგ თავად სცემს პასუხს, მის უდანაშაულობას ამტკიცებს. წერილი ხარკოვშია დაწერილი და გამოქვეყნებულია გაზეთ "დროებაში". მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა თავად წაიკითხოს ეს წერილი იმ სახით, როგორც იგი გამოქვეყნდა 1909 წელს <u>იხილეთ დანართი 30</u> (მოუსვენარიძე 1909)

იმ დროს, როცა ყოველი ანტირუსული იდეის გამოხატვა სახიფათოდ ითვლებოდა, მეტად გაბედული ნაბიჯი იყო ამ სტატიის გამოქვეყნება, კირიონის გამამართლებელი საბუთების მოყვანა და

მასში ვოსტორგოვის სიტყვების ჩართვა, რამაც თავად რუსი თანამემამულე გააოგნა, იგი მზად იყო სასამართლოში მოწმედ დასდგომოდა კირონს.

წერილი საინტერესოა ასევე იმის გამო, რომ აქ კარგადაა ნაჩვენები რუსების განწყობა და დამოკიდებულება ქართველი საზოგადოების, ეკლესიის მიმართ, აღწერილი და გაანალიზებულია კირიონის ცხოვრების უსამართლოდ გადასახლება, ნაჩვენებია კირიონთან დაახლოებული პირის პირადი განცდები რუსული აგრესიისაგან თავის დაღწევის დროს, ამასთან, მოყვანილია ზუსტი თარიღები.

სტატიაში ნახსენებია ვინმე დრუნოვო და ასახულია მისი პოზიცია ქართული ეკლესიისა და კირიონის მიმართ. ვინ არის დურნოვო? რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ღვთისმეტყველების, რუსული ეკლესიისა და ისტორიის მკვლევარი, კანონმდებლობის მცოდნე, რომელიც მუდამ იცავდა ქართველი ხალხის ინტერესებს.

“მის კეთილშობილურ საქმეებს და ღვაწლს საქართველოს წინაშე დიდად აფასებდნენ ისეთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, პედაგოგები და მწერლები, როგორებიც იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, თედო სახოკია და სხვები. ნიკოლოზ დურნოვოს კრიტიკული სტატიები, რომლებიც შეეხებოდა ი. ვოსტორგოვის საქმიანობას საქართველოში, იწვევდა მოწინავე ქართულ საზოგადოებაში საყოველთაო ინტერესსა და დადებით გამოხმაურებას“ (ბერიძე 2010 : 8)

როგორც კანონისტი დურნოვო ავტორიტეტი ყოფილა არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. იგი მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის კანონიერ ავტოკეფალიას, მათი ქონების, ხატების, ჯვრების და ნაძარცვი ნივთების დაბრუნებას. იგი ამხელდა რუსეთის საეკლესიო მთავრობას უწესო და უსამართლო

ქმედებებს მთელ საქართველოში, მათ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ქართული ეკლესიების, ხატების, ხელნაწერებისა და წიგნების მიმართ. მისი მისაზრებები გამოხატულია მის ნაშრომში, *ქართული ეკლესიის ბედი.* (Дурново 1907)

“ასეთ სიძულვილს ავლენენ ქართველების მიმართ (რუსი) ქარისტეს მოძღვრების აღმსარებლები. მტრის მიმართაც კი სიყვარულის გამოხატვას, თითოეული ერის ნაციონალური საკუთრების პატივისცემას ვერ ვხედავთ რუსიფიკატორთა შორის. მხოლოდ რუსიფიკატორებს, რუსული ეკლესიის მამაოებს შეუძლიათ ქართული ენისათვის ძაღლური ენის (собачьим языком) წოდება და ქართული გალობისათვის – ძაღლის ყეფად (собачьим лаем) შერაცხვა.“(Дурново 1907 : 94)

მარჯორის თარგმანში ეს დამოკიდებულება კარგადაა ასახული. მარჯორი მოუსვენარიძის წერილის შინაარსით დაინტერესებულა სწორედ იმის გამო, რომ აქ საუკეთესოდაა ნაჩვენები რუს მოხელეთა მიერ ქართველი სასულიერო პირის დევნისა და ქართული ეკლესიის შეურაცხყოფის ფაქტები. ამიტომაც იგი იმავე, 1909 წელსვე უთარგმნია. ყოველგვარი სიახლე, მანძილის მიუხედავად, მისთვის მაშინვე ხდებოდა ცნობილი. თარგმანი სამი ხელნაწერი ფურცლისაგან შედგება. იხილეთ დანართი 29 (MS.Wardr. c. 29 (6)

მარჯორი უორდროპის ამ თარგმანში გარდა მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციისა, ასევე მოცემულია საგაზეთო სტატიის თარგმანის პრინციპები. როგორ მიუდგა მარჯორი ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის თარგმნას? რისი გადატანა ჩათვალა მან უმთავრესად – მხატვრული მხარის, თუ ერთგული დარჩა შინაარსის?

თარგმანის დედანთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ მთარგმნელი საოცარი სიზუსტით თარგმნის ყოველ ფრაზასა თუ სიტყვას, არცეთი

სიტყვაა ზედმეტი. დიდი სიფრთხილით გადააქვს დედნისეული ელემენტები, ინტონაცია: Do you not marvel, reader, at such strange falselivion... ისიც ეკითხება მკითხველს. მთარგმნელს ესმის მოცემული დოკუმენტის მნიშვნელობა და თარგმანს აშკარად ეტყობა, რომ ეს არაა მხოლოდ საინტერესო შინაარსის გამო თარგმნილი.

რაში დასჭირდა მარჯორის დედნის ადეკვატური თარგმანის შესრულება?

ოქსფორდში დაცული წერილების მიხედვით და-ძმა უორდროპები ცდილობენ ქართული კულტურისა და ლიტერატურის საზღვარგარეთ გატანას და პოპულარიზაციას. თანამემამულეებისათვისაც იმ დიდი სიამოვნების მინიჭებას, რაც თავად განიცადეს ქართული ლიტერატურის კითხვის დროს. ნუთუ მხოლოდ ეს იყო მის მიერ ამ თარგმანის შესრულების მიზანი?

მარჯორი უორდროპის 2008 წელს მიკვლეული თარგმანები ყურადღების ღირსია არა მხოლოდ იმის გამო, რომ გვაწვდის XIX საუკუნეში ქართულ ეკლესიის რეალობის ამსახველ სურათს, არამედ იმითაც, რომ თარგმანები საოცარი სიზუსტითაა შესრულებული. მთარგმნელს ესმის მოცემული დოკუმენტის მნიშვნელობა და ზედმიწევნით თარგმნის, დიდი სიფრთხილით გადააქვს ყოველი დედნისეული ელემენტი. ყოველი ფრაზა მოქნილი, სხარტი და ბუნებრივია, ამასთან შენარჩუნებულია დედნისეული რიტმი და ინტონაცია. მთარგმნელი თარგმანს არ უკარგავს მხატვრულობას. იქ, სადაც ავტორი წერს: "დევნამ და რეპრესიებმა მდუმარების ბეჭედი დაასვეს ქართველი მღვდელთმთავრების სამართლიან განცხადებებს," ავტორს შემდეგნაირად: "*persecution and repression have broken down the just declaration of the Georgian hierarchs and placed on them the seal of silence.* (MS.Wardr. c. 29 (6)

რა მიზანი უნდა ჰქონოდა ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებულ, ქართულ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის

ინგლისურ თარგმანს? ნუთუ მხოლოდ ქართული კულტურის საზღვარგარეთ გატანა და პოპულარიზაცია?

ამ კითხვაზე პასუხი ოლივერ უორდროპის მიერ შექმნილ მარჯორი უორდროპის ქართულ კოლექციაშივე მოიძებნა.

წლების მანძილზე მარჯორი უორდროპი ცნობილი იყო როგორც ქართული ლიტერატურის მთარგმნელი. არსად იყო მოხსენიებული მისი "დიპლომატიური" საქმიანობა და მის მიერ ქართველი მეგობრების დასახმარებლად გაწეული ღვაწლი.

ბოდლის ბიბლიოთეკის საარქივო მასალის შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ ოლივერის გვერდით მუდმივად იდგა მარჯორი. ის იყო არა მხოლოდ მთარგმნელი და საქართველოთი და ქართველი მეგობრებით აღფრთოვანებული პიროვნება, არამედ ეგრეთწოდებული "დიპლომატი" და ქართული კულტურის და მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველი. მის თარგმანებს და ორიგინალურ ნაშრომებს, მის შუამავლობას და დაუღალავ შრომას გარკვეული როლი უნდა ეთამაშა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. თარგმანების მიზანი უმთავრესად საქართველოში არსებული რეალური პოლიტიკური თუ საეკლესიო მდგომარეობის ჩვენება და შესაბამისი დახმარების მიღება იყო.

ბოდლის ბიბლიოთეკაში ნანახი, მარჯორის მიერ შესრულებული თარგმანები გაგზავნილია სხვადასხვა მაღალი რანგის პირებთან: გიბრალტარის მღვდელთმთავართან, სესილ სპრინგ რაისთან (1859 – 14-1918), (პეტერბურგის საგარეო საქმეთა მინისტრთან); ჰენრი ნევინსონთან (1856 – 1941) - (ბრიტანელი ჟურნალისტი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე).

უორდროპის კოლექციაში მიკვლეული იქნა ასევე მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, სადაც მარჯორი უორდროპი სახელდება როგორც ერთ-ერთი აქტიური წევრი ქართული კომიტეტისა (Georgian Relief Committee). სხვა ოფიციალური თანამდებობა მას არ სჭერია.

იგი, საკუთარი სურვილით თარგმნიდა სტატიებს ქართული თუ რუსული გაზეთებიდან, რუსების მიერ საქართველოში განხორციელებული უსამართლობების საზღვრებს გარეთ გასატანად.

მარჯორიზე დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში განხოციელებულმა რუსულმა მკაცრმა პოლიტიკამ. იგი თავის ღრმა მწუხარებას გამოხატავს ივანე როსტომაშვილთან, ქართველ მეგობართან მიწერილ წერილში –: *“რა დიდი გასაჭირი და წუხილი ყოფილა საწყალ საქართველოში. გულისტკივლით წამიკითხავს ხოლმე ქართული გაზეთები...“* (MS.Wardr. d. 20)

აღსანიშნია ისიც, რომ ქართულ კოლექციაში შევძელით ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული მარჯორის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი წერილის ნახვაც. მთარგმნელი გასაგზავნად თარგმნილ წერილებს საკუთარ კომენტარებსაც ურთავდა თარგმანის მიზნის უკეთ ასახსნელად. ამ წერილებში საუკეთესოდაა გამოხატული მისი გულისტკივილი. მარჯორიმ 1909 წლის 15 აპრილს ბუქარესტიდან გიბრალტარის მღვდელთმთავართან მიწერილ წერილს დაურთო ოლივერის მიერ თარგმნილი ალექსანდრე ცაგარელის (1844-1929) სტატია - ***The Georgian Church Question*** **(**MS.Wardr. c. 29 (1)***(ქართული ეკლესიის საკითხი)*** რაც დაიბეჭდა გაზეთში “სლოვო“ **(№30. 10/31.12.1908)**

მარჯორის მიერ დაწერილ წერილში გამოკვეთილია მისი პირადი დამოკიდებულება, განცდები და მოსაზრებანი, მისი პირადი ემოცები და აღშფოთება რუსთა მიერ საქართველოში განხორციელებული სასტიკი ზომების გამო. მარჯორი ავლენს ქართული ისტორიის ღრმა ცოდნას, აშკარაა, რომ მას წაკითხული აქვს მრავალი ქართული სტატია და კარგად აქვს შესწავლილი საქართველოში არსებული მდგომარეობა. მასში მოკლე შინაარსის სახითაა გადმოცემული ქართველი ხალხისა თუ მამა კირიონის დევნა.

“დაქვეითების შემდეგ იგი დაატყვევეს შორეულ რუსულ მონასტერში. თუმცა ის საკმაოდ ხანში შესულია და ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაუარესებული აქვს, შუა ზამთარში აიძულეს გამგზავრება. უგულებელყოფილ იქნა მისი თხოვნა პეტერბურგში ჩასვლისა და ბრალდებისაგან თავის გამართლების საშუალების მიცემაზე. იგი მოსკოვში ავად გახდა, თუმცა პოლიციამ ძალით წამოიყვანა იქიდან და მოსთხოვა გზის გაგრძელება. ისაა რამოდენიმე ღირებული ლიტერატურული ნაშრომის ავტორი და ხალხი მასზე ძალიანაა შეყვარებული.“ (MS.Wardr. c. 29 (7)

მარჯორი აღწერს მღვდელთმთავარი ლეონიდის, არქიმანდრიტი ამბროსის დევნის და უსამართლოდ დასჯის ფაქტებს და უმარტავს გიბრალტარის მღვდელთმთავარს, რომ:

“დევნის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ ქართველი სამღვდელოება ანონიმურად ემხრობა საკუთარი ეკლესიის თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში არსებულ ავტოკეფალიას.“ (MS.Wardr. c. 29 (7)

მას მოჰყავს მაგალითები, თუ რა შედეგები, მოიტანა მართლმადიდებლური რუსეთის სახელმწიფო მოხელეთა მიერ ჩადენილმა დამსჯელმა ქმედებებმა:

“ეკლესიის დევნა ხალხს მართლმადიდებლურ რწმენას აშორებს. ბევრმა უკვე მიიღო კიდეც რელიგიის შეცვლის გადაწყვეტილება. კახეთის ორი სოფლის მოსახლეობა ბაპტისტი გახდა. ესაა კურიოზული სიმპტომი იმ ხალხისა, რომლის ეკლესიასაც არასოდეს სცოდნია ერეტიზმი და სეპარატიზმი.“ (MS.Wardr. c. 29 (7)

მარჯორი ცდილობს მღვდელთმთავრისთვის იმის განმარტებას, რომ ქართველი საზოგადოება არ ზის რეაქციის გარეშე. ტარდება თავადთა შეკრებები, სადაც დაფიქსირებულია სხვადასხვა მოსაზებები რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული

ქმედებების შესახებ. კერძოდ, თავადთა შეკრებებზე გამოთქმული იქნა მოსაზრება, რომ თუ სასულიერო პირთა მსგავსი დევნა და ყოველგვარი გასამართლების გარეშე გადასახლება გაგრძელდებაოდა, ხალხის მართლმადიდებლური ეკლესიისაგან მასობრივი ჩამოშორება იყო მოსალოდნელი.

“ქუთაისში, მარტის დასაწყისში, რამოდენიმე ყველაზე დიდი გავლენის მქონე თავადი დააპატიმრეს და დაემუქრნენ გადასახლებით მსგავს შეკრებებზე დასწრების გამო. მაგრამ ამჟამად თბილისის გაზეთებიდან ვიგებ, რომ ზოგი უკვე გამოუშვიათ.

ქრისტიან ერს რწმენა და თავისუფლება შენარჩუნებული ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში მონღოლების, არაბების, თურქების, ირანის შემოსევის დროს, ახლა კი ორივეს დაკარგვის წინაშე დგას დიდი ქრისტიანული ძალის მფარველობის ქვეშ, სადაც ისინი თავისი სურვილით გაერთიანდნენ ასეული წლის წინ.“ (MS.Wardr. c. 29 (7)

მარჯორი აქვე ასრულებს წერილს, ბოდიშს იხდის მცირე ინფორმაციის მიწოდებისა და მისი შეწუხების გამო და დასძენს:

“მე ჩემს უმწეობას გამოვხატავ, მაგრამ ვგრძნობ, რომ უნდა გავაკეთო ის, რისი გაკეთებაც შემიძლია ამ მამაცი ქართველი ხალხისათვის, რომელთაც მე ასე ძალიან ვაფასებ და მიყვარს.“ (MS.Wardr. c. 29 (7)

იგი სთხოვს გიბრალტარის მღვდელთმთავარს, რომ უშუამდგომლოს ქართულ ეკლესიას რუსულ სინოდთან და რაიმეთი დახმარება გაუწიოს ამ მცირე, უსამართლოდ დაჩაგრულ ერს.

მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა თავად წაიკითხოს და შეაფასოს ოქსფორდის ბიბლიოთეკაში 2008 წელს მიკვლეული მარჯორისეული წერილის ვერსია. <u>იხილეთ დანართი 31</u> (MS.Wardr. c. 29 (7)

მარჯორი უორდროპის საცავში დაცულია მარჯორის მიერ გიბრალტარის მღვდელთმთავრისადმი მიერილი მეორე წერილი. (MS.Wardr. c. 29 (7) მას ჰაიდელბერგიდან, 1909 წლის სამ მარტს მიუწერია პასუხი და მარჯორისაც საპასუხო წერილი გაუგზავნია. ინგლისელი ქალის წერილში კარგად ჩანს, რომ სასულიერო მოღვაწე ღრმა ინტერესს გამოხატავს მარჯორის წერილისა და ოლივერის თარგმანისადმი და ცდილობს იმის გაკეთებას, რაც შეუძლია, რის გამოც მარჯორი დიდად მადლობელია. როგორც ჩანს, გიბრალტარის მღვდელთმთავარს გარკვეული ნაბიჯები გადაუდგამს ქართული ეკლესიის დახმარების საქმეში. მისი დახმარებით შემდგარა შეხვედრა ბატონ ბირკბეკთან. მისს უორდროპი გარკვევით ახსენებს, რომ მას და გიბრალტარის მღვდელთმთავარს ერთად უნახავთ ბატონი ბირკბეკი სანტ პეტერბურგში.

ვინ იყო იმ დროს გიბრალტარის მღვდელთმთავარი? რატომ დაუკავშირდა მარჯორი სწორედ მას? გიბრალტარის ეპისკოპოსად ამ პერიოდში გვევლინება ვინმე უილიამ ე. კოლინსი (1867-1911) უამრავი საეკლესიო თუ საისტორიო ნაშრომის ავტორი, გამოჩენილი მკვლევარი და იმ დროს საკმაოდ გავლენიანი პიროვნება.

“ახალგაზრდა ავტორი, რომელიც მუშაობს ისტორიულ კვლევებზე და განსაკუთრებით ადრეულ პერიოდზე, რისი საფუძვლიანად შესწავლაც მოახერხა გიბრალტარის ეპისკოპოსობის ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, იყო - უილიან ედუარდ კოლინსი 1904- 1911.” (Stephens 1907-21 Vol. 14)

სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მარჯორიმაც ოლივერის თარგმანისა და საკუთარი წერილის მისთვის მიწერა. ერთის მხრივ, მას შეეძლო აღიშნული ინორმაციის საკუთარი კვლევებისათვის გამოყენება და მეორეს მხრივ რუსულ სინოდთან

შუამავლობის გაწევა. როგორც ავტორი ამბობს, იგი საკმაოდ გავლენიანი პიროვნება ყოფილა.

როგორც ამავე წერილიდან ჩანს, ინგლისელი ქალისათვის საქართველოს კეთილდღეობის სურვილი სურვილად არ დარჩენილა, იგი არა მხოლოდ მომოწერით, არამედ პირადადაც ხვდებოდა ადამიანებს, ვისაც შეეძლოთ ქართული ეკლესიის შერყვნის ხელის შეშლა.

“ძვირფასო გიბრალტარის ეპისკოპოსო,

დიდი მადლობა თქვენი წერილისათვის. დიდად მადლობელი ვარ იმის გამო, რაც გააკეთეთ და დარწმუნებული ვარ ქართული ეკლესიაც მადლობელი იქნებოდა, ეს რომ სცოდნოდა.

ფაქტმა, რომ ინგლისელმა ეპისკოპოსმა ინტერესი გამოთქვა ახალგაზრდა ძმების მიმართ, დადებითი გავლენა უნდა იქონიოს რუსულ სინოდზე. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ბატონი ბირკბეკი, მისი მცირე ხნით ნახვის შემდეგ, გამოიყენებს თავის გავლენას რუსულ ეკლესიაზე.” (MS.Wardr. d.26/5 (16)

უორდროპის კოლექციაში ვიხილეთ მარჯორის მიერ პროფესორ ალექსანდრე ცაგარელთან მიწერილი წერილის დასამუშავებელი ვერსია, რომელსაც, კავშირი უნდა ჰქონდეს ზემოთ აღწერილ, გიბრალტარის მრვდელთმთავართან მიწერილ წერილებთან. ცაგარელი მარჯორიმ პეტერბურგში გაიცნო და მასთან აგრძელებდა ქართული ენის დახვეწას. მოცემულ წერილზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მარჯორის გიბრალტარის მღვდელთმთავართან მიწერილი ორივე წერილი ალექსანდრე ცაგარელის თხოვნთაა შესრულებული. აქ მოხსენიებული *ერთი ნაცნობი კაცი,* ჩვენი აზრით, სწორედ გიბრალტარის მღვდელთმთავარი - კოლინსი უნდა იყოს.

“11 თიბათვე 1909 წელი,

ღრმათ პატივცემულო პროფესორო,

ნუ გგონიათ, რომ ჩემგან დავიწყებული არის ქართული ეკლესიის საქმე. მივიღე თქვენი კეთილი წერილი და სტატიები და მეყუსეულად მივსწერე ერთ ნაცნობ კაცთან, რომელიც მეგობრები ჰყავს რუსეთში. მისგან პასუხები მაქვს. მეტყველი თუ ვსწერეთ მეგობრებთან და თანაგრძნეული პასუხები მომცემენო.

მარჯორი უპრდროპი.” (MS.Wardr. d. 26/4 (3)

ამდენად, ზემოთ განხილული ეკლესიასთან დაკავშირებული თარგმანების შერულების მიზანი ინფორმაციის გადაცემა უნდა ყოფილიყო. უცხოურ სამყაროსთვის ქართული მოსაზრებებისა თუ გასაჭირის გაზიარება. სწორედ ამ წერილებსა თუ თარგმანებზე დაყრდნობით ვუწოდეთ მარჯორის დიპლომატი. ოქსფორდის საცავში მიგნებულმა მასალებმა მოგვცა მისთვის დიპლომატად წოდების საშუალება. XIX საუკუნის ინგლისელი მანდილოსანი 1900-1909 წლებში დაუღალავად ცდილობს ქართველთა დახმარებას, მათი ტაჯვის შემსუბუქებას და რუსული აგრესიისაგან დაცვას.

მარჯორის გარკვეული წვლილი უნდა მოუძღოდეს ასევე ევროპაში კირიონ II დაცვის საზოგადოების დაარსებაში, რომლის წევრებმა კარგად იცოდნენ ის, თუ რაც ხდებოდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. კირიონის ცხოვრებას და საქართველოში არსებულ მდგომარეობას კარგად გაცნობილმა ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის თავჯდომარემ, დეპუტატმა ჟორჟ ლორანმა, ბელგიიდან, ბრიუსელიდან 1909 წლის 10 მარტს ყოფილ სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარე ხომიაკოვს სთხოვა ეპისკოპოს კირიონის წამებისაგან დაცვა. ცნობილმა ანარქისტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა ქართულ-ინგლისური კომიტეტის

თავჯდომარის ს. მორისის თანხმობით რუსეთის სინოდს მოსთხოვა კირიონის დევნის შეწყვეტა.

მარჯორის ღვაწლი ქართული ეკლესიისა დაცვასა და ქართველი მეგობრების დასახმარებლად ამით არ უნდა ამოწურულიყო. მისი ინტერესი საქართველოსადმი და მისი აღშფოთება რუსთა უსამართლობებისადმი იმდენად ღრმა იყო, რომ იგი მხოლოდ გიბრალტარის მღვდელთმთავრისათვის მიწერით არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ბოდლის ბიბლიოთეკის ქართული კოლექციის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ის იყენებდა თავის კავშირებს, პრივილეგიებსა და ცოდნას, რომ ყველასათვის გაეცნო საქართველოში არსებული მდგომარეობა. ამის დამადასტურებელია ოქსფორდის ბიბლიოთეკაში დაცული რუსეთის მთავრობისადმი მიწერილი და სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებებისა თუ მაღალი რანგის პირების მიერ ხელმოწერილი წერილები.

როგორც ჩანს, არაერთი პეტიცია და მიმართვა გაგზავნილა რუსეთში, გამორიცხული არაა, რომ ეს მარჯორის შუამავლობის ერთ-ერთი ნაყოფია და ამიტომაცაა მიმართვები შემონახული სწორედ მარჯორი უორდროპის ფონდში. ბოდლის ბიბლიოთეკაში შესაძლებლობა მოგვეცა გვენახა ერთ-ერთი ასეთი მიმართვის ასლი. მიმართვა შედგენილია ბრიტანეთში არსებული ბრიტანული საზოგადოებებისა და კომიტეტების წარმომადგენელთა მიერ, სადაც დეტალურადაა აღწერილი ჰააგის კონფერენციის გადაწყვეტილებები. მოთხოვნა დაწერილია მისი აღმატებულების მთავრობის მიმართ, უფლებების საზღვრების შეხსენების, უსამართლო ტანჯვის თავიდან აცილების მიზნით.

ქვეყანაში სამართლისა და ომის წესებთან დაკავშირებული კონვენცია, ჰააგის კონფერენცია, 1899

“მსოფლიოში მშვიდობიანობის ინტერესების შენარჩუნების ფარგლებში, სასურველია, რომ ჩვენს მიერ მიღებული კანონმდებლობა, რომელიც აღიარებულ იქნა მთავრობათა მიერ, უნდა გავრცელდეს შესაძლო საგანგებო მდგომარეობასა და უკვე საომარ მდგომარეობაში მყოფ რამდენიმე ქვეყანაზე, რასობრივ და მოსახლეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ჰააგის პირველ კონფერენციაზე მიღებულ სანქციებთან კავშირში, რომლის მიხედვითაც: “მოსახლეობა და საომარ მდგომარეობაში მყოფი საზოგადოება რჩება საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვის ქვეშ...” MS. Wardr. d. 20 (188)

ჩამოთვლილი მუხლები ითვალისწინებს პატიმართა მოპყრობას, შეხსენებულია იმ ადამიანთა უფლებები, რომელთაც ომის დროს იარაღი დაყარეს და აღარ გააჩნიათ თავდაცვის არანაირი საშუალება, ნახსენებია საკუთრების ძარცვასთან დაკავშირებული საკითხები, რის მიხედვითაც აკრძალულია პიროვნების საკუთრების განადგურება, მანამ, სანამ ამას ომის საჭიროება არ მოითხოვს. აკრძალულია თუნდაც ძალით აღებული ტერიტორიების ძარცვა. აკრძალულია დაუცველი სოფლებისა და უბნების დაბომბვა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პუნქტს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რის მიხედვითაც დამპყრობელმა პატივი უნდა სცეს ოჯახის უფლებებს (მანდილოსნებს, გოგონებს, მოხუცებს, რელიგიური აღმსარებლობას.

წერილს ხელს აწერენ: საქართველოს შემწეობის კომიტეტის თავმჯდომარე, საერთაშორისო არბიტრაჟისა და მშვიდობის ასოციაცია, ბალკანეთის კომიტეტი, ამხანაგობა რუსეთის თავისუფლებისათვის, ორგანიზაციის - ამხანაგობა სომხეთის თავისუფლებისათვის თავმჯდომარე და პრეზიდენტი, კონგოს რეფორმის კომიტეტი, ახალი რეფორმის პოლიტიკური კომიტეტი და სხვები.

საქართველოს მთავრობა რუსთა აგრესისაგან თავის დაღწევას ევროპისაგან დახმარების მიღებით ცდილობს. ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულია ასევე არაერთი, ჰააგის კონფერენციაზე წარდგენილი კონვენცია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორი მათგანის ავტორი ვარლამ ჩერქეზიშვილია: *Petition of the People to the International Piece Conference at the Haague, 6 ff*[1]*;* (MS. Wardr. C.I (33) *Petition du peuple georgien aux etats du monde civilise reunis es conference a la Haague, 11ff*. (MS. Wardr. C.I (33) (ფრანგულ ენაზე). აღსანიშნია ისიც, რომ ჩერქეზიშვილის ხელნაწერი ჩასწორებულია მეორე ხელის მიერ. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ეს მარჯორის კომენტარები უნდა იყოს, თუმცა ხელწერა *თითქმის* იდენტურად მივიჩნიეთ. მოცემულ დოკუმენტებში საუბარია ქართულ - რუსულ ურთიერთობებსა და რუსული მხარის მიერ დარღვეული უფლებების აღდგენაზე.

უკვე ავადმყოფი ინგლისელი მანდილოსნის თავდაუზოგავი შრომისა და ღვაწლის მიუხედავად, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები პრობლემად დარჩა და თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი აკრძალვა გაუთვალისწინებლად. საერთაშორისო სამართლის, მრავალი მთავრობის მიერ აღიარებული (ჰააგის კონვენციის) მოთხოვნები ნაკლებ მნიშვნელოვან მოვლენად იქნა ჩათვლილი და დარღვეული იქნა ყოველი პუნქტი. ქართველ მღვდელთა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დევნა არც კი შეჩერებულა. პირიქით, ყოველი ასეთი მიმართვა რუსეთის მთავრობის აგრესიასა და დამსჯელი ზომების გამკაცრებას იწვევდა.

როგორც ჩანს, ბოდლის ბიბლიოთეკის ქართული საგანძური ღირებულია არა მხოლოდ იმიტომ, რომ გვაწვდის მარჯორის მიერ შექმნილ მაღალმხატვრულ თარგმანებს, არამედ, იმიტომაც, რომ აქ დაცულ ხელნაწერებში ამოვიკითავთ მნიშვნელოვან ინფორმაციას საქართველოს ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებზე,

მარჯორის მიერ 1900-1909 წლებში განხორციელებულ საქმიანობასა და მის ღვაწლზე, რაც დასაფასებელია მითუმეტეს იმ პერიოდში, როცა რუსული მთარობა სასტიკად უსწორდებოდა ყოველ მათთვის არასასურველი მოსაზრების გამომთმელს; ამასთან, ბოდლის კოლექცია XIX საუკუნის ინგლისურ-ქართული, რუსულ-ქართული ურთიერთობების შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

სწორედ, მოცემული წერილების ხილვამ მიგვიყვანა იმ მოსაზრებამდე, რომ მარჯორის მართალია ოფიცილაურად არ ეჭირა დიპლომატის თანამდებობა, მაგრამ იგი საკუთარი სურვილით ასრულებდა დიპლომატის ფუნქციებს ყოველგვარი ოფიციალური წოდების გარეთე. (თუ არ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ იგი იყო წევრი ქართული კომიტეტისა)

ოფიციალურად დიპლომატის თანამდებობა ეკავა ოლივერ უორდროპს. იმის გათვალისწინებით, რომ და-ძმას ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, ოლივერი, მარჯორის მიერ ქართველი ხალხის გასაჭირის გაზიარების და მათთვის დახმარების ხელის გაწვდის დროს დის გვერდით უნდა მდგარიყო. ეჭვგარეშეა ისიც, რომ იგი კარგად იცნობდა მარჯორის საქმიანობას და მის მერ ქართველი ხალხისათვის გაწეულ ღვაწლს.

“მას შემდეგ, რაც მისი ძმა საკონსულო საქმეებში ჩაერთო, 1895 წელს მარჯორი უორდროპი ყოველთვის ძმასთან ერთად იმყოფებოდა. ათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთში – ქარჩში (1895-1902), სევასტოპოლში (1899), და პეტერბურგში (1903-1905)- მცირე ხნით იყო ტუნისში, ჰაიტიში, პოლონეთში. თავისი ქართული წიგნების კოლექციის დახმარებით მან განაგრძო რუსთაველის თხზულებაზე მუშაობა და ძმასთან ერთად გამოაქვეყნა წმინდა ნინოს ცხოვრება (1900), მეოთხე საუკუნის ქართველი აღმსარებელი მანდილოსნის შესახებ.“ (Donnkin 2004 : 380)

ისინი არა მხოლოდ ერთად მოგზაურობენ, არამედ ერთად მუშაობენ ქართული ლიტერატურის კვლევასა და თარგმანებზე. ერთად ეწევიან ქართული კულტურის საზღვარგრეთ პოპულარიზაციას.

განშორებისას ისინი მუდმივად სწერდნენ ერთმანეთს წერილებს და მუდამ ერთად იყვნენ შორეული მოგზაურობის დროს. ჩვენი აზრით სწორედ ოლივერის დამსახურება უნდა იყოს ისიც, რომ მარჯორი ქართული კომიტეტის აქტიური წევრი გახდა. ჯენიფერ დონკინი 2004 წელს მარჯორი უორდროპის ფონდის კვლევის დროს ასკვნის, რომ:

"ქვეყნანაში არსებული პრობლემები მარჯორი უორდროპს დიდად აწუხებდა. იგი იყო ქართული კომიტეტის აქტიური წევრი, მან პირადად მიმართა გიბრალტარის მღვდელთმთავარს, რათა შუამდგომლობა გაეწია რუსულ სინოდთან, ქართული ეკლესიასთან დაკავშირებული მდგომრეობის გამო."[1] (Donnkin 2004 : 380)

ამის მიუხედავად, იმ დროს, როცა საქართველო ინგლისისაგან პოლიტიკურ დახმარებას ითხოვს, ოლივერი განზე დგას და ერიდება რუსული მხარის განაწყენებას. ქართული კულტურის სფეროში მისი ღვაწლის გათვალისწინებით, ერთი შეხედვით, თითქოს ოლივერის დიპლომატად დანიშვნასა და საქართველოში ჩამოსვლას 1919 წელს ქართველი ხალხისათვის გარკვეული შვება უნდა მოეტანა. სამწუხაროდ, მის მიერ საქართელოში განხორციელებულ დიპლომატიას განსხვავებული სარჩული ედო. თვით საქართველოში ჩამოსვლამდე ოლივერს საკმაოდ მკაცრი ვალდებულებები ეკისრა

———————

1. "*The contemporary problems of the country were also of great concern to Maryory Wardrop. She was active on the Georgia Rielief Committee and made a personal Plea to the Bishop of Gibraltar to intercede with the Russian holy Synod on behalf of the Georgian Church.*" (Donnkin 2004 : 380)

ლონდონის მთავრობის, კერძოდ ჩერჩილის, ლორდ კურზონის მიმართ. მისი მისია საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ბიტანეთის საჯარო ოფისის მასალებზე დაყრდნობით აღწერილი აქვს ვერნერ ციურერს მისი უმთავრესი დავალება „ტრანსკავკასიის რუსეთისაგან მოწყვეტა და დასავლეთისკენ დაკავშირება იყო.“ [1] (Werner Zürrer 1978:293)

იგი დიპლომატის თანამდებობაზე შეარჩიეს საქართველოსთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი გამოდილების გამო. მან იცოდა ქართული ენა და ქართველ ხალხში დიდი პატივით სარგებლობდა, ციურერის თქმით სამხედრო ძალები კი მას გამოაყოლეს იმ შემთხვევისათვის, თუ შედგენილი დავალებები დიპლომატიური მისიის საშუალებებით ვერ მოგვარდებოდა.

საქართველოს მთვრობა მისგან გარკვეულ დახმარებას, დაცვას ელოდა პოლიტიკურ სფეროში, თუმცა იმის გამო, რომ ინგლისს რუსეთთან კავშირის გაფუჭება არ სურდა, საქართველოს დასახმარებლად არანაირი ნაბიჯი გადაუდგამს.

„კურზონი კიდევ ერთხელ დადგა არჩევნის წინაშე, მას ან კავკასიის კეთილდღეობა უდნა გაეწირა, ან რუსეთის სიპათიები. მან უკანასკნელი აირჩია და ეს ყოველივე 1919 წლის შემოდგმაზე დატრიალებული მოვლენების საშუალებით უფრო აშკარა იყო. უორდროპს აცნობეს, რომ ლონდონს საქართველოსა და ეზერბაიჯანთან არანაირი საერთო აღარ ჰქონდა.“ (Zürrer 1978: 297) მიღებული იქნა გადაწყვეტილებაც ჯარის გაყვანის თაობაზე, რასაც ოლივერი სასტიკად შეეწინააღმდეგა.

იმის მიუხედავად, რომ მარჯორი აკრიტიკებს რუსეთა ქმედებებს, თარგმნის ქართულ სტატიებს მაღალი რანგის თანამდებობის

———————————

1. Die vorschläge Wardrops liefen darauf hinaus, Transkaukasiens Bindung an Rusland zu kappen und seine Blicke möglichst nach Western zu richten.

პირებთან, მათგან დახმარების მიღების მიზნით, ოლივერი ლრდი კურზონისა და ჩერჩილის მხარეს იჭერს და ძალით წელავს დროს, იმ სამხედრო ნაწილის საქართველოს ტერიტორიებიდან გასაყვანად, რომელიც საქართველოში საკმაოდ თვითნებურად იქცევა და არღვევს საქართველოს სუვერენიტეტს.

საქართველოს მთავრობამ არაერთხელ მიმართა ოლივერ უორდროპს დახმარებისათვის. ოქსფორდის საცავში დაცულია მრავალი ასეთი მიმართვა ინგლისის ერთ-ერთი საკმაოდ გავლენიანი პირის მიმართ. ერთ-ერთი წერილის მიხედვით, 1918 წლის 18 ნოემბერს აკაკი ჩხენკელი ოლივერს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასა და ერთა ლიგაში მიღებაში დახმარების გაწევას სთხოვს. წერილის ასლი იხილეთ <u>დანართში 4.</u> საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა, 1920 წლის 6 იანვრით დათარიღებულ წერილში ოლივერ უორდროპს მოახსენა, რომ ინგლისი არანაირ დაქმარებას უწევს საქართველოს და პირიქით ბევრ რამეში ავიწროვებს. ახენებს ფაქტს, რომ ინგლისის სამხედრო ხელისუფლების წყალობით საქართველოს არ მეიცა ბათუმის ოლქის გამაგრების საშუალება, თურქთა თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით. ამასთან ინგლისი არ სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, რაც სახელმწიფო წყობილების განმტკიცებას აფერხებს. აღნიშნულია ისიც, რომ ინგლისი არ ხსნის ბლოკადას და ამით დიდ ზიანს აყენებს საქართველოს.

ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულია ასევე გიორგი გვაზავას მიერ ოლივერთან გაგაზავნილი წერილი. იგი პირადად ჩასულა ინგლისში ოლივერთან გარკვეული საკითხების დასაზუსტებლად. იგი ქართულადაა დაწერილი და მას ახლავს ინგლისურ ენაზე დაწერილი განმარტებითი ბარათი:

“15 მარტი 1923 წელი

ლონდონი

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

გთხოვთ მიიღოთ ჩემი სალამი, რომელსაც გიძღვნით დიდის სირვარულით და პატივისცემით.

მე ვარ ეხლა ლონდონში; რისთვის და რა საქმისთვის, იმას გაიგებთ იმ თხოვნისაგან, რომელიც მე შევიტანე "ფორეგნ-ოფფიცში" და რომლის ასლსა გაახლებთ. სრული იმედი მაქვს, რომ მიშველით და დამეხმარებით ამ საქმეში, როგორც საჭიროდ დაინახავთ.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი

გიორგი გვაზავა." (MS.Wardr. C.25)

დართული წერილი წარმოადგენს მნიშვნელოვან მასალას არა მხოლოდ ფილოლოგებისათვის, არამედ ისტორიკოსებისათვისაც. მის მიხედვით ქართველი საზოგადოება დახმარებას სთხოვს ოლივერს იმის გამო, რომ საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის დროს ქართველთა დასახმარებლად გაგზავნილი ინგლისური ჯარის მგზავრობის, კვების, იქ ყოფნის ფული ქართველებს დააკისრეს და ამასთანავე ჯარიმა დაუწესეს მისი გადაუხდელობის გამო.

მიუხედავად არსებული კორესპონდენციებისა, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა მიერ აღიარებასა და მხარდაჭერაში დახმარების თხოვნისა, ინგლისმა წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს ერთა ლიგაში მიღებას და საკუთარი კურსი საქართველოს მიმართ გამოხატა წერილში:

„საქართველოს ბედისადმი ინგლისი არაა გულგრილი და მომხრეა მისი დამოუკიდებლობისა, მაგრამ მთელ მსოფლიოში იმდენი საზრუნავი აქვს, რომ წინასწარ ვერ განსაზღვრავს, რა პრაქტიკული დახმარების გაწევას შეძლებს. ამიტომ საქართველო საკუთარ ძალებს უნდა დაეყრდნოს." (გაბაშვილი 1991)

ამრიგად, თუ კი მარჯორი უორდროპი მუდამ ქართველთა მხარეზე დგას, ქართული ენის, რწმენის, ისტორიისა და ერთიანობის

დამცველად გვევლინება, ყოველგვარი კრიტიკული მიდგომის გარეშე ენდობა საქართველოდან მიღებულ ინფორმაციას და განიცდის, ამასთან, არ იცვლის ერთხელ უკვე აღებულ კურსს, ოლივერი ნაკლებ კრიტიკული რჩება რუსული მთარობის მიმართ, მიუხედავად, რომ თავს ქართველთა მეგობრად აცხადებს და მუდამ ცდილობს ქართული მასალების მოპოვებასა და ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

ფრიად საინტერესოა ისიც, რომ ბოდლის ბიბლიოთეკაში ოლივერის მიერ საქართველოსთან დაკავშირებული არაერთი ინგლისურ ენაზე შესრულებული თარგმანია დაცული. ერთ-ერთი ყველაზე ვრცელია: საქართველოს ტრაქტატები რუსეთთან. (Georgia Treaties with Russia)

საინტერესოა რა მიზანი ჰქონდა მის თარგმანებს? ან რატომ დართო ოლივერმა მარჯორის საკუთარი თარგმანის გიბრალტარის მღვდელთმთავართან გაგზავნის უფლება? სავარაუდოა, რომ ოლივერი ფარულად ემხრობოდა და მხარში ედგა მარჯორის, თუმცა ამის გამომჟღავნებას ვერ ახერებდა მის მიერ დაკავებული მაღალი თაამდებობების გამო. იგი იყო ბრიტანეთის კონსული პეტერბურგში, „თხუთმეტი წლის განმავლობაში მას ეკავა თანამდებობები რუსეთში, პოლინეთსა და რუმინეთში, იყო ბრიტანეთი სკომისარი საქართველოში, გენერალ-კონსული სტრასბურგში.“ (Foster 1949:115-116)

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბოდლის ბიბლიოთეკის ქართული საცავი ქართული ეკლესიის დევნით შეძრული მთარგმნელის მართლმადიდებლური ეკლესიის დაცვის მიზნით შესრულებულ მრავალ ნაშრომს იცავს. თარგმანები დიდი სიზუსტითაა შესრულებული ძირითადად რუსულიდან. მათში ნათლადაა დახატული ეკლესიის დევნისა და იმ დროს არსებული რეპრესიების ცოცხალი სურათი და გამოკვეთილია მარჯორისეული

დამოკიდებულება საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმართ. შემონახულია ასევე ფრიად საყურადღებო ინფორმაცია და XIX-XX საუკუნის რეალობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დეტალები. ოქსფორდის საცავის მასალებზე დაყრდნობით აღწერილია მარჯორის დიპლომატიური საქმიანობა, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიისა და ინგლისურ-ქართული კონტაქტების შესწავლის დროს.

IV. მარჯორის მიერ დიპლომატიური მიზნით შესრულებული თარგმანები

ბოდლის ბიბლიოთეკის, მარჯორი უორდროპის კოლექციის მასალებზე მუშაობისას მიკვლეული იქნა მარჯორის მიერ შესრულებული მრავალი სტატიის თარგმანი, რაც არ უკავშირდება ქართული ეკლესიის საკითხს, მაგრამ მათ დიპლომატიური მისია აკისრიათ. მოცემულ თავში სწორედ ეს თარგმანებია განხილული. აშკარაა, რომ საგაზეთო სტატიები მარჯორის მიერ თარგმნილია ინფორმაციის გასავრცელებლად, თუმცა მრავალ მათგანზე ადრესანტი არაა მითითებული. ამ ქვეთავში მოყვანილი და განხილულია მხოლოდ ის სტატიები, რომლებზეც მითითებულია ის, თუ ვისთვის თარგმნა ისინი მარჯორიმ.

უმთავრესად, მარჯორის წერილები სესილ სპრინგ-რაისთან, პეტერბურგის საგარეო საქმეთა მინისტრთანაა გაგზავნილი. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილისგან მიღებული წერილის თარგმანი, ასევე საქართველოს უკანასკნელი დედოფლის მარიამის წერილის თარგმანი.

ადრესანტი მითითებულია ასევე 1906 წლის 24 მარტს "ცნობის ფურცელში" (№3035) დაბეჭდილი ქართული სტატიის მარჯორისეულ თარგმანზე: "*A copy of this translation was handed by the translator (Marjory Wardrop) to Mr. Cecil Spring.Rice, Chargé d'Affaires in St. Petersburg.*" (MS.Wardr. C. 2)

სტატია დაწერილია თბილსის მმართველი გენერლის ბატონი ტიმოფეევის საპასუხოდ, რომელმაც პასუხი მოსთხოვა ქართულ მხარეს რუსულ გაზეთში (ნოვოე ობოზრენიე) დაბეჭდილი სტატიის გამო, სადაც რუსული მხარე დადანაშაულებულია უკანონო ქმედებებში, მკვლელობებსა და ძარცვებში. სტატია ასახავს 1906

წელს საქართველოს თითოეულ ქალაქში რეალურად არსებულ მდგომარეობას, ფაქტებს, პირველი იანვრიდან მოყოლებული, დეტალურად და თანმიდევრობით აღწერს რუსების მიერ ქართველთა საცხოვრებელი სახლებისა თუ მაღაზიების, ქალაქების გადაწვისა და გაძარცვის, გამოჩენილ პირთა დევნის ფაქტებს, მკვლელობებს. იგი მოიცავს ოცდარვა ნაბეჭდ გვერდს. თარგმანის შესავალი იხილეთ დანართში 38 (MS.Wardr. C. 2)

სტატიის ავტორი მიმართავს გაზეთის მკითხველს, რომ რუსთა უსამართლობების საბუთის წარდგენა არაა საჭირო, დასავლეთ საქართველოს მიმართულებით რკინიგზით მგზავრობისას, მას მატარებლიდან გადმოსვლაც არ დასჭირდება ყველაფრის საკუთარი თვალით დასანახად. ამის მიუხედავად, მოყვანილია საკმაოდ ვრცელი დამამტკიცებელი საბუთები, სადაც აღწერილია რუსთა ქმედებები. დასასრულს კი მითითებულია, რომ ეს ფაქტები მხოლოდ სამი დღის განმავლობაშია მოგროვებული და იგი მხოლოდ ძალიან მოკრძალებულ ინფრომაციას (It gives but a faint picture) იძლევა იანვრის შუა რიცხვებში იქ მომხდარის შესახებ.

სტატიას, როგორც ჩანს, რამოდენიმე ავტორი ჰყავს. ამდენად მის ავტორად მითითებულია: “ჩვენ.”

მარჯორი მუდმივად იღებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, თარგმნიდა საქართველოსთან დაკავშირებულ ინფორმაციას, თავად ქმნიდა საგაზეთოდ დასაბეჭდ სტატიებს საქართველოში არსებული მდგომარეობის სხვა ქვეყნებისათვის მისაწოდებლად. მარჯორის თავფურცელზე თავად მიუწერია, რომ სტატია *Memoir concerning events in Georgia in 1906”* (MS.Wardr. C. 2) წარმოადგენს სხვადასხვა გაზეთიდან ამოკრებილ ინფორმაციას. მთლიანი სტატია შვიდი გვერდისაგან შედგება (68-75გვ.)

იზიარებს რა მარჯორი ქართველების ტანჯვას, მიმართავს რუს მანდილოსნებს, რომ მცირეოდენი თანაგრძნობა გამოიჩინონ ქართველი და-ძმების მიმართ:

“რუსო მანდილოსნებო! ნუთუ არ გესმით ქართველთა ქვითინი და კვნესა? ნუთუ არ იცით რას უშვებიან თქვენს დებს ლამაზ საქართველოში? მთელი ქვეყანა ალშია გახვეული, არავის იწყალებენ – მოხუც ქალბატონებს, 8 წლის ბავშვებს, სკოლის მოსწავლე გოგონებს... საშინელებამ და სიგიჟემ მოიცვა ქვეყანა. ეს ყოველივე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მეორდება. ორი თვეა ქალები და ბავშვები ტყეს აფარებენ თავს, დამსჯელი დივიზიისაგან თავის დასაცავად, მაგრამ იქაც არ არიან უსაფრთხოდ აღვირახსნილი სისასტიკის წინაშე. რამდენი პატარა ბავშვი დაიღუპა, ან ძალადობის მსხვერპლი გახდა...” (MS.Wardr. C. 2)

მიმართვა რუსი ქალებისადმი გრძელდება საქართველოში არსებული მდგომარეობის დეტალური აღწერით, სტატია მოიცავს 15 დეკემბრის ავანყებისა თუ რუსების მიერ ქართული სოფლებისა თუ მაღაზიების ძარცვისა და ქართველების ოჯახების გადაწვის ფაქტებს იანვრის ჩათვლით. სტატიები ქართული სხვადასხვა გაზეთიდანაა ამოწერილი და დალაგებული თარიღების მიხედვით.

მარჯორისეული თარგმანის ერთი-ერთი მონაკვეთის ფოტოასლი იხილეთ დანართში 39 (MS.Wardr. C. 2)

ჯენიფერ დონკინი 2004 წელს ქართული საცავის კვლევის შემდეგ დასკვნების გამოქვეყნებისას წერს, რომ: “პეტერბურგში ყოფნისას, 1905 წლის რევოლუციის დროს რუსეთში, მან თარგმნა ანგარიშები ბრიტანეთის საბჭოსათვის, სადაც დეტალურადაა არწერილი რუსი კოზაკების მიერ ქართველთა დევნის ფაქტები. “British Embassy accounts of Cossacks' repression in Georgia.” (Donnkin 2004: 380)

ეს სტატია სწორედ ბრიტანეთის საელჩოსთვის უნდა იყოს თარგმნილი, სადაც მან ამოწერა და თარიღების მიხევით დაალაგა თავისი ნაშრომი.

ახლდა თუ არა ამ სტატიებს მარჯორისეული კომენტარები ძნელი სათქმელია, ვინაიდან ამისი დამადასტურებელი დოკუმენტი ჯერ არ მოძებნილა. პროფესორ დონალდ რეიფილდის, ქართული ლიტერატურის მთარგმნელისა თუ მკვლევარის თქმით, ამ თარგმანებთან დართული წერილის ორიგინალი შესაძლოა პეტერბურგის არქივში ინახებოდეს.

უზომოდ დიდი შრომის შედეგია ასევე 1906 წელს დაბეჭდილი შ. გორცევის ბროშურის (*Как грузинские крестьяне борятся за свободу*) თარგმანი – The Gurians' fight for freedom. (M. Wardr. C 26 (8)

ამ ოცდაორგვერდიანი სტატიის ხილვა მკითხველს ბოდლის ბიბლიოთეკაში მარჯრისეული ხელნაწერის სახით შეუძლია, სადაც უხვადაა მარჯორისეული ჩასწორებები. აქ კარგად ჩანს, თუ როგორ მუშაობდა მთარგმნელი თარგმნის პროცესში. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, თარგმანი შედარებით თავისუფალია და დიდი ემოციებითაა გადატანილი. მთარგმნელი დიდად განიცდის მეგობრების გასაჭირში ყოფნას და ამას ყოველივეს თავის ნაშრომში ასახავს.

აღნიშნულ სტატიაში საუბარია გურულების მიერ სამშობლოს დაცვის მიზნით განხორციელებული ქმედებების შესახებ. საქართველოს ამ ლამაზმა კუთხემ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მასზე, ამიტომაც არაერთი სტატია უძღვნა მხოლოდ გურიას, და იქ განვითარებულ მოვლენებს.

სტატიის მიხედვით გურიაში 1901-1902 წლებში მოძრაობის დაწყების საბაბად ეკონომიკური საფუძველია მიჩნეული, მოუსავლიანობა და გლეთა გაუსაძლისი მდგომარეობა.

“გურიაში მღელვარების დაწყებას მხოლოდ ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა. მიწის უმეტესი ნაწილი ეკუთვნის მემამულეს, რომელიც გლეხებს ამუშავებს იქ იმ გადასახადის საფასურად, რისი გადახდაც მათ არ შეუძლიათ... 1901 – 1902 წლებში დაწყებულმა მოუსავლიანობამ კრიზისი უფრო გაამწვავა... 1903 წელს კი მთელ გურიაში დაიწყო გაფიცვა მემამულეების მიმართ.”(M. Wardr. C 26 (8) [36]

სტატიაში აღწერილია გლეხთა გამოსვლები და მათი მოთხოვნები მთავრობის მიმართ. მშიერმა გლეხებმა მოახერხეს მთავრობისაგან დათმობების მიღება და პირველი მრელვარება გლეხების გამარჯვებით დასრულდა.

აქვე ასახულია რუსების კონტრშეტევა და დამსჯელი ექსპედიციები. გურულების თავგამეტებული ბრძოლა თავისუფლებისათვის და რუსების მიერ განხორციელებული უკვე ცნობილი მეთოდები. სტატია სრულდება მოძრაობის ჩახშობის აღწერით.

აღსანიშნია ისიც, რომ რუსთა მიერ უსამართლოდ დევნილი ქართველები ხშირად მიმართავდნენ ბრიტანულ მთავრობას დახმარებისათვის. უორდროპის საცავში დაცულია რამოდენიმე წერილი მიწერილი სერ ედუარდ გრეისთან, 1862-1933 საგარეო საქმეთა მდივანთან 1905 – 1916 წლებში. მათ შორისაა სამი ქართველი მანდილოსნის აპელაცია, რაც ჩაწერილია 1906 წელს ნ. დრაიჰურსტისა (N. Dryhurst) და ემილი მაურისის (Emily Mauris) მიერ. (ნ. დრაიჰურსტი არის ბრიტანელი მოაზროვნე, მთარგმნელი პიოტერ ალექსეევიჩ კროპოტნიკის (1842-1921) წიგნისა: *The great French revolution, 1789-1793. By P.A. Kropotkin; tr. from the French by N.F. Dryhurst*) ვფიქრობთ, რომ ამ წერილს გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს მარჯორისთან, ამიტომაცაა იგი შემონახული უორდროპის კოლექციაში.

აქვე შევძელით გვენახა საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთერთი წერილი ქალბატონ დრაიჰურსტთან, სადაც მას საგარეო საქმეთა სამინისტროს №23063 წერილის, ქართველთა აპელაციის, გამოქვეყნების ნებართვა ეძლევა. წერილის თარიღია 1906 წლის 20 ივლისი.

ზოგიერთი ქართველის საჩივარი წარმოდგენილია რუსული კომიტეტის, კერძოდ პიოტერ ალექსეევიჩ კროპოტნიკის მიერ, 1909 წელს გამოცემულ წიგნში: *The Terror in Russia, appeal to the British nation.* (Kropotkin 1909) იგი მოიხსენიებს ვინმე ლომთათიძის წერილს, რაც დაიბეჭდა 1909 წლის 13 აპრილს და სადაც აღწერილია ქართველთა მდგომარეობა რუსულ ციხეებში. ავტორი მოიხსენიებს ასევე იმას, რომ ამ სტატიის გამოქვეყნების შედეგ ლომთათიძე ციხეში გამოკეტეს ორ ავადმყოფთან ერთად, ყოველგვარი საკვების გარეშე ამყოფეს, მანამ, სანამ არ გარდაიცვალა მძიმედ დაავადებული.

“საავადმყოფოს ფანჯრებიდან კარგად ჩანს ეშაფოტი. ამჟამად თხუთმეტი ადამიანი ელოდება სიკვდილს, 90 კი სიკვდილით განაჩენს. პატიმრებს განუწყვეტლივ სცემენ გულის წასვლამდე ან თუნდაც სიკვდილამდე. ადგილზე იცხრილება ყველა, ვინც ხმას ამოიღებს გამოსარჩლების მიზნით.” (Kropotkin 1909: 69)

მარჯორის გული შესტკივა ქართველთა ამ დაუმსახურებელი ტანჯვის გამო. საცავში შემონახული მასალების საფუძველძე შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ კარგად ერკვეოდა იგი რუსულ-ქართულ ურთიერთობებში და რამდენად კარგად ფლობდა იგი ინფორმაციას ქართულ-საზრვარგარეთული ურთიერთობის შესახებ.

ამრიგად, აღნიშნულ თავში მოყვანილ, მარჯორის მიერ შესრულებულ თარგმანებს საერთო აქვთ ის, რომ ისინი:
ა) დიპლომატიური მიზნით არიან შესრულებული, საქართველოში არსებული მდგომარეობის ქვეყნის გარეთ გატანა აკისრიათ;

ბ) არ წარმოადგენენ დედნის ზუსტ ასლს. მთარგმნელს მათში ასახული ინგორმაცია ამოუკრებია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთიდან და გადაუმუშავებია.

გ) მარჯორი კვლავ ნაკლებ კრიტიკულად უდგება გაეთებში მოყვანილ ინფორმაციას.

დ) მისი თარგმანები შესრულებულიადიდი ემოციით, რაც ასახულია დედანში. მთარგმნელის განცდა არსებული ფაქტებისადმი უსაზღროა.

ე) ისინი მიგვითითებენ მარჯორის ქართველი მეგობრებისათვის გაწეულ ღვაწლსა და მის უზომო თავდადებაზე, მეგობართა ერთგულებაზე. რაც ქართველთა მხრიდან უდაოდ დასაფასებელია.

ალბათ არცერთი უცხოელი მეცნიერი, თუ საზოგადო მოღვაწე ყოფილა საქართველოსადმი ასე თავდადებული, ერთგული და თავგანწირული, როგორც მარჯორი უორდროპი. ამის დამადასტურებელია არა მხოლოდ უკვე ცნობილი თარგმანები, არამედ 2008 წელს ოქსფორდში მიკვლეული მასალები. აღსანიშნია ისიც, რომ იგი საკუთარი სურვილით ეხმარებოდა ქართველ ხალხს და ამისათვის იყენებდა თავის საზოგადოებრივ მდგომარეობას, ცოდნასა და გამოცდილებას. ფაქტია, რომ მან გააკეთა ის, რისი გაკეთებაც შეეძლო XIX საუკუნეში მცხოვრებ მეტად მორცხვ მანდილოსანს, რომელიც თვლიდა, რომ ქალს არ გააჩნდა მუშაობის, სწავლისა და საქმის კეთების უფლება.

IV. მარჯორის აღმსარებლობასთან დაკავშირებული საკითხი

მარჯორი უორდროპის ქართულ კოლექციაში არსებულ მასალებზე მუშაობამ მარჯორის აღმსარებლობასთან დაკავშირებულ საკმაოდ საინტერესო დასკვნებამდე მიგვიყვანა. ეს საკითხი აქამდე არ დასმულა და ამ მოსაზრების გამოთქმის საფუძველიც მარჯორი უორდროპის ქართულ კოლექციაში დაცულმა მასალებმა მოგვცა.

წერილების მიხედვით მარჯორის ივანე როსტომაშვილთან უცხოვრია და მისი ქალიშვილიც მოუნათლავს.

“ისე შეგვეჩვია მარჯორი, გვერდიდან აღარ მშორდებოდა, სამზარეულოში მეხმარებოდა. მან სიხარულით მონათლა ჩემი პატარა გოგონა.” (MS.Wardr. d. 20) – ისხენებს ელისაბედ როსტომაშვილი.

ივანე როსტომაშვილი, 1897 წლის 18 თებერვალს მარჯორის სწერს:

“ჩვენო სასიქადულო ნათლიავ! თქვენი ნათლული, ელენე, მეტად კარგია, ცქვიტი, მალხაზი და მამის პირველი სიყვარული. ღმერთმა უცოცხლოს თქვენი თავი, რომ როცა გაიზრდება ინგლისური ასწავლოთ და ინგლისური წავლა-განათლება შესძინოთ.” (MS.Wardr. d. 20)

როგორც ჩანს, მარჯორის საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონია როსტომაშვილების ოჯახთან. იგი ქართველ ნათლულს ხშირად სწერდა და საჩუქრებსაც უგზავნიდა. ამავე წლის ცხრა მარტს ივანე როსტომაშვილი მარჯორის მადლობას უხდის გამოგზავნილი საჩუქრებიათვის.

„ძალიან გაიხარა თქვენმა ნათლულმა ელენემ, ვერ აგიწერთ რა სიხარული აქვს, როგორ უვლის, ნამდვილ დედობრივ სიყვარულს უცხადებს თავის ჭუფრას: აი სურათიც მოგართვით თავისი ჭუფრით... 25 თებერვალს გახდება 2 წლისა თქვენი ელენე და ისეთი გონიერია

და ჭკვიანი 6 წლისას ჰგავს. ლაპარაკობს მშვენივრათ, თქვენს სურათს სცნობს, როცა ვაჩვენებთ წმინდათ ეძახის „ნათლიაო„ და ჰკოცნის..." (MS.Wardr. d. 20)

1909 წლის 29 იანვარს ივანე როსტომაშვილი მარჯორის, სამწუხარო ამბავს ატყობინებს:

"*მართალია, თქვენი ნათლული ელენე აღარ გვყავს, რვა შვილში ის გამოარჩია ბედისწერამ და 6 წლის ხელიდან გამოგვტაცა ჩვენი საყვარელი ელენე... ბევრი კარგი იმედები დავმარხე მე იმასთან, მაგრამ ჩვენ თქვენ მაინც ისე გვიყვარხართ, როგორც ჩვენში, საქართველოში ნათლულები უყვართ ხოლმე, მუდამჟამს გიგონებთ...*" (MS.Wardr. d. 20)

მარჯორისაც გაზეთიდან გაუგია ინფორმაცია ელენეს დაღუპვის შესახებ და დაუყოვნებლივ მიუწერია ივანესათვის:

„*თქვენმა ამბავმა ფრიად მაწუხა და აქამდის ვერ მგონია, რომ ჩემი ძვირფასი ელენე აღარ გვაქვს (ეს წინადადება დედანში, მარჯორის ხელნაწერში გადაშლილია: <u>ხუთი ნათლული მყავს, მაგრამ ეს ჩემი ყველაზე საყვარელი ნათლული იყო. ისეთი ნაზი</u>) ტკბილი, საყვარელი ბავშვი იყო და სულ ჩემზე იღიმოდა იმ დღე როდესაც განათლული იყო. დღეს ვნახე დროებაში რომ თქვენ კიდევ ერთი ძვირფასი ქალიშვილი დაკარგეთ... რა დიდი გასაჭირი და წუხილი ყოფილა საწყალ საქართველოში. გულისტკივლით წამიკითხავს ხოლმე ქართული გაზეთები...*"(MS.Wardr. d. 26/4 (11)

როგორც ვიცით, საეკლესიო წესების მიხედვით მართლმამდიდებლის მონათვლა მხოლოდ მართლმადიდებელს შეუძლია. მარჯორი სიყვარული საქართველოსა თუ ქართველი ხალხისადმი უსაზღვროა. მის წერილებში გამოხატულია მოკრძალება და პატივისცემა ქართული მართლმადიდიებლური ეკლესიისადმი. ვფიქრობთ, რომ საქართველოს სიყვარულმა მას მიაღებინა გადაწყვეტილება მართმადიდებლობის მიღების შესახებ. იგი საქართველოს ხომ მეორე სამშობლოს უძახდა.

საქართველოში ყოფნისას მრავალი ეკლესია-მონასტერი უნახავს. ურთიერთობა ჰქონდა საეკლესიო პირებთან. შეაძლოა, ამიტომაც ატარებდა იგი გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ნაჩუქარ ხატს და როდესაც გაბრიელ ეპისკოპოსმა მას წმინდა ნინოს ხატი აჩუქა, უპასუხნია: „*მსგავსი საჩუქარი ჯერ არასოდეს მიმიღია.*“ (ჩვენი მწერლობა 2001)

შესაძლოა, ესაა მიზეზი მარჯორის დიდი აღშფოთებისა, რაც გამოიწვია რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულმა ქმედებებმა: ავტოკეფალიის გაუქმებამ, რელიგიის შერყევამ, საეკლესიო პირთა უუფლებობამ... იგი თითქოს ამაყობს კიდეც რომ მრავალი დამპყრობელის მიუხედავად ქართველმა ერმა შეინარჩუნა მართლმადიდებლობა და წუხს, რომ სწორედ ეხლა დაიწყო მისი ფესვების შერყევა.

ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება გაამყარა ასევე ოქსფორდის ბიბლიოთეკაში მარჯორის მიერ საკუთარი ხელით გადაწერილი ქართული ლოცვებისა და გალობანის ხელნაწერების, დღესასწაულებსა თუ დღის განმავლობაში წასაკითხი ლოცვის წიგნების ნახვამ, რაც საკმაოდ დიდი მოცულობისაა და უორდროპის კოლექციაში MS.WARDR. D2 შიფრითაა დაცული.

V. ზოგიერთი სიტყვა მარჯორისეული აქამდე გამოუქვეყნებელი მხატვრული ლიტერატურის თარგმანების შესახებ

მარჯორი 1900-1909 წლებში საქართველოში განხორციელებული რუსული პოლიტიკის კრიტიკის მიზნით თარგმნის არა მხოლოდ რეალობის ამსახველ სტატიებს, არამედ ამავე პერიოდის მხატვრულ ლიტერატურასაც.

მარჯორის მიერ შესრულებულ, აქამდე უნცობ, მხატვრული ლიტერატურის თარგმანებს შორისაა გაზეთ "ისარში" (1907 წლის 25 თებ. № 43) დაბეჭდილი შალვა დადიანის (1874-1959) მოთხრობის თარგმანი, რაც ეხმიანება საქართველოში არსებულ მძიმე მდგომარეობას. შალვა დადიანის მიერ დასათაურებული მოთხრობა "შინ" მარჯორიმ თარგმნა როგორც „An allegory," (MS. Wardr. C26 (10) ვინაიდან ეს მართლაც ალეგორიაა იმ მდგომარეობისა, რაც ხდება XIX საუკუნის საქართველოში. პატარძლად საქართველო მოიაზრება, ხოლო ჩრდილოეთიდან დიდებით მოტანილ ქოლგად - რუსეთი.

„უეცრად ამ მშვენიერ დღეს წვიმა წამოვიდა. წვიმა სისხლისა იყო.
პატარძლის მშვნეიერი მორთულობა ისვრებოდა, ლაქავდებოდა, წითლდებოდა.
მეფემ შემოიკრიბა უხუცესნი და მცხოვანები თავისთან.
მეფე საგონებელს იყო შთავარდნილი
- უნდა დავიცვა პატარძალი და მისი სამოსელი შემწიკვლებისაგანო. დიდათ ითათბირეს და...
გადაწყვიტეს ქოლგის შეძენა.
ქოლგა ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ შესძლებოდა პატარძლის მთელი კეკლუცი ტანის დაფარვა
აღმოჩნდა ასეთი
ჩრდილოეთის ერთ ველურს ჰქონდა თურმე გაკეთებული.

და მოიტანეს დიდი დიდებით...“ (დადიანი 1907)

მოთხრობაში ყურადღება გამახვილებულია ხალხის მოვალეობაზე: „*სად არის ხალხი? ჭკვიანები ამბობენ: ეს სიტყვა დიდი ხანია არსებობს მაგრამ მისი მნიშვნელობა მხოლოდ ახლა შევიგნეთო.*“ (დადიანი 1907)

მარჯორიერული თარგმანისათვის იხილეთ დანართი 42.

თარგმანში დაცულია დედნისეული სტილი და შინაარსი, განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ტექსტის ემოციურობასა და დინამიურობაზე. თარგმანი ხუთ ფურცელს მოიცავს.

მარჯორი ინარჩუნებს ფორმას, მას კარგად ესმის დედანში ჩადებული იდეა და ზუსტად გადააქვს ეს ყოველი თარგმანში. *“Where are the people? ‘Long has this word existed but only now do we understand its meaning”, say the wise.”* (MS. Wardr. C26 (10)

ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში 2008 წელს მიკვლეულ იქნა სხვა თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები. მარჯორი თარგმნის XIX საუკუნის მწერალთა ნაწარმოებებს, რადგან აქ საუკეთესოდაა ნაჩვენები ქართველ ხალხში არსებული განწყობა და სულის გამოძახილი.

თანამედროვე მწერლების თარგმანებს შორისაა ასევე დუტუ მეგრელის “ცრემლები.“ (ნამდვილი სახელი – დიმიტრი ხოშტარია (1867-1938). იგი დასრულებული არაა, თარგმანი ხელნაწერის სახითაა შემონახული მარჯორის სავარჯოშო რვეულში. მარჯორისეული თარგმანისათვის იხილეთ დანართი 45. (MS. Wardr. e. 33)

მარჯორი თარგმნის ასევე ოპტიმისტურ, მებრძოლი სულით აღსავსე ლექსებსაც. აკაკი წერეთლის ლექსი თარგმნა გაზეთიდან “თაიგული” და უწოდა “To the Oppressors.” აღნიშნული თარგმანის სრული ასლი მოცემულია დანართში. იხილეთ დანართი № 3

აღსანიშნია ასევე მარჯორის კიდევ ერთი სავარჯიშო რვეული, (Ms. Wardr. d. 22) სადაც მოთავსებულია სხვადასხვა ლექსების თარგმანები: გრიგოლ ორბელიანის, “The Vision” ვახტანგ ორბელიანის - “Two Buildings,” “There is a place,” ილია ჭავჭავაძის ლექსები “Elegy,” “Spring,” “O, our Aragva,” “The sleeping made,” “Bazaleti's lake” და ორი პოემა, ბაქრაძის, - “I am a Georgian” გრიგოლ ორბელიანის -“My Epitaph,” “Remembrance,” “Queen Tamara's portrait” გრიგოლ ვოლსკის-“I will love thy eye,” ლექსები. აქვეა ოლივერის მიერ თარგმნილი რაფიელ ერისთავის ლექსის თარგმანი:“The Khevsur's home.” ცალკე რვეულშია მარჯორისეული თარგმანი აკაკი წერეთლის ერთი ლექსისა - “Suliko.” (MS. Wardrop. d.40/2 (6)

ეს ლექსები მარჯორის მიერ ქართული ენის შესწავლის მიზნითაა თარგმნილი დაახლოებით 1892-95 წლებში. მისი ცნობილი თარგმანები გასწორებულია სხვადასხვა ქართველი მოღვაწის მიერ, ეს ლექსები კი ხელუხლებელია და მათში საუკეთესოდ აისახება მარჯორისეული მხატვრული გემოვნება.

გრიგოლ ორბელიანის ერთ-ერთი ლექსის დედანთან შედარებისას იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ ლექსში საუკეთესოდ ჩანს მთარგმნელი. მისი თარგმანები გამოირჩევა სიზუსტით. მარჯორი არ ტოვებს არცეთ დეტალს, იგი ასევე ცდილობს მის გარითმვასაც.

“Oh thy holy face
Full of Beauty
Shining with grace
I gaze with fixed look.”

აღსანიშნია ისიც, რომ თარგმანები სიტყვასიტყვითია და აშკარად ეტყობა, რომ ამ ლექსების თარგმნის მიზანი მხოლოდ ქართული ენის უკეთ დაუფლებაა.

ქართული ენის დაუფლების მიზნითაა მარჯორის მიერ 1905 წის 9 დეკემბერს გაზეთ “ტაიმსში”, (Times, 9 December 1905) “From the corerspondent” ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატიის თარგმანი. ოქსფორდის საცავში არსებობს მარჯორის არა მხოლოდ ქართულიდან ინგლისურ ენაზე შესრულებული ქართულ თარგმანები, არამედ პირიქით, იგი თარგმნის ინგლისურენოვან სტატიას ქართულად.

სტატიაში აღწერილია რუსები კოზაკების გურიაში შეჭრა და ქართველების თავგანწირული ბრძოლა. სტატიის შინაარსიდან გამომდინარე მისი ავტორი ქართველი უნდა ყოფილიყო.

თარგმანი მარჯორის სავარჯიშო რვეულშია მოთავსებული. როგორც ჩანს, მარჯორის ქართულის გაკვეთილებს ოლგა მირზაშვილი უტარებდა და მის თარგმნაშიც დახმარებია. სტატია მარჯორსეული ხელნაწერითაა დაწერილი, სადაც ხშირია ოლგასეული ჩასწორებები. თარგმანი არაა გამართული ქართულით შესრულებული, ჩანს ინგლისური ენის გავლენა ქართულ თარგმანზე და არის მცირედი უზუსტობებიც, თუმცა შინაარსის გაგება შესაძლებელია:

„დღეს საქართველოში ყველაზე უფრო გამოჩენილ პირად უეჭველად ითვლება ქუთაისის გუბერნატორი ბ. სტაროსელსკი, რომელმაც ეს არის ეხლა გრაფს ვორონცოვ-დაშკოვს გაუქმებინა მაზრაში სამხედრო წესები, რომელიც მხოლოდ სამი დღე არსებობდა. ბ. სტაროსელსკი (რომელიც ყველასაებრ ვერ დაიღვრა ადგილიდამ როდესაც დაიწყო დიდი გაფიცვა) გადაშლილია რადგანაც საყოველთაო იყო, ამიტომ სტაროსელსკიმ ვერ თავის დროზე გურიაში ჩასვლა და მხოლოდ მოასწრო პარასკევს, გასულ კვირას გავიდა ქუთაისიდან. გურია წინად თავისუფალი სათავადო იყო და ეხლა შეადგენს მთელ მაზრას. სამი წელიზად ნახევარია რაც გურულები ცხადა ბრძლებიან რუსის მთავრობას ცხადი ომი*

გამოუცხადეს. მათ წინააღმდეგობა პირველში დაიწყეს მებატონებთან და მიზეზი ამისი იყო აგრარული კითხვა, შემდეგ დაერთო პოლიტიკური მხარე და გამოუცხადეს ბოიკოტი.“ (MS.Wardr. e. 33)

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამავე რვეულში ფერგაცლილი ვარდის ორი ფურცელი იდო. არაა გამორიცხული, რომ იგი საქართველოდან ყოფილიყო ჩამოტანილი და საქართველოს უკავშირდებოდა. ეს ფურცლები ელაგა იქ, სადაც მარჯორის სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი და თარგმნილი აქვს ლეგენდები თამარ მეფის შესახებ.

1900-1909 წლებში შესრულებული ქართული ლიტერატურის თარგმანებს შორის აღსანიშნავია მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანის“ თარგმანი. მთარგმნელს თვადვე მიუთითებია, რომ მისი თარგმნა 1900 წლის 13 დეკემბერს დაუწყია. უთარგმნია პირველი ოთხი თავი სრულიად და მეხუთე თავის დასაწყისი. ესაა „ამირან-დარეჯანიანის“ უპირველესი ინგლისური თარგმანი, რაც საცავში დაცულია MS.Wardr.d.40/I შიფრით. არსებულ თარგმანს ვერ ვუწოდებდით მღალმხატვრული თარგმანის ნიმუშს. აშკარაა, რომ ამ ერთი ხელის მოსმით შესრულებულ თარგმანს მარჯრი კვლავ მიბრუნებას და დახვეწას უპირებდა, თუმცა რატომღაც შეჩერებულა.

მარჯორი XX საუკუნის დასაწყისში ნაკლებ ყურადღებას უთმობს მხატვრული ლიტერატურის თარგმნას. მისი ძირითადი აქცენტი გადატანილია საგაზეთო სტატიების თარგმნასა და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის დახვეწაზე.

მარჯორი ცდილობს ქართული ლიტერატურის შესახებ სტატიების გამოქვეყნებას, ვაინაიდან მას სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი და თარგმნილი აქვს ინფორმაცია თამარ მეფის, ფარნავაზის, წმინდა ნინოს, აბრსკილის, ამირანის, ბაბო ბაგრატიონის შესახებ. მან გამოაქვეყნა კიდეც მცირე სტატია გიორგი ათონელზე.

ამრიგად, მარჯორის მიერ ნათარგმნი XIX-XX საუკუნეების ქართული მხატვრული ლიტერატურა ეხმიანება ხალხში არსებულ სულიერ განწყობილებას. გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის ლექსები ძირითადად თარგმნილია ქართული ენის შეწავლის და დახვეწის მიზნით.

VI. ქართული ლიტერატურისა და ენის ისტორიის მკვლევარნი

ოქსფორდში ჩატარებული კვლევისას მივაკვლიეთ ერთ-ერთ ინგლისურენოვან ჟურნალს, *The Evening Bells,* რაც ასევე უძვირფასეს საგანძურად მივიჩნიეთ. მასში გამოქვეყნებულია მარჯორის მიერ დაწერილი საქართველოსთან დაკავშირებული კვლევა თომას მურის ცნობილი ინგლისური ლექსის წარმომავლობის შესახებ. საცავის მასალების მიხედვით, მარჯორი არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის მთარგმნელი, არამედ მკვლევარიცაა. მის მიერ სიცოცხლის ბოლო წელს გამოყვეყნებულ სტატიას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ქართულ – ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის, არამედ X – XI საუკუნის მოღვაწის, გიორგი ათონელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შეფასებისას.

სტატია დაბეჭდილია სამხრეთ ჰილტონის ეკლესიის, ბელფრის ფონდის მიერ 1909 წელს და იგი ჟურნალის 55-ე გვერდზეა მოთავსებული სათაურით: “Those Evening Bells.” An Echo from Georgia. კვლევა სულ სამიოდე აბზაცისაგან შედგება.

რუსული ვერსიების მიხედვით მელოდია “Вечерний звон”, აღიარებულია როგორც რუსული ეროვნული სიმღერა -*Народная музыка, Советская Музыка*. მის ავტორად ითვლება ივან ივანოვიჩ კოზლოვი (1779 – 1840) და ტექსტი 1827 წლითაა დათარიღებული. რუს მკვლევართა მიხედვით იგი ავტორს ოჯახის მეგობრისათვის - ტ.ს. ვეიდემეიერისათვის მიუძღვნია. *“რომანსის ავტორად ითვლებიან ივან კოზლოვი და ალექსანდრე ალბიაბიევი. შესანიშნავი პოეტი და ბრწყინვალე კომპოზიტორი.”* (Константинова 2011)

ინგლისური ვერსიების მიხედვით ეს ტექსტი ინგლისურიდანაა შესული რუსულ ლიტერატურაში. იგი კოზლოვს უთარგმნია მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში და მისი ავტორი სწორედ ირლანდიელი მწერალი თომას მურია. (1779—1852)

“ალბათ ყოველ თქვენგანს მოუსმენია ეს რომანსი, მაგრამ ის არაა ცნობილი, რომ იგი ინგლისურიდანაა თარგმნილი რუსულ ენაზე. ლექსის “Those Evening Bells” ორიგინალი დაწერილია ირლანდიელი პოეტის, თომას მურის მიერ. მისი პოემა თარგმნილია რუსი პოეტის, ივან კოზლოვის მიერ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მუსიკა შედგენილია ალექსანდრე ალიაბაევის მიერ. სიმღერის ასეთი პოპულარულობის გამო, მისი წარმოშობა დავიწყებას მიეცა.”[1] (Zaushitsyna No.1525) - ამბობს თომას მურის ლექსების მთარგმნელი ანასტასია ზაუშიტსინა.

თომას მურის ბიოგრაფიის მიხედვით სწორედ ლონდონში არსებული სახლი გახდა პოეტის შთაგონების წყარო.

„1811 წელს მურმა იქორწინა ბესი დიკიზე, ახალგაზრდა მსახობზე... ერთ-ერთი შესაფერისი სახლი, რომელიც მურმა მონახა იყო 'The Cedars' ლონდონის ქუჩაზე, კეგვორთში. ბესი აღფრთოვანებული იყო ბაღითა და სახლით. თომს უყვარდა ბაღში ლექსების შექმნა და ინგლისური წყაროების მიხედვით სწორედ აქ იპოვა მან აღმაფრენის წყარო. აქ მოჯადოვდა იგი ბონინგტონის მარგალიტის ზარებით, რომელზეც საუბარია მის ლექსში.

'Those Evening Bells.'

Those evening bells! those evening bells!

How many a tale their music tells,

1.“But it isn’t well known that the lyrics were translated from English into Russian. The original is the poem “Those Evening Bells” by the Irish poet Thomas Moore. His poem was translated by the Russian poet Ivan Kozlov in the first half of the 19th century and set to music by the composer Alexander Alyabyev. The song became so popular in Russia that its origin was almost forgotten.” (Zaushitsyna No.1525)

Of youth, and home, and that sweet time,
When last I heard their soothing chime.

Those joyous hours are pass'd away;
And many a heart, that then was gay,
Within the tomb now darkly dwells,
And hears no more those evening bells.

And so 'twill be when I am gone;
That tuneful peal will still ring on,
While other hards shall walk these dells,
And sing your praise, sweet evening bells.“ (Moore 1941:352)

მარჯორი ამ მელოდიის წარმოშობით დაინტერესებულა. იგი მიუთითებს, რომ მართალია ინგლისური ტექსტი ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ინფორმაცია მისი წარმოშობის შესახებ ძალიან ცოტას აქვს.

“ყველაზე კარგად ცნობილი ინგლისური პოემა, საეკლესიო ზარების შესახებ შემდეგნარიად იწყება: “Those Evening Bells, Those Evening Bells,” თუმცა მათ შორის, ვინც ეს სიტყვები ზეპირად იცის, ძალიან ცოტას აქვს ინფორმაცია მათი წარმოშობის შესახებ.” (MS.Wardr.d.40/I (3)

მარჯორის თქმით ძალიან მცირემ იცის ამ ცნობილი ინგლისური ლექსის წარმომავლობის თარიღის შესახებ და ვერც ალბათ თავად ამ ტექსტის შემქმნელი მოიფიქრებდა იმას, რომ ცხრა ასეული წლის შემდეგ მისი ექო შორეულ დასავლეთში აჟღერდებოდა, ქვეყანაში, რომლის შესახებ, ალბათ არც თავად იცოდა ბევრი და არც ამ ქვეყანამ იცოდა რამე მის შესახებ.

მარჯორი ყურადრებას ამახვილებს ფაქტზე, რომ არც თუ ისე ბევრმა იცის, რომ ამ ტექსტის ავტორი სწორედ ქართველი, ათონის მთაზე მოღვაწე საეკლესიო პირი – გიორგი ათონელი ყოფილა.

მკვლევარი ამტკიცებს, რომ მისი ქართული ორიგინალი დაკარგულია და სიმღერამ ჩვენამდე მოაღწია რუსული ვერიის წყალობით, რომელიც შექმნილია პოეტ კოზლოვის მიერ.

ქართული ვერსიის არსებობის შემთხვევაში ადვილი დასადგენი იქნებოდა როგორ მოხვდა ეს ტექსტი ინგლისურ ლიტერატურაში, თუმცა მკვლევარი თავად ტექსტის შინაარსზე დაყრდნობით ცდილობს თავისი მოსაზრების გამყარებას.

ტექსტის წარმომავლობის დასადგენად, რუსული ენის კარგად მცოდნე მარჯორის, რუსული და ინგლისური ვერსიები ერთმანეთისათვის შეუდარებია და დასკვნია, რომ რუსული ვერსია იმავე მეტრს შეიცავს, რასაც ინგლისური, მაგრამ გავრცელებული თანამედროვე კვლევების მიხედვით, მელოდია სწორედ ინგლისური ვერსიიდან შესულა რუსულში. ივან კოზლოვს (1779 – 1840) იგი ირლანდიელი პოეტის თომას მურის (1779-1852) ლექსიდან *"Evening Bells"* საკმაოდ ზედმიწევნით უთარგმნია.

კოზლოვიცა და თომას მურიც ერთი ეპოქის მოღვაწეები არიან. ორივე ცნობილია როგორც პოეტი, ასევე მთარგმნელი. რომელი ვერსია შეესაბამება სიმართლეს? რუსული, ინგლისური თუ მარჯორისეული.

მარჯორი თავის მოსაზრებას ასაბუთებს თავად ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე. იგი მოგვითხრობს გიორგი ათონელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ:

"წმინდა გიორგი იყო ერთ-ერთი, იმ უამრავი ნიჭიერი ქართველიდან, რომელთაც თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ათონის მთის მონასტერში გაატარეს, ბერძნულიდან მშობლიურ ენაზე წმინდა წიგნების თარგმნასა და ასევე ბერძნული ლიტერატურის გამდიდრებაში." (MS.Wardr.d.40/I (3)

მარჯორი მკითხველს მიუთითებს, რომ მას საუკეთესო განათლება ჰქონდა მიღებული ფილოლოგიისა და ენების განხრით,

იგი იყო ასევე ბიზანტიის იმპერატორთან დაახლოებული პირი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან განათლებული იყო, გამოირჩეოდა თავმდაბლობით. მკვლევარის თქმით, იგი თავს "საწყალ მღვდელ გიორგის" უწოდებდა.

მარჯორი დასძენს, რომ ამ ცნობილ სიმღერაში გიორგი ათონელი თავის სამშობლოზე საუბრობს, იხსენებს იმ ზარების ხმას, რაც მას ბავშვობაში ხშირად მოუსმენია. ტექსტის კითხვის დროს სწორედ იგი წარმოგვიდება თვალწინ ათონის მონასტერში. მუშაობით დაღლილ მწერალს, ფიქრები საქართველოსკენ მოუწოდებენ, "მარგალიტის ზარები" ხომ სწორედ სამშობლოს სიმბოლოა. ზარების ხმა მას აგონებს სახლს, ახალგაზრდობას და ტკბილ მოგონებებს აღძრავს, რომლის ახმოვანებასაც იგი სიამოვნებით მოისმენდა კიდევ ერთხელ. ავტორს ენატრება ის ადგილი, სადაც მან და თავისმა დამ გაატარეს ბავშვობა და იმ ზარების ხმები, რასაც ისინი ისმენდნენ თრიალეთის მდელოზე.

მარჯორი ამტკიცებს, რომ სიმღერის მიხედვით, ლექსის ავტორი შორს ყოფილა წასული თავისი სახლიდან, ზარების ჟღერა მხოლოდ ტკბილ მოგონებადღა შემორჩენია და ამჟამად აკლდამაში მყოფს მსგავსი ხმა აღარ ესმის. გიორგი ათონელიც საქართველოდან შორს იმყოფებოდა, ბიზანტიაში, ათონის მონასტერში აგრძელებდა თავის მოღვაწეობას. მარჯორის თქმით სწორედ მონატრებამ დააწერინა ეს სტროფები და ალბათ წინათგრძნობამაც. მას შეეძლო სწორად განეჭვრიტა საქართველოს მომავალი, ქართველი ხალხის ბრძოლა სხვადასხვა დამპყრობლების წინააღმდეგ, როცა ამ დიადი ზარების ხმა რატომღაც შეწყვეტილა, მაგრამ შემდეგ კვლავ განახლებულა.

ამდენად, მარჯორის თქმით ტექსტი დაახლოებით ათასი წლის უნდა იყოს ვინაიდან იგი დაახლოებით (1009 – 1065) წლებში უნდა დაწერილიყო.

კონსტანტინოვა იმეორებს საბჭოთა პერიოდში გამოთქმულ მოსაზრებას ამ ცნობილი მელოდიის წამომავლობის შესახებ და ამტკიცებს, რომ:

“ერთ-ერთი გავრცელებული ვერსია იმის შესახებ, თუ საიდან მოხვდა საღამოს ზარები ჩვენთან არის ის, რომ, იგი ამჟამად საბეძნეთის ტერიატორიაზე, ათონის მთის მონასტერში, დაწერა ქართველმა, შესაძლოა ლათინურ ენაზე. იქიდან რამოდენიმე წლის შემდეგ სიმღერა მოხვდა ინგლისში, ირლანდიელ რომატიკოსთან თომას მურთან, რომელსაც იგი თავის მხრივ ინგლისურ ენაზე გადაუტანია. ინგლისურიდან კი იგი რუსულში შემოვიდა. ან პირიქით, ჯერ რუსულში იყო და შემდეგ ინგლისურად გადაითარგმნა და შემდეგ ისევ რუსულში დაბრუნდა. ამ ვერსიას აქვს არსებობის უფლება, თუმცა ამ მოსაზრების გამომთმელთ არ შეუძლიათ მისი მყარი დამამტკიცებელი საბუთებით განმტკიცებაა.”(Константинова 2011)

მარჯორის კვლევა მართალია მნიშვნელოვანია ქართველი ხალხისათვის, მაგრამ მისი მოსაზრება არაა გამყარებული რაიმე ხელმოსაჭიდი მასალით. მკვლევარის თქმით, მართალია ქართული ვერსია ჩვენამდე არ მოღწეულა, მაგრამ მისი დამწერი ტექსტში ანონიმურად ირეკლება და პასუხს ამ ტექსტის წარმოშობის შესახებ თავად მისი შინაარსი გვაძლევს. მკვლევარი იყენებს იმ დროს არსებულ, ქართველ ხალხში გავრცელებულ მოსაზრებებს, რომელთაც ასევე ბრმად ენდობა და სტატიას აქვეყნებს ყოველგვარი კრიტიკული შესწავლის გარეშე.

თუმცა, მარჯორის მიერ XX საუკუნის დასაწყისში გამოთქმული მოსაზრება, რომ ინგლისური ვერსია ქართულიდანაა გადმოღებული და მისი ავტორი სწორედ ქართველი, ათონის მთის მონასტერში მოღვაწე საეკლესიო პირი - გიორგი ათონელია, არ შეძლება იყოს საფეძველმოკლებული. ამას არა მხოლოდ ტექსტის შინაარსი

ადატურებს, არამედ ის ფაქტიც, რომ თომას მურის პოეზიაში საქართველო არაერთხელ აირეკლა. მის ნაწამოებში ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობს საქართველოს:

ა) იცის, რომ თბილისში არსებობს თბილის წყლები, „*Tiflis is celebrated for ist natural warm bath*";

ბ) იცნობს ქართველი ხალხის აღნაგობას, რასაც მანდილოსნის დახასიათებისას იყენებს:

„And with an eye, whose restless ray,
Full, floating, dark – oh he, who knows
His heart is weak, oh Heaven should pray
To guardhim from such eyes as those!

And see – a lovely Georgian maid,
With all the bloom, the freschen'd glow
***Of her own country maidens' looks**,*
When warm they rise from Teflis broocks!"

გ) მური საქართველოზე საუბრისას ქართველის პირით ამბობს, რომ ესაა ადგილი, სადაც შეიძლება ბენიერების მოპოვება, თუ კი ამ ქვეყნად სამოთხე არსებობს ეს სწორედ აქაა. „*…If he be an Elysium on earth, it is this.*" (Орловская 1965:71-76)

ორლოვსკაიას მტკიცებით აღმოსავლეთით გატაცება რომანტიკოსთა დამახასიათებელი თვისება გახლდათ. პირველად "1001 ღამე" ითარგმნა ფრანგულ ენაზე 1704 წელს. არსებული რეალობით უკმაყოფილო ევროპელი რომანტიკოსებს არც თუ ისე იშვიათად გადაჰქონდათ თავისი გმირების თავგადასავალი ქვეყნის ფარგლევს გარეთ, აღმოსავლეთის ქვეყნებში და თომას მურიც, ამ შემთხვევაში, არ იყო გამონაკლისი. ავტორის თქმით, მურს საკმაო ინფორმაცია უნდა ჰქონოდა საქართველოზე, სანამ აღნიშნულ ინფორმაციას თავის ნაწარმოებებში ასახავდა.

მართალია მარჯორის მიერ დაწერილი სტატია სამეცნიერო კვლევად ვერ ჩაითვლება, მისი მიამიტური ბუნების გამო, მაგრამ გამორიცხული არ უნდა იყოს ისიც, რომ გიორგი მთაწმინდელის მიერ ლათინურ ენაზე დაწერილი ლექსი, ქართული მასალების შესწავლის დროს უნდა მოხვედრილიყო თომას მურთან და მას ეს მოტივი თავისი ნაწარმოებისათვის უნდა გამოეყენებინა, რაც შემდეგ ითარგმნა რუსულ ენაზე კოზლოვის მიერ.

და-ძმის ღვაწლი ქართული კულტურის კვლევის საქმეში გაცილებით დიდი აღმოჩნდა ქართული საცავის შესწავლის შემდეგ. ქართული ენის წარმოშობის პრობლემას მრავალი მეცნიერი შეეხო და დღემდე არ არსებობს საერთო მყარი მოსაზრება. ამ საკითხის კვლევას მიჰყო ხელი ოლივერ უორდროპმაც. მართალია, აღნიშნული ნაშრომი მარჯორი უორდროპს ეხება, მაგრამ შეუძლებელია ოლივერის მიერ ქართული ენის გენეზისთან დაკავშირებული კვლევის გაუთვალისწინებლობა უორდროპების მიერ გაწეული ღვაწლის აღწერის დროს. თავისი მოსაზრება ქართული ენის წარმოშობის შესახებ მან პირველად "საქართველოს სამეფოში" გამოთქვა.

"ქართლის, ან ქართველური ენის წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ საეჭვოა, მაგრამ ფილოლოგების გააჩნიათ ერთი საერთო მოსაზება იმის შესახებ, რომ იგი არ უნდა ეკუთვნოდეს ინდო-ევროპულ ენათა ჯგუფს, თუმცა მასზე დიდი გავლენა მოახდინა სანსკრიტმა, სპარსულმა და სომხურმა ენებმა." (Wardrop 1888 : 136)

იგი ხაზს უსვამს ქართველ მკვლევართა მოსაზრებებს, რომ მათი აზრით ქართული არ ეკუთნის ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს და ასრულებს, რომ ქართულ ენას მრავალი მსგავსება აქვს სხვადასხვა ენებთან.

თუ კი ერთის მხრივ ოლივერი თითქოს მხარს უჭერს ქართველი მეცნიერების მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ქართული ძირეულად შორდება ინდო-ევროპულს, აზიური საზოგადოების ჟურნალში იგი აქვეყნებს საკუთარ სტატიას, სადაც იმისი დამამტკიცებელი საბუთები მოჰყავს, რომ ქართული შესაძლოა სწორედ ინდო-ევროპული წარმომავლობისა იყოს. იგი აქვე ახსენებს ნიკო მარის კვლევებს და ამბობს, რომ, ნიკო მარი შეისწავლის იაფეტურ ენებს კავკასიურ, აპენინს, ბრიტანულს, მესოპოტამიურს და სხვა ენებში და "იმ შედეგმა, რომელთაც მან უკვე მიაღწია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვაინაიდან ამ დასკვნებმა შეიძლება სრული რევოლუცია მოახდინონ ფილოლოგიურ კვლევებზე." (Wardrop 1923 : 308)

ქართული ენის უფრო ფართოდ კვლევის საფუძველი ჩაუყარა ბოდლის ბიბლიოთეკაში MS. Wardr. d. 40.4. შიფრით დაცულ ოლივერის ინგლისურ - სვანური ლექსიკონმა *English -Svanetian Vocabulary, by Oliver Wardrop.*

ოლივერი ემხრობა მარის მოსაზრებებს და აზიური საზოგადოების ჟურნალში იგი ეხმაურება ფრიდრიხ ბრაუნისა და ნიკო მარის ნაშრომებს ქართული ენის იაფეტურ (ფრიდრიხ ბრაუნის მიხედვით გერმანიკულ) ენებთან მსგავსების შესახებ: *Japetitische Studien zur Sprache und Kultur Eurasiens herausgegeben von F. Braun und N. Marr*. ისინი მიმართავენ ქართულს, (Iberian of Transcaucasia and Iberian of the Pyrenees) როგორც უძველეს და დღემდე არსებულ ცოცხალ ენას გერმანიკულ ენებთან შესადარებლად.

ოლივერი პარალელს ავლებს ქართულსა და გერმანიკულ ენებს შორის და წერს: "ქართული ენის კითხვისას, შევამჩნიეთ შემდეგი კურიოზული პარალელები ევროპულ ენებთან და მოვახდინეთ მათი პერიფრაზი... გუგული guguli – (cockoo), L. cuculus; კვეთა, cuet'ha(cut); კოცნა, cotzna (kiss), G. Küssen; ლომი, lomi(lion);

მანდილი, mandili=Sp.(mantilla); ღვინო, ghvino (wine), L. vinum, Welsh-gvin."[89] (Wardrop 1923 : 633) „ქალა, კალა, ინგ. Skull... ცა, = . Caelum... მინდორი,= ინგ. Meadow... ლოკა,= ინგ. Lick... შტო, G. Asht." (Wardrop 1923 : 309)

მსგავსება ქართულ და გერმანიკულ სიტყვებს შორის, რომელიც ოლივერს აქვე აქვს მოყვანილი და ანბანის მიხედვით დალაგებული აშკარაა.

ოლივერს მიგნებული პარალელების გვერდით მოჰყავს პროფესორ სეისის მოსაზრებები, რომელიც ინგლისური ენის ეტიმოლოგიის შესწავლის დროს საინტერესო დასკვნებამდე მიდის:

"რამოდენიმე წლის წინ მივაქციე ყურადღება იმ ფაქტს, რომ ინგლისურში არსებობს სიტყვათა გარკვეული ჯგუფი, რომელთაც ენაში არანაირი ეტიმოლოგია გააჩნიათ, მაგალითად ძაღლი ღორი, გოგო ბიჭი. (dog, pig, boy, girl) ფიესტმა და ლიბიხმა ეს სიტყვები მიიჩნიეს "იზოლირებულ" სიტყვებად გერმანიკულ ენებში, ანუ ისეთ სიტყვებად, რომელთაც არანაირი კავშირი არ აქვთ ინდოგერმანიკულ ენებთან. ასეთი სიტყვების რაოდენობა ენაში ერთი მესამედი, ანუ მთელი ლექსიკის ოცდაათი პროცენტია და სწორედ აქ აქვს საფუძველი იაფეტური კვლევების თეორიებს." (Sayce 1922 :16)

ავტორის თქმით 1910 წელს, როდესაც ოქსფორდში ჩამოყალიბდა ქართველური ენების შესწავლის ფონდი, ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ მას რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა ინგლისური ლინგვისტიკის შესწავლის დროს.

"ფაქტია, რომ იაფეტური ჯგუფის ქართული ის ენაა, რომელმაც დღემდე სრულიად შემოგვინახა, დიდი მნიშვნელობის მქონე, 2,000 წლის განმავლობაში არსებული ლიტერატურული ტრადიცია."[1] (Sayce 1922 : 16)

ოლივერი, ქართველ ფილოლოგთა მიერ გავრცელებული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, აქამდე არსებულ, თუ საკუთარ

კვლევებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ამ მსგავსებას გარკვეული საფუძველი უნდა ჰქონდეს. თუმცა აქვე იმასაც ამატებს, რომ აქვე მოყვანილ სიტყვებს შესაძლოა არც ჰქონდეთ ისტორიული კავშირი დასავლეთთან. ესაა მხოლოდ ერთ-ერთი მოსაზრება, რომელიც დაიბადა ბოლშევიკურ რუსეთში.

მართალია, ოლივერი და სეისი მხოლოდ მოყვარული ლინგვისტები იყვნენ, მაგრამ ოლივერის მიგნება, ქართული ენის ინდო-ევროპუთან, არამეულთან კავშირის შესახებ მეცნიერულად დაასაბუთა ივანე ჯავახიშვილმა კვლევაში „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ (თბილისი, 1926) მისი აზრით, ქართული წარმართული ეპოქის ძეგლია და ფინიკიურ-სემიტურის (არამეულის) ბაზაზეა შექმნილი და ელინისტურ ხანაში გაიცადა ბერძნულის გავლენა. ამაში მას გარკვეულწილად დაეხმარა 1940 წელს აღმოჩენილი ოერნოვანი ბილინგვა (ბერძნულ - არამეული) და არამეულის ქართულთან შედარებისას დაასკვნა, რომ ქართული არამეულის მონათესავე ენაა.

ჯავახიშვილის კვლევები გაიზიარა რამაზ პატარიძემ. მსგავსი მოსაზრება გამოთქვა ასევე ფრიდრიხ მიულერმა. ნაშრომში: *Indoeuropäische Märchen und Mythen* Müller, Friedrich Max. - München : Books Ex Oriente, 1986 republished in 2009.

აქვე გასათვალისწინებელია ჰაინრიხ ჯანკერის კვლევებიც, რომელიც მიიჩნევს, რომ როგორც ქართული, ისე სომხური მომდინარეობს არამეული, ფაჰლავის დამწერლობიდან. (Junker : 1925, 1926)

მნიშვნელოვანია ასევე გიორგი წერეთლის, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების საპატიო წევრის (1964) კვლევები, რომელიც არმაზულ დამწერლობას არამეულიდან წარმოშობილად მიიჩნევს. საქართველოში აღმოჩენილ ბილინგვურ

ტექსტებში უამრავ იბერიზმებზე მიუთითებს. (წერეთელი 1942, Церетели, 1948, 1849)

ვფიქრობთ, რომ ქართული დამწერლობა სწორედ ინდო-ევროპულიდან უნდა მომდინარეობდეს, არა მხოლოდ ოლივერის მიერ ჩამოთვლილი რამოდენიმე სიტყვათა მსგავსების გამო, არამედ არამეულთან საკმაოდ დიდი მსგავსების გამო. მეცნიერთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ქართული „ჯ“ და „ქ“ ქრისტიანობის დამკვიდრებას უკავშირდება, სინამდვილეში „ჯ“, ბოჯღალი, უღველესი დროიდანვე მისწის ღვთაების სიმბოლოა. არამეულ ანბანში ბოლო ადრილი უკავია „ჯ“-ს, (არამეულში TAV) ისევე როგორც ქართულში და მოხაზულობითაც საოცარ მსგავსებას ავლენენ. არამეულშიც, ქართულის მსგვსად ხშირია თავშეკრული ასოები, დანარჩენ ბგერებს ანბანის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გარკვეული ცვლილებები უნდა განეცადათ, ისევე როგორც ეს მოხდა ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრული დამწერლობის შემთხვევაში.

მარჯორი უორდროპის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში ასევე დაცულია ოლივერის არაერთი კვლევა საქართველოს ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით. იგი იკვლევს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს, არსებულ ტრაქტატებს და თარგმნის კიდეც მათ ინგლისურ ენაზე. ოლივერის ნაშრომები, თარგმანები, ხელნაწერები, პირადი ეპისტოლარული ლიტერატურა და მისი საქართველოსთან კავშირის ანალიზი ჩვენი კვლევის მომდევნო ეტაპია.

ამრიგად, და-ძმა უორდროპების ღვაწლი ქართული ლიტერატურისა და ენის კვლევაში უსაზღვროა. მათ ინტერესი გამოხატეს და თავისი სიტყვა თქვეს ქართული კულტურის თითქმის ყველა სფეროს შესახებ. ამოუწურავია ასევე ბოდლის ბიბლიოთეკის მარჯორი უორდროპის საცავი, სადაც ყოველი მათი ხელნაწერი

უდიდესი მნიშვნელობის მქონეა არა მხოლოდ ქართველოლოგიური კვლევებისათვის, არამედ ინგლისურ-ქართული კონტაქტების შესწავლის დროს.

VII. ქართული ეთნოგრაფიის მკვლევარნი

ბოდლის ბიბლიოთეკაში მიკვლეული მარჯორი უორდროპის თარგმანებიდან მნიშვნელოვანია ასევე ქართულ ეთნოგრაფიასთან დაკავშირებული თარგმანები. მარჯორი საქართველოში მრავალ კუთხეს გაეცნო და აქ მცირე ხნით ყოფნის დროს მოახერხა მრავალი ჩანაწერის შეგროვება. ქართული საცავის კვლევის შედეგად ვადგენთ, რომ მისი ინტერესი საქართველოსადმი მხოლოდ ზემოთ აღწერილით არ შემოფარგლულა. ქართველი ხალხის ცხოვრების წესით და მათი წარმოდგენებით დაინტერესებულმა მარჯორიმ არაერთი სტატია თარგმნა ქართული ეთნოგრაფიის შესახებ. მოცემული სტატიები მარჯორის სიცოცხლის ბოლო წლებში უთარგმნია საქართველოდან გამოგზავნილი სხვადასხვა გაზეთიდან.

მნიშვნელოვანია ბ. ნიჟარაძის სტატიის თარგმანი *Beliefs of The Svanetians*[42] გაზეთიდან „ივერია.“ ავტორი აღწერს სვანების წარმოდგენებს ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, იმ რიტუალებს, რასაც ისინი გარდაცვლილის სულთან დაკავშირებით ასრულებენ. მთარგმნელს თავადვე მიუწერია, რომ თარგმანი 1895 წლის 12 აგვისტოსაა შესრულებული. იგი ნაბეჭდია და სულ ათი გვერდისაგან შედგება. ამონარიდისათვის იხილეთ დანართი 42. (MS. Wardr. c. 26. (29)

ავტორის თქმით სვანების წარმოდგენები საკმაოდ შორსაა ქრისტიანულ რწმენასთან. ისინი არასოდეს ახსენებენ სამებას, ან მის წევრებს, არ ლოცულობენ მონანიების მიზნით; აქ ხშირია არაქრისტიანული საგნები. სტატია გრძელდება სვანთა საკმაოდ საინტერესო წარმოდგენების აღწერით.

და-ძმის ინტერესი განსაკუთრებულია სვანთა ცხოვრებისა და ენისადმი. მათი თქმით სვანური არის ქართველური ცალკეული ენა და ის, ვინც შეისწავლის ქართულს, გზა ექნება გაკვალული ასევე სხვა ქართველური ენებისაკენ. სვანური ენისადმი ინტერესს გამოხატავს

ასევე ოლივერის ინგლისურ-სვანური ლექსიკონი, რაც 58 ფურცლისაგან შედგება: English – Svanetian vocabulary, carbon copy of tapescript. (MS. Wardrop. d.40/4 (3)

მარჯორი ინტერესს იჩენს ასევე კახეთში არსებული ქორწინების ტრადიციებისადმი. ამის დამადასტურებელია 1894 წელს გაზეთ „ივერიის“ (№156) ერთ-ერთი სტატიის თარგმანი *Marriage Customs in Kakheti. (MS. Wardr. c. 26. (18)* თარგმანი შვიდი ხელნაწერი თაბახის ფურცლისგან შედგება. მასში არსებული ჩასწორებები და გადაშლილი ადგილები მიუთითებს, რომ იგი თარგმანზე ბევრს მუშაობდა. მოყვანილია თარგმანის ფრაგმენტები, რაც ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის თარგმანსა და სტატიის შინაარსზე.

სტატიაში ჩართულია ავტორისეული კომენტარები. იგი მკითხველს მიმართავს, რომ იგი ახდენს გასინჯვის ცერემონიის განმარტებას, რაც მას საკმაოდ საინტერესოდ მიაჩნია. იხილეთ <u>დანართი 47</u>.

სტატია საკმაოდ დაწვრილებით აღწერს გასინჯვის ტრადიციას. დეტალურადაა არწერილი ქალ-ვაჟის შეხვედრის მომენტები. თარგმანი სრულდება ქორწინების ცერემონიის აღწერით.

კახელთა ცხოვრებისა და ადათ-წესებით დაინტრესებულა ასევე ოლივერიც. ბოლდლის ბიბლიოთეკის საცავში ვიხილეთ ოლივერის თარგმანი, სადაც აღწერილია კახელთა მიერ ახალი წლის შეხვედრა. ოლივერის თარგმანი *New Year Customs* (MS. Wardr. c. 26. (19) ერთი გვერდისაგან შედგება.

და-ძმას თითქმის მთელი საქართველო ჰქონდათ მოვლილი, ისინი ხვდებოდნენ და ესაუბრებოდნენ უამრავ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს, იწერდნენ საინტერესო ინფორმაციას, იძენდნენ საქართველოსთან დაკავშირებულ ნებიემიერ საინტერესო მასალას. მათი ინტერესი ქართული ეთნოგრაფიისა და ქართველთა ყოფა-ცხოვრებისადმი გაცილებით დიდი აღმოჩნდა ოქსფორდის ქართული საცავის შესწავლის შემდეგ.

VIII. ქართული მითოლოგიის მთარგმნელ-მკვლევარნი

იმ თარგმანებს შორის რაც ქართველებისათვის არ ყოფილა აქამდე ცნობილი, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული მითოლოგიის თარგმანებს. მარჯორი საქართველოდან გამოგზავნილი ჟურნალ-გაზეთებიდან ეცნობოდა ქართული საზოგადოების უახლეს ნააზრევს და გადაჰქონდა ინგლისურ ენაზე. ასე აღმოჩნდა მარჯორის თარგმანებს შორის ასევე "ამირანის" თარგმანი. ნაწარმოები გადაუთარგმნია *სვანური ფოლკლორიდან*, 1893 წელს გამოქვეყნებული კრებულიდან "თავისუფალი სვანი." თარგმანი სულ ოცდაორ ფურცელს მოიცავს. მარჯორისეული თარგმანის თავფურცლისა და პირველი გვერდის ფოტოასლის ნახვა შესაძლებელია დანართში № 4 (MS. Wardr. d. 40/1 (6) უორდროპის ქართულ საცავში შესაძლებელია ასევე 1893 წელს გამოყვეყნებული დედნის ხილვაც.

ამირანის შესახებ თქმულებები დაფიქსირებულია საქართველოს ყველა ისტორიულ მხარეში, ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტზე, რაც ქართველი ერის ეთნოგენეზის ადრეულ სტატიაზე გვაძლევს მითითებას. ამირანის სახე მოსჩანს ძვ. წ. მე-3 ათასწლეულით დათარიღებულ არქეოლოგიურ ძეგლებში.

"ეპოსმა ჩვენამდე ფრაგმენტული სახით მოაღწია. იგი არსებობს თხრობითი ტექსტის სახით, რომელშიც ალაგ-ალაგ ლექსითი ნაწილებია ჩართული." (კიკნაძე 2001 :4)

ამირანი არის მითოლოგიური გმირი, ქალღმერთი დალისა და მოკვდავი მონადირის შვილი. სვანური ვერსიის მხიედვით მონადირის ცოლს გაუგია ქმრის ღალატის შესახებ და ქალღმერთისათვის თმა მოუჭრია მისი მოკვლის მიზნით. მონადირეს ბავშვი დედის მუცლიდან ამოუყვანია და ამირანი დაურქმევია. ამირანის ღვთაებრივ წარმოშობაზე მიუთითებს მის მხრებზე მზისა და მთვარის გამოსახულება, აგრეთვე ის, რომ მისი სხეულის ზოგიერთი ნაწილი

ოქრორსია. იგი ბრძოლას უცხადებს ღმერთებს, იტაცებს ზეციურ ქალწულს – ყამარს, რომელიც ციური ცეცხლის სიმბოლოა. იგი ამარცხებს ყამარის მამას, ამინდისა და საავდრო ღრუბლების მბრძანებელ ღვთაებას; თავად კარგი მჭედელი, ადამიანებს მჭედლობას ასწავლის. ღმერთმა იგი დასაჯა და კავკასიის ქედზე გამოქვაბულში მიაჯაჭვა. მის ღვიძლს მუდმივად ძიძგნის არწივი, ხოლო ერთგული ძაღლი ჯაჭვს ლოკავს და ცდილობს გალიოს იგი. მაგრამ ყოველწლიურად ვნების ხუთშაბათს ღმერთის მიერ მიჩენილი მჭედლები ანახლებენ ჯაჭვს.

ამირანი ქართულ ლიტერატურასა და კულტურაში ქართველი ერის სიმბოლოა, ისიც იბრძვის გადარჩენისათვის. ამდენად, ეს ნაწარმოები ქართული ლიტერატურით ასე ძლიერ დაინტერესებულ მანდილოსანს რა თქმა უნდა არ გამორჩებოდა.

მარჯორის მიერ თარგმნილი ვერსია მნიშვნელოვანია, ვინაიდან მან შემოგვინახა ქართული ფოლკლორისტიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა. პროფესორი ზურაბ კიკნაძე ამტკიცებს:

„არ ვიცით, რა ერქვა მთავარ გმირს, სანამ მას ამირანი დაერქმეოდა. მისი ეს სახელი უფრო გვიანდელია, ვიდრე მოსე ხონელის საგმირო-სათავგადასავლო ეპოსისეული „ამირან დარეჯანის ძე“, რომლის სპარსული წარმოშობა კარგა ხნის გამოკვლეულია და ეჭვს არ უნდა იწვევდეს: *amir andare jehan* ნიშნავს: „ამირი ქვეყნიერებაზე“, ისევე როგორც *nest andare jehan* ნიშნავს: „არ არის [მისი მსგავსი] ქვეყნიერებაზე“. სიმპტომატურია, რომ „ამირანდარეჯანიანში“ მთავარი გმირი არასოდეს მოიხსენიება როგორც „ამირანი“, ხალხურმა ტრადიციამ მოწყვიტა იგი კომპოზიტს და დამოუკიდებელ ანდრონიმად აქცია, რაც დღემდე ასეა.“ (კიკნაძე 2001 : 4)

მარჯორისეული ვერსიის მიხედვით კი დალი მონადირესთან გამოსალმების დროს თავადვე ამბობს:

„შენა ხარ ჩემი უბედირების მიზეზი, მე ხომ დანამდვილებით გითხარი, რომ შენი ცოლი ამას ჩაიდენდა; ახლა ჩემი ცხოვრება ჩალის ფასია, წაიყვანე ჩემი პატარა და მომაჭერი საშვილოსნო, ვინაიდან ის შენი შვილია. თუ ბიჭია, ამირანი დაარქვი, თუ გოგოა, რაც შენ გინდოდეს ის უწოდე. ჩემი შვილი გმირი იქნება.“[1] (MS. Wardr. d. 40/1 (6)

ამის შემდეგ დალი სთხოვს მონადირეს, რომ ნაყოფი სამი თვით ხარის და მერე დეკეულის ტყავში შეინახოს.

საინტერესოა ოლივერის კვლევა ამირანის სახელის წამოშობის შესახებ. იგი დასძენს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ამირანის სახელთან დაკავშირებული მრავალი ფოლკლორული ნაწარმოები არსებობს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს სახელი ზოროასტრიული წარმოშობისაა.

მარჯორისეული თარგმანი მცირე, ცხრამეტ ტაეპიანი ლექსით მთავრდება, რაც თავად დედნის მიხედვით ხალხში დღესაც არის გავრცელებული.

ქართული მითოდლოგიისადმი და-ძმის დიდი ინტერესი გამოხატება იმაში, რომ ოლივერსაც ეკუთვნის არა მხოლოდ კვლევა ამ მითის შესახებ, არამედ მისი კახური ვერსიის თარგმანი. ოლივერის მიზანი უმთავრესად პრომეთეს იმ ფაბულების ინგლისურ ენაზე გადატანაა და თავმოყრაა, რაც დღესაც კი გავრცელებულია კავკასიის რეგიონში. ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციის მიზნით, იგი თარგმნის მითს ამირანის შესახებ და შესავალში წერს:

“*ტრანსკავკასიური მითები პრომეთეს შესახებ*

ბერძნული მითოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს დიდად დაეხმარება დასავლეთ კავკასიის ფოლკლორის ცოდნა იმ

---

1. „Thou art to blame for my woe, for I certainly told thee that thy wife would act thus; now my life is worth nothing, take therefore my little and cut my womb, since from thee I am with child. If it be a boy thou should call it name **Amirani**, if it be a girl call it as thou pleases. My child will be a hero.“(MS. Wardr. d. 40/1 (6)

შემთხვევაში, თუ ის მისაწვდომი გახდება მათთვის...“ იხილეთ დანართი № 5. MS. Wardrop. d.40/4 (1)

ოლივერი მიუთითებს, რომ ეს ვერსია მან კახელი ოქრომჭედლისაგან ჩაიწერა. მის მიხედვთ ამირანი ისეთი გმირია, რომლისაც ყველას ეშინია. მან ალექსანდრე მაკედონელი და სპარსეთის მეფე დარიუსიც კი მიაჯაჭვა მთას.

თქმულება ამირანის შესახებ ტიპოლოგიურად პრომეთესთან და აბრსკილთან ახლოს დგას. უფრო მეტიც, ნიკო მარის ინტერპრეტაციით, სახელი ამირანი აფხაზური წარმოშობისა უნდა იყოს და მის ორეულს აბრსკილი ჰქვია, რაც მზის შვილს ნიშნავს.

ნინო პოპიაშვილის მიხედვით „მიჯაჭვული გმირის სახე კავკასიის მრავალი ხალხის ფოლკლორშია დადასტურებული. ძირითადად ეს არის ამირან დარეჯანის ძე, რომელიც სხვადასხვა სახელით იხსენიება სხვადასხვა ხალხის ფოლკლორში: ქართული – ამირანი, ოსური – ამრანი, აფხაზური – აბრსკილი, დაღესტნური – ამირა და სხვ.“ (პოპიაშვილი 2010 : 119)

ოქსფორდის საცავში ნანახი მარჯორისეული თარგმანებიდან უდიდესი ყურადღება მიიქცია აფხაზური ფოლკლორის „აბრსკილის“ თარგმანმა. ესაა საუკუნეებგამოვლილი ლეგენდა კაცზე, რომელიც ღმერთებს ებრძოდა. მარჯორის უთარგმნია ნ. ჯანაშიას მიერ ჩაწერილი ვერსია, თუმცა აშკარაა, რომ იგი სხვა ვერსიებსაც იცნობდა. ამას ადასტურებს ასევე სხვა ვერსიების მოკლე მიმოხილვა თარგმანის ბოლოს.

ქართულ-აფხაზური ლიტერატურულ ურთიერთობათა ინსტიტუტის გამოცემის მიხედვით, ამბავი აბრსკილზე არც თუ ისე დიდი ხნის წინ ჩაიწერა. „ლეგენდა ი. ლიხაჩოვს ჩაუწერია მოკლედ. უფრო ვრცლად ეს თქმულება შემდეგ ჩაწერა ოჩამჩირის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელმა ვ. ღარწკიამ 1988.“ (ქართულ-აფხაზური... 2001 : 4) ყველაზე ვრცელია დ. გურიელის მიერ ჩაწერილი

1892 წლის ვერსია. ესაა ჩვენამდე მოღწეული სულიერი საგანძურის ნიმუში, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება კავკასიური პრომეთეს პრობლემის ახსნის დროს.

გასაკვირი არაა, რომ ქართულ ფოლკლორში კარგად გათვითცნობიერებული მარჯორი აფხაზური ფოლკლორის ამ ნიმუშსაც თარგმნიდა. მისი თარგმანი რვა ხელნაწერი ფურცლისაგან შედგება. ამონარიდისათვის იხილეთ დანართი 48. MS. Wardr. d. 40/1 (5)

მარჯორისეული თარგმანის ყველაზე ვრცელ ვერსიასთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ მისი ვერსია უფრო მოკლეა, არაფერია ნათქვამი ყაჩაღების მიერ აფხაზური სოფლების აწიოკებისა და გაძარცვის, თავად აბრსკილის პიროვნებისა და ხასიათის შესახებ, ასევე მის მიერ დევის მოკვლის თუ გაპობილი ლოდების ამბავზე. მარჯორის თარგმანი თავებადაა დაყოფილი და იგი დამატებით მოცავს ბოლოქანქარა ჩიტის ამბავს, რაც აბრსკილს დარაჯობდა ღმერთის მიერ მისი შეპყრობის შემდეგ. ეს თარგმანი მნიშვნელოვანია, ვინაიდან მან შემოგვინახა ამ მითის კიდევ ერთი ვერსია და რა თქმა უნდა, უმთავრესი წყაროა უცხოელ მკითველთა მიერ მიჯაჭვული გმირის შესწავლის დროს.

ქართულ ფოლკლორს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ოლივერმაც. მას ეკუთვნის არა მხოლოდ კვლევა მითი ამირანის შესახებ, არამედ ქართული ხალხური ზღაპრების თარგმანებიც. თარგმანები შესრულებულია რუსული ენიდან და აქ შესულია ზღაპრები დაბეჭდილი ჟურნალში *Сборник материалов для описания местностей и племен Кавк (10):* The old man and the block of salt, The mule and the wizard; The beautiful fish; The king's son and the Ndemi's forster son; King Muzarbii; Tamara, the falcon and the clerk, and Tamara's conquest of the Caspian; (MS. Wardr.d. 40/4 (5) (ესაა გროში ჩაწერილი თქმულება თამარ მეფის შესახებ) Amirani; Earth takes her own; The creation of the world. (MS. Wardr.d. 40/4 (5) (სვანეთში დაწერილი) თარგმანი ოცოდაორი ფურცლისაგან

შედება. ამავე კრებულიდან (ნომერი 27) ოლივერს უთარგმნია ასევე ოსური ლეგენდები: Paradise, Legend of Queen Tamara, (MS. Wardr. c. 26 (30) თარგმანი სამი ფურცლისაგან შედგება.

ამდენად, უორდროპთა ინტერესი ქართული ფოლკლორისადმი საკმაოდ დიდია და არ შემოიფარგლება მხოლოდ ქართული ხალხური ზრაპრების თარგმნით და გამოქვეყნებით. სამწუხაროა ისიც, რომ ეს თარგმანები თავის დროზე ვერ გახდა ცნობილი ფართო მასებისათვის. ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში მიკვლეული უორდროპების მიერ შექმნილი თარგმანები ერთ-ერთი პირველი მცდელობაა ქართული ფოლკლრის ინგლისურ ენაზე გადატანის საქმეში.

IX. უორდროპები და ქართველი მეგობრები (ოქსფორდში მარჯორი უორდროპის ქართულ საცავში 2008 წელს მიკვლეული წერილების მიხედვით)

ინგლისელ და ქართველ მეგობრებს შორის არსებული, გამოქვეყნებული, თუ აქამდე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი წერილებიდან გამომდინარე „უორდროპებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ნასტასია თუმანიშვილთან... გიორგი თუმანიშვილთან, გიორგი წერეთელთან, ნიკო მართან, ალ. ხახანაშვილთან, ალ ცაგარელთან, და სხვა ქართველ მოღვაწეებთან.“ (ჭითანავა 2002 : 184)

არსებული ეპოსტოლარული მასალის საფუძველზე, და-ძმას მიმოწერა ჰქონდათ მრავალ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან, რომელთა შორის იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. მაჩაბელი, ე. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი, კ. კეკელიძე, მ. წერეთელი, თ. სახოკია, ი. როსტომაშვილი, ბ. ჯორჯაძე, შ. ქუჩიშვილი - მღვიმელი, ს. ფირცხალავა, ილია ჭყონია, ს. ხუნდაძე, ვ. რცხილაძე, ფ. ქორიძე, ო. გურამიშვილი ჭავჭავაძისა, ტ. ბაგრატიონი – მაჩაბლისა, ა. თუმანიშვილი-წერეთლისა, ე. გაბაშვილი, დომინიკა ერისთავი-განდეგილი და სხვები.

არსებული მრავალრიცხოვანი წერილებიდან ზოგი ხელნაწერი კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, ზოგი გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში, ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ არქივში, ბოდლის ბიბლიოთეკაში, კერძოდ, ოლივერ უორდროპის მიერ დაარსებულ მარჯორი უორდროპის ქართულ საცავში. ზოგს კი ჩვენამდე არ მოუღწევია. ოქსფორდში არსებულ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადად დაკარგულია საქართველოში გამოგზავნილი წერილები.

გურამ შარაძის მიერ გამოქვეყნებული წერილები რა თქმა უნდა საკმაოდ მნიშვნელოვანია ქართულ-ინგლისური კონტაქტების

შესწავლის დროს, მაგრამ ყურადსაღებია ასევე მარჯორი უორდროპის ქართულ საცავში არსებული სხვა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი წერილებიც. აღნიშნულ თავში მოყვანილია მხოლოდ მოგვიანებით მიკვლეული, აქამდე გამოუქვეყნებელი ეპისტოლაური მასალა, რომელთა საშუალებით შესაძლებელია მარჯორისა და ოლივერის საქართველოსთან დაკავშირებული მრავალი აქამდე უცნობი ფაქტის გამოაშკარავება.

უორდროპის კოლექციაში მიგნებული მასალების მხედვით და-ძმა მუდმივად ეხმარებოდნენ ქართველ სტუდენტებს ინგლისში, რეკომედაციებს აძლევდნენ უნივერსიტეტში სასწავლებლად, აფინანსებდნენ კიდეც.

როგორც ჩანს, ოლივერი ყოფილა ქართველი სტუდენტების რეკომედატორი და მას უნდა ეგო პასუხი მათ სწავლასა თუ საქციელზე. არქივში დაცულია ლონდონის უნივერსიტეტის ხელძღვანელთა მიერ ოლივერისადმი მიწერილი წერილები, სადაც მითითებულია, რომ ზოგი სტუდენტი არ ესწრება ლექციებს, ზოგს არ აქვს გადახდილი თანხა და ასე შემდეგ. (MS. Wardr. c. 27 (105-106)

აღსანიშნია ოქსფორდის ბიბლიოთეკაში დაცული წერილები, სადაც აღწერილია ფაქტები, თუ როგორ ეხმარებოდნენ ბრიტანელი მეგობრები, ქართული კომიტეტის (Friends of Georgian Committee) წარმომადგენლები, ქართველებს. ერთ-ერთი წერილი გვატყობინებს, რომ მადამ აფხაზთან გაგზავნილია 600 ფუნტის ოდენობის თანხა მის დასახმარებლად. (MS. Wardr.d. 30)

ოლივერი დახმარებია ასევე საქართველოს არქეოლოგიის ინსტიტუტს, სადაც მას საკმაოდ დიდი თანხა გადაურიცხავს.

“მიღებულია ოლივერ უორდროპისაგან, თანხა 20,000 თბილისის არქეოლოგიური ინსტიტუტისათვის.

თბილისი,

11 დეკემბერი, 1919” (MS. Wardr. C.27)

აქვეა მარჯორის მიერ დაწერილი ერთი დაუთარიღებელი და დაუსრულებელი წერილი, რაც უნდა წარმოადგენდეს პაუხს ვარლამ ჩერქეზოვის (ჩერქეზიშვილის) მეუღლის წერილზე. მარჯორი არ ასრულებს ადრესანტის გვარსაც, თუმცა იგი კარგად იშიფრება.

“*ბატონო ჩერქ...,*

ჩვენ მოხარულები ვართ ჩერქეზოვის წერილიდან იმისი შეტყობით, რომ თქვენ კარგად ხართ. ჩვენ ფრიად დავინტერესდით იმით, რაც მან თქვა თქვენი მეგობრის მიხაკო წერეთლის შესახებ. მე და ჩემს ძმას გვინდოდა კიდეც ქართველებს ინგლისში სწავლაში დავხმარებოდით, მაგრამ ძნელია იმის დადგენა რაა ამისათვის საჭირო. თუ ეს სახსრების უკმარისობაა, რაც წერეთელს ლონდონში ჩამოსვლასა და ბაბილონური თუ სხვა ენების სწავლაში უშლის ხელს, ჩვენ სიამოვნებით დავეხმარებით 50 ფუნტით, მაგრამ ჩვენი სურვილია, რომ არავინ იცოდეს საიდან მოდის ეს ფული. გვაცნობებ შენს მომავალ გეგმებს? თუ პასუხი დამაკმაყოფილებელი იქნება, სიამოვნებით ვცდით და... (მარჯორისეული ხელნაწერი ვერსია იხილეთ <u>დანართში №6</u> (MS.Wardr. e. 33)

ქართულ კოლექციაში დაცული წერილების მიხედვით, ვარლამ ჩერქეზოვმა გააცნო და დაახლოვა მიხაკო წერეთელი და ოლივერ უორდროპი, რაც შემდგომ დიდ მეგობრობაში გადაზრდილა. ოქსფორდის ბიბლიოთეკაში არსებობს მათი უამრავი კორესპონდენცია. არსებული წერილების მიხედვით ისინი ერთმანეთთან ახლოს ყოფილან და ერთმანეთს საკმაოდ დიდ სამსახურს უწევდნენ. ოლივერი ეხმარებოდა მას და ასევე მიხეილ ჯავახიშვილს, რომ მათი ნაშრომები დაბეჭდილიყო საზღვარგარეთის ჟურნალებში. როგორც ჩანს, ქართველთათვის არც თუ ისე ადვილი იყო სტატიის გამოქვეყნება უცხოურ ჟურნალებში.

10.11.1912 წლით დათარიღებული წერილის მიხედვით კი ოლივერი უსწორებდა მიხეილ ჯავახიშვილს სამეცნიერო ნაშრომს: "*Similarities betwen Georgian and Sumerian.*"

"*ძვირფასო ბატონო, - სწერს მიხაკო ოლივერს: უღრმესი მადლობა თქვენი წერილისა და იმ ხელნაწერის გამოგზავნისათვის, რომელიც თქვენ გაასწორეთ. ამჟამად ვამზადებ ნაშრომის მეორე ნაწილს და ერთ თვეში გადმოგიგზავნით.*" (წერილის ინგლისური ვერსია იხილეთ დანართში №7 (Ms. Wardr. d.39/2)

ეს ნაშრომი დაუწუნებია პროფესორ ბეცალდს უნივერსიტეტის ჟურნალში („*ცაიტშრიფტი*") დასაბეჭდად. მიხაკოს ეს პირველს ოლივერისათვის შეუჩივლია და მისგან შესაბამისი რჩევაც მიუღია:

"*დიდი მადლობა თქვენი წერილისა და ასევე რჩევისათვის რომ მივწერო სტეპან ლაგინს ოქსფორდში.*" *(Ms. Wardr. d.39/2)* - პასუხობს ოლივერს.

მიხაკო ეხმარებოდა ოლივერს საქართველოდან გაგზავნილი ფურცლების ორგანიზებაში, იგი უთარგმნიდა კიდეც ზოგ მასალას.

"*მე წავიკითხე ყველა ის ნაშრომი, რაც რევაზ კარბელაშვილმა მოგცათ და ვფიქრობ, რომ ის ღირს იმ წვალებად, რომ მცირე სტატია დაიწეროს ამ საკითხზე.*

მე ასევე წავიკითხე პოემა და ვთვლი რომ ის ძალიან, ძალიან ცუდია და მაინტერესებს როგორ შეეძლო ბატონ ჭყონიას ასეთი რამის მოცემა, შესაძლოა ის, ისევე როგორც სხვები, დარწმუნებულინი არიან, რომ ეს მასალა რაიმე დადებითის მომტანია." (წერილის ინგლისური ვერსია იხილეთ დანართში №8 (Ms. Wardr. d.39/2)

არსებული წერილების, მათში აღწერილი ინფორმაციის მიხედვით ოლივერი და მიხაკო ერთმანეთთან დაახლოებული, კარგი მეგობრები ყოფილან.

1911 წელს დაწერილი წერილის მიხედვით მიხაკოს თხოვნით ოლივერს გაუსწორებია ასევე ჯავახიშვილის თარგმანი.

“მე ახლახანს დავასრულე ჯავახოვის თარგმანის გადაწერა და გიგზავნით მას. დიდად მადლობელი დაგრჩებით, თუ წაიკითხავთ და გაასწორებთ. ტექსტში აღნიშნულია ის ადგილები, რაც ვერ გავიგე და ვერ გადავთარგმნე.” (წერილის ინგლისური ვერსია იხილეთ დანართში №9 (Ms. Wardr. d.39/2)

მათი წერილებიდან ვიგებთ ფრიად საინტერესო ინფორმაციას, “ვეფხიტყაოსნის” თარგმნის ისტორიასთან დაკავშირებით. ოლივერს, დის მიერ თარგმნილი პოემა, სწორედ მიხაკოსთვის გადაუცია გასასწორებლად.

1911 წლის 18 აპრილით დათარიღებული წერილის მიხედვით მარჯორსეული „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანის გამოქვეყნების დროს მიხაკოს დიდი შრომა გაუწევია, მას თავიდან გაუკეთებია რედაქტირება, შეუდარებია დედანთან, ჩაუსწორებია და ისე გაუგზავნია ოლივერისათვის მისივე ნებართვით.

“*ძვირფასო ბატონო,*

მე დავასრულე რუსთაველის თარგმანის ჩასწორება და ამჟამად ჩემს მეგობარს ვწერ პეტერბურგში რომ ის ადგილები ჩაასწოროს, რაც მე ვერ გავიგე.

ბატონო უორდროპ, ვშიშობ, რომ ტექსტში შეიძლება სხვა შეცდომებიც არსებობდეს და თუ არ გეჩქარებათ, ნება მომეცით წავიკითხო და ჩემეული ჩასწორებები შემოგთავაზოთ. მე დღე და ღამე ვიმუშავებ მთელი თვის განმავლობაში.” (წერილის ინგლისური ვერსია იხილეთ დანართში №10 (Ms. Wardr. d.39/2)

ბოდლის ბიბლიოთეკაში ნანახი აქამდე ჩვენთვის უცნობი წერილებიდან საკმაოდ ბევრია საყურადღებო და საინტერესო. ერთ-ერთ წერილში გამოხატულია ზოგიერთი ქართველის დამოკიდებულება ნიკო მარის მიმართ. ქართული ენის, ლიტერატურის მკვლევარს, უამრავი საქართველოსთან დაკავშირებული ნაშრომის ავტორს, თანამედროვენი მკაცრ კრიტიკოსად მოიხსენიებენ.

“ამ დღეებში მივიღე ბერიძის წერილი ის იუწყება, რომ მარი ასრულებს “ვეფხისტყაოსნის” თარგმანის მიმოხილვას. დარწმუნებული ვარ ის თავს ვერ შეიკავებს რომ რამე უსიამოვნო არა თქვას მის შესახებ, აი თავადაც ნახავ.” სწერს მიხაკო ოლივერს. (წერილის ინგლისური ვერსია იხილეთ დანართში №11) (Ms. Wardr. d.39/2)

ბოდლის ბიბლიოთეკაში შევძელით გვენახა პოემის თარგმანთან დაკავშირებული ნიკო მარის რეცენზიაც, დაწერილი 1912 წლის 18 იანვარს, სადაც იგი განიხილავს უორდროპის თარგმანს და ასევე აღნიშნავს, რომ მართალია ეს საუკეთესო თარგმანია, მაგრამ მცირე შეცდომები მაინცაა გაპარული, რომელთა ჩასწორებაც დროთა განმავლობაში შესაძლებელია.

“ოლივერ უორდროპს მეგობრობა და სამეცნიერო კონტაქტები ჰქონდა ინგლისელ არმენოლოგთან ფრედერიკ კორნუელ კონიბირთან (1856-1924) იგი იკვლევდა ქართულ სასულიერო მწერლობას და თავისი სამეცნიერო მუშაობის სწორად წარმართვისათვის შეისწავლა ძველი ქართული ენა. უორდროპებისა და კონიბირის თანამშრომლობის შედეგად არაერთი ნაშრომი შეიქმნა.”(ქართულ - საზღვ. 2011 : 362)

მიხაკო წერეთელი დიდად მადლობელია კონბირის, ბრიტანეთში ქართულ ხელნაწერებთან დაკავშირებულ კვლევაში გაწერული დახმარების გამო. ოლივერისა და კონბირის რეკომენდაციით მოხვდა იგი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. მისი საშუალებით გაეცნო ქართულ ხელნაწერებს ლონდონის მუზეუმში და ხელი მოჰკიდა მათ შესწავლას.

“1911 წლის 12 აპრილი,

ძვირფასო ბატონო,

კნბირის მხრიდან მეტად კეთილშობილური საქციელი იყო ბრიტანეთის მუზეუმის სამკითხველო დარბაზში მოსვლა და ჩემი აღმოსავლეთმცოდნეობის ხელნაწერთა განყოფილებაში წაყვანა. ასე, რომ ხვალვე გადავდებ სამკითხველო დარბაზის ყველა წიგნს და

ვიმუშაებ ქართულ ხელნაწერზე რაც ბატონმა კონბირმა მაჩვენა.” (წერილის ინგლისური ვერსია იხილეთ დანართში №12) (Ms. Wardr. d.39/2)

ბიბლიოთეკის საარქივო მასალიდან კარგად ჩანს თუ როგორ ცდილობენ მარჯორი და ოლივერი ქართული წიგნების შეგროვებას და მოგვიანებით, როგორ ეძებს ოლივერი თითოეულ ხელნაწერს ბიბლიოთეკისათვის, მარჯორის ფონდისათვის შესაწირად. და-ძმა უორდროპებს სურთ, რომ სხვებმაც შეიტყონ საქართველოს შესახებ და ისევე შეიყვარონ ეს ქვეყანა, როგორც თავად. ამისათვის ისინი აგროვებენ სხვადასხვა ქართულ წიგნსა თუ ხელნაწერს.

ოლივერი იძენს საქართველოსთან დაკავშირებულ ნებისმიერ უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვან დეტალს და შეგროვებულ წიგნებს აგზავნის ბიბლიოთეკაში.

“*ივლისი 6, 1898,*

ბატონო,

რამოდენიმე დღის წინ გამოგიგზავნეთ ერთი ამანათი წიგნები ქართულ ენაზე, გიგზავნით ოცდაათი ტომის ნუსხას.

ჩვენი სურვილია რომ ეს წიგნები მიემატოს მალანის ბიბლიოთეკის ქათულ განყოფილებას, რომლის დაუმუშავებელ სიას რამოდენიმე დღეში გაახლებთ.

თქვენი თანხმობით ჩვენ გვსურს ამ კოლექციის დროდადრო გამდიდრება, ისე, რომ ინდური ინსტიტუტის სტუდენტებს შეეძლოთ ქართული გამოცემების შესაბამისად სრული კოლექციის ნახვა.” (იხილეთ დანართი №13) (MS. Wardr. C.28)

ოლივერი წიგნებს თავდაპირველად მალანის ბიბლიოთეკაში აგროვებდა, ამიტომ ზოგ ხელნაწერზე მითითებულია, რომ იგი მალანის ბიბლიოთეკაშია დაცული. მოგვიანებით გადაიტანა წიგნები ოქსფორდის საცავში და შექმნა მარჯორი უორდროპის ფონდი. იგი

ყოველი ასეთი შემოწირულობისათვის იღებდა სამადლობელო წერილს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისაგან. ერთ-ერთი ასეთი წერილის სანახავად იხილეთ დანართი №14. (MS. Wardr. C.28)

მსგავსი წერილების რიცხვი საკმაოდ დიდია ოქფორდის საცავში. მათში აღწერილია ოლივერისაგან მიღებული წიგნები და გამოხატულია სამადლობელი საჩუქრის გამო.

სითბოთი და სიყვარულით დახვედრამ და გულკეთილმა მასპინძლობამ ააღებინა და-ძმას კალამი ქართველოლოგიური მოღვაწეობის დასაწყებად. საქართველო მარჯორისთვის ყველაზე ახლობელი ადგილი გახდა.

"ჩვენი სურვილია ყველა ქართული წიგნის შეკრება, რაც შეიძლება, მერე შემდეგ ში მოვართმევთ ერთ ინგლისელ მუზეუმში. ასე, რომ, მუდმივი ვინც სურს ქართული ენის შესწავლა ადვილად შეიძენს, რაც საჭირო მასალები არის." (MS. Wardr. C.28)

ოლივერი და მარჯორი საკუთარი ხარჯებით ერთად აგროვებდნენ ყველა ხელნაწერს, წიგნს, საქართველოსთან დაკავშირებულ საინტერესო დეტალებს.

„ერთხელ წ. კ. გ. ების წიგნის მაღაზიაში შეველ და ვნახე განსვენებულისგან დაკვეთილი წიგნები გამიკვირდა. განსვენებულს საინტერესო წიგნთა შორის ისეთი წვრილმანების გამოეწერა, რომ ჩვენ, აქ მცხოვრებთაც კი არ წაგვიკითხავს და ყურადღებაც არ მიგვიქცევია. მის მარჯორი ურდროპს ქართული მწერლობა სავსებით აინტერესებდა, ძველიცა და ახალიც, მნიშვნელოვანი და წვრილმანიც." (B 1909) - წერს „საქართველოს მოამბის" უცნობი კორესპონდენტი.

მარჯორის ქართულ კოლექციაში დაცულია მრავალ ქართულ ბიბლიოთეკებთან, გამოცემებთან, რედაქციებთან მიწერილი კორესპონდენცია. გ. ჩარხიშვილი რუმინეთში სწერს მარჯორის:

„სწორედ ერთი დღის წინათ ვიდრე თქვენს წერილს მივიღებდი გაზეთ ისარში გამოცხადებული გაზეთები მივყიდე საზოგადოებასა და

ამიტომ ბოდიშს ვიხდი, რომ ვერ გავხდი ბედნიერი თქვენთვის გამომეგზავნა და თქვენი სურვილი დამეკმაყოფილებინა. მე ამ წელსაც ვაგროვებ სოციალ-დემოკრატების გაზეთებსა, თუმცა მე პირადადთ ამ პარტიას არ ვეკუთვნი, ხოლო წლის დამლევს თუ ინებებთ 1907 წლის სრულ გაზეთებს მშვენიერი ყდით თქვენ გამოგიგზავნით. ახლა კი 1906 წლის ივერია ყოვლდღიური, რაიც ჩემის აზრით და შინაარსით ბევრად სჯობია იმასა, მივცემ ისეთსავე მშვენიერ ყდაშია და აღდგომამდი გამოგიგზავნით. იმასთან ერთად თუ ინებებთ აგრეთვე ჩემს საკუთარ თხზულებების თითო ეგზემპლიარსა, სამაგალითო მოთხრობას: ვარინკას ამბავი და რომანი ცხოვრება და სიყვარული. ურიგო არ იქნება გაცნობოთ, რომ ხო წინააღმდეგი არ იქნებით ამაების გამოგზავნისა. ფასი როცა მიიღოთ, რაც თქვენი სურვილი იყოს.

თქვენი პატივისმცემელი ჩარხიშვილი

25/III, 1907’ (MS.Wardr. d. 20)

მარჯორი ხშირად იძენდა წიგნებს თავართქილაძის მაღაზიიდან. ამას ადასტურებს მისი მრავალი კორესპონდედნიცა გაგზავნილი ამ მაღაზიის მფლობელთან, კონია თავართქილაძესთან. ყოველ ახალ გამოცემას იგი დაუყოვნებლივ აგზავნიდა მარჯორისთან.

„21, ენკენისთვე, 1895წ. ზურგეთი

მოწყალენო ხელმწიფენო,

დიდად დანაშაული ვარ, რომ დაპირებული წოგნები დროზედ ვერ გაახელით. იმედია მაპატივებთ... დღევანდელი ფოსტით გაახლებთ შემდეგ ჩემ მიერ გამოცემულ წიგნებს: 1) არაკები და ზღაპრები, 2) მოღალატე ძმა, 3) ეკატერინე ბატონიშვილს, 4) ასპინძის ომი, 4 დასჯილი. შემდეგში თუ რამე დგაჭირდებათ მერე გაახლებთ.” (MS.Wardr. d. 20)

ქართველები თავად ცდილობენ მარჯორის ბიბლიოთეკის გამდიდრებას. ისინი თავად ეხმიანებიან უორდროპებს და აწვდიან ქართულ მასალებს.

„თავართქილაძის მაღაზია, ოზურგეთი, 1895 წლის 21 ენკენისთვე.

დიდათ პატივცემულნო ბატონო მარჯორი და ოლივერ,

მოწყალენო ხელმწიფენო,

მე დიდად დანაშაული ვარ, რომ დიდი ხანია რაც ეს წიგნები დავბეჭდე და ვერ გამოგიგზავნე... დღევანდელი ფოსტით გიგზავნი დაზღვეული ამანათით...

1896 წლის 4 მარტი." (MS. Wardr. C.27)

თავართქილაძის მაღაზიის მეპატრონესა და მარჯორის შორის მიმოწერის გარდა, არსებობს სხვა საზოგადო მოღვაწეთა წერილები, რომლებიც უგზავნიანი გაზეთებსა თუ წიგნებს, ესენია: ანეტა ჭყონია, ვარდო ბერიძე თუ სხვანი. ერთ-ერთი მათგანის ფოტოასლი იხილეთ <u>დანართში 42</u> MS. Wardr. C.27

ელენე კელენჯერიძე განიხილავს ექვთიმე თაყაიშვილის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობას და ამბობს, რომ ოლივერის საქართველოში მესამედ ჩამოსვლის მიზანი სწორედ ქართული წიგნების შეძენა იყო:

"ტფილისში დილიდან სალამომდის ბატონი ოლივერი დადის წიგნების მაღაზიაში და ბუკინისტებთან, ყიდულობს ძველ და ახალ გამოცემულ წიგნებს ქართულ ენაზე და აგრეთვე სხვა ენებზედაც თუ კი ეს წიგნიები ეხებიანნ საქართველოს შესწავლას და აგზავნის ოქსფორდში." (კელენჯერიძე 1961 : 191)

მარჯორი და ოლივერი დიდი ინტერესით ცდილობენ ცალკეული ქართული კულტურის შედევრების შემოკრებას, მათ ნებისმეირ ფასად მოპოვებას. მარჯორის ქართულ კოლექციაში შესაძლებელია სომეხი მოღვაწის (*A.K.Kalpakian (MS. Wardr. C.28, (7-13)* ფრანგულ ენაზე დაწერილი წერილის ნახვა, სადაც მითითებულია, რომ მას აქვს 9 ქართული მინიატურა და სურს მისი ოლივერისათვის მიყიდვა. ოლივერს, როგორც ამას წერილებიდან ვიტყობთ, ის საკმაოდ ძვირად შეუძენია. წერილი დათარიღებულია 1911 წლის 7 დეკემბრით. ამ ცხრა

მინიატურის ნახვა ეხლაც შეიძლება. იგი შუშის ფილაზეა აღბეჭდილი და საკმაოდ კარგადაა შემონახული.

უორდროპებს ურთიერთობა ჰქონდათ მრავალ ქართველ მეცნიერთან, რომლებთან ერთად ისინი ახდენდნენ სამეცნიერო მასალების შესწავლასა და შეგროვებას. ოქსფორდში დაცულია რუსულ ენაზე დაწერილი მოსე ჯანაშვილის წერილი, სადაც იგი პასუხობს ოლივერის წერილს, რომ ხელნაწერი № 86-ის ნაბეჭდი ვერსია არ არსებობს; იგი დაბეჭდილია ძველი ასოებით, ასომთავრულით და მისი წაკითხვა თვით ბევრ ქართველ ინტელიგენტსაც აღარ შეუძლია. ამის გამო იძულებულია მისთვის საინტერესო ეს ტექსტი, რაც ორიგინალში 166 გვერდს შეადგენს, თავად გადაწეროს. წერილი 1911 წლის 1 დეკემბრითაა დათარიღებული და ოქსფორდის ფონდში MS. Wardrop. D 26 შიფრითაა დაცული.

უორდროპები არა მხოლოდ ქართული ხელნაწერებისა და წიგნების შეგროვებას ცდილობენ, არამედ თვალყურს ადევნებენ მათ მიერ გამოცემულ წიგნებს და იცავენ მათ ღირსებას. საინტერესო წერილს წავაწყდით ასევე ოქსფორდის ბიბლიოთეაში. ოლივერი აზიური საზოგადოების (სადაც დაიბეჭდა მარჯორისეული „ვეფხისტყაოსანი“) დირექტორისგან იღებს უფლებას, რომ მოსკოვში ერთ-ერთ რედაქციას მისწეროს შემდეგი შინაარსის წერილი:

“ დირექტორი,

საბჭოთა კავშირის გამომცემლობის საზოგადოება

მოსკოვი, სსრკ

ბატონო,

მოგმართავთ სამეფო აზიური საზოგადოების პრეზიდენტისა და საბჭოს სახელით, რათა ყურადღება გაგამახვილებინოთ იმ ფაქტზე, რომ მოსკოვში 1983 წელს გამოიცა წიგნი წოდებული “ვეფხისტყაოსნად” (The man in the tiger’s skin) აღწერილობით: შოთა

რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი. თარგმნილი მარჯორი სკოტ უორდროპის მიერ შევსებული და ჩასწრებული ე. ორბელიანის და ს. ჯანაშვილის მიერ. გარდა ახალი შესავლისა, გამოცემა თითქმის სიტყვასიტყვით იდენტურია აზიური თარგმანის საზოგადოების მიერ შედგენილი და 1912 წელს აზიური საზოგადოების მიერ გამოცემული XXI ტომისა, სახელწოდებით: "ვეფხისტყაოსანი" (The Man in the Panther's Skin) და რის დამოწმებასაც არ ახდენს თქვენი ვერსია.

აქედან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, რომ თქვენ თვითონვე შემოგვთავაზოთ ამ ფაქტის ასაღიარებლად მიღებული ადეკვატური ზომები და ფორმა." (MS. Wardr. d.25 (1-3) (იხილეთ დანართი 16)

"ვეფხისტყაოსანი" ინგლისურ ენაზე რამდენიმეჯერაა გამოცემული, პირველია ოლივერისეული რედაქციით, რაც 1912 წელს დაიბეჭდა ლონდონში. მეორე მოსკოვში გამოიცა 1938 წელს გრიგოლ ორბელიანისა და ს. იორდანიშვილის ჩასწორებებით. (Rustaveli 1938) 1966 წელს თბილისში - ოლივერის შესავლითა და მამუკა თავაქალაშვილის ილუსტრაციებით. (Rustaveli 1966) ამავე წელს ხელახლა დაიბეჭდა ლონდონში უორდროპისეული ვერსია. (Rustaveli 1966)

1938 წელს მოსკოვში გამოცემულ ვერსიას, როგორც ჩანს, ავტორისეული უფებები დაურღვევია და ოლივერი მათ მკაცრ პასუხს სთხოვს. ოლივერის, როგორც მაღალი რანგის დიპლომატის წერილს არანაირი შედეგი მოჰყოლია. პირიქით, მან შემდეგი შინაარსის წერილიც მიიღო:

"*საავტორო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, რაზეც თქვენ გაგვამახვილებინეთ ყურადღება მე-8 საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ მიიღოს არანაირი ზომები, ვინაიდან: საბჭოთა კავშირს არ მოუწერია ხელი საავტორო უფლების დაცვის კონვენციაზე.*

მრთალია, რომ ზოგიერთმა ეს დანაშაულის ჩადენად მიიჩნია, მაგრამ თუ საბჭოთა კავშირი არაა ამ კონვენციის წევრი, არც რაიმე ტექნიკური დანაშაულის ჩადენაზე შეგვიძლია საუბარი თუ არა მორალურ, განგებ ჩადენილ ზე." (*MS. Wardr. d.25 (1-3)* (<u>იხილეთ დანართი 17</u>)

ოლივერი თვალყურს ადევნებდა და ეცნობოდა საქართველოსთან დაკავშირებულ ნებისმიერ სიახლეს, ცდილობდა ძველი თუ ახალი ხელნაწერების, გამოცემული მასალების მოპოვებას, მალანის ბიბლიოთეკისა, თუ უორდროპის კოლექციისათვის მიწოდებას. იგი გეოგრაფიული საზოგადოების და საქართველოს საისტორიო საზოგადოების ვიცე პრეზიდენტის ბატონი ჯონ ფ. ბადელეის მიერ კავკასიაზე დაწერილი წიგნების დადებითი შემფასებელია, დაბეჯითებით აგროვებს მის ნამუშევრებს მისი გარდცვალების შემდეგ და წერს სტატაის, სადაც ჩამოთვლილია მის მიერ საქართველოს შესახებ დაწერილი ყველა წიგნი და ჟურნალ "გეორგიკაში" გამოქვეყნებული სტატია.

იგი თვალყურს ადევნებს ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესს, ეცნობა არა მხოლოდ ქართულიდან თარგმნილ, არამედ ქართულად თარგმნილ ლიტერატურასაც. ოლივერი მოხიბლული დარჩენილა ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექსპირის „იულიუს კესრით" და მისთვის შემდეგი წერილი მიუწერია:

„თქვენი თარგმანი „იულიუს ცეზარისა" საამაყო რამ არის. იგი ერთსა და იმავე დროს არის დადასტურება თქვენი უაღრესი ნიჭიერებისა და თქვენი ენის საოცარი სიმდიდრისა. მე წამიკითხავს ფრანგული, გერმანული, რუსული და ბულგარული ვერსიები ამ პიესისა, მაგრამ არცერთი თარგმანი არ არის ისე ერთგულად შესრულებული, როგორც თქვენი. თქვენ ისეთი რამ შექმენით, რომლითაც შთამომავლობა აღტაცებული იქნება." (სურგულაძე 1976 1976 : 139)

ოლივერს გაგზავნილი მასალების ორგანიზებაში ეხმარება ვარლამ ჩერქეზიშვილის ქალიშვილი – ეკა ჩერქეზი, ანუ ეკატერინე ჩერქეზიშვილი, რომელიც როგორც ოქსფორდში ნანახი 1922 წლის 19 ივლისს დაწერილი წერილიდან ჩანს თავად მიუწვევია ინგლისში და ბიბლიოთეკაში მიუცია სამუშაო.

"*ძვირფასო ბატონ უორდროპ,*

ამ დილით ბოდლის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარისაგან მივიღ წერილი. იგი მთავაზობს ოქსფორდში ჩამოსვლას და ქართული წიგნების კატალოგის დამიშავებას.

უღრმესი მადლობა ჩემი ოქსფორდში წარდგენისათვის და ასევე ჩემთვის ვიზის საკითხების მოგვარებაში. ძალიან კარგად ვიცი, რომ თქვენი დახმარების გარეშე ვერასოდეს მოვხვდებოდი ინგლისში." (Wardr.2.68 (5)

1923 წელს მან შეადგინა ხუთასოცდახუთ ფურცლიანი ორტომეული „მარჯორი უორდროპის კოლექციის კატალოგი", (1,454 პუნქტი, მათ შორისაა 215 იშვიათი პერიოდიკა და 73 სერია.) მისი დახმარებით მოხერხდა ყველა წიგნის კატალოგიზაცია და მისი ნაშრომი გახდა წყარო დევიდ ბარეტის კრებულისა, სადაც სრულადაა შესული საქართველოსთან დაკავშირებული მარჯორი უორდროპის ფონდში არსებული ყველა წიგნი თუ ხელნაწერი.

როგორც ბოლლის საცავში მიკვლეული წერილებიდან ჩანს, მთარგმნელს ბევრი ქართველი ეხმარებოდა თარგმნის პროცესში წარმოჩენილი სირთულეების განმართებაში. ისინი უსწორებდნენ გარკვეულ ადგილებს და თარგმანის რუსულ ვერსიას აწვდიდნენ.

„პატივცემულო პროფესორო ხახანაშვილი!

გუშინ მივიღე თქვენს მიერ დაწერილი ბარათი და წერილიც შოთა რუსთაველზედ: ამისთვის დიდს მადლობას გიძღვნით. უღრმესის

სიამოვნებით წავიკითხე ამ წერილი, რომელიც არის ჩემთვის მეტად საყურადღებო.“ (MS.Wardr. c.27)

„ჩვენ გადავთარგმნეთ ინგლისურ ენაზედ ცხოვრება წმინდა ნინოსი და ახლა სხვა და სხვა ვარიანტებთან შევადარებთ ქართლის მოქცევაში არ მესმის რას ნიშნავს შემდეგი: გვ. 14, სტრ. 4... დიდი მადლობელი ვიქნები თუ სიტყვები ფრანგულად ან ინგლისურად შეგიძლიანთ გამოღება.“(MS.Wardr. c.27)

ტასო მაჩაბელი „განდეგილის“ გარკვეულ ადგილებს უმარტავდა, ეხმარებოდნენ ასევე ანეტა ჭყონია, ელენე თარხნიშვილი, ოლგა ჭავჭავაძე, ვენერა ბერიძე, ბაბო ბაგრატიონი.

როგორც ჩანს, მარჯორის მხოლოდ ქართველები არ უწვდიდნენ მას დახმარების ხელს. და-ძმა უორდროპებს ქართული ლიტერტურის თარგმნისა თუ კვლევის დროს მხარში ედგა ასევე ოლივერის რუსული ენის მასწავლებელი, უილიამ რიჩარდ მორფილი.

”80-იანი წლებიდან მოყოლებული მთელი მომდევნო წლების მანძილზე მორფილს არ შენელებია ქართული ფოლოლგიისადმი ინტერესი. ის გაცხოველებულ ყურადღებას იჩენს ყოველივე ახლისადმი, რაც კი გაჩნდებოდა ამ დარგში... ის აქვეყნებდა სტატიებს ცაგარელის, ხახანაშვილი, ჯანაშვილის, ვედენბაუმის ახალი მეცნიერული გამოკვლევების შესახებ. ეხმარებოდა არტურ ლაისტის, ოლივერ და მაჯრჯორი უორდროპების თარგმანებსა და ნაშორმებს საქართველოს შესახებ.” (ორლოვსკაია 1964 : 139)

ამდენად, 1909 წელს დის გარდაცვალების შემდეგ ოლივერის მიერ ოქსფორდში ჩამოაყალიბებულ მარჯორი უორდროპის ფონდში შესულია საქართველოსთან დაკავშირებული ყველა წიგნი, თარგმანი თუ ორიგინალი, საკუთარი ხელით ქართულად დაგაწერილი ლიტერატურა.

1921 წლის თებერვლიდან, ბოლშევიკთა შემოსევის გამო საქართველოდან იძულებით დაბრუნების შემდეგ ოლივერმა შეიქმნა "ქართული საზოგადოება," "ლონდონის ქართული კომიტეტი," 1930 წლის შუა წლებიდან ვუდი ალენთან ერთად ჩამოაყალიბა „საქართველოს საისტორიო საზოგადოება" რომელიც 1935, 1936, 1937 წლებში ვუდი ალენის რედაქტორობით უშვებდა ჟურნალს „გეორგიკა". ქართველი თუ უცხოელი (საზღვარგარეთ თუ საქართველოში მცხოვრები) მწერლები აქვეყნებდნენ კვლევებს ქართული ენის, ლიტერატურის, კულტურის შესახებ და ა. შ. ჟურნალის მიზნები ჩამოთვლილია ჟურნალის თავფურცელზე, სადაც უმთავრესი ქართული კულტურის პოპულარიზაციაა. (იხილეთ <u>დანართი 20</u>)

ოლივერთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ასევე ლონდონში ერთ-ერთ აქტურ მოღვაწეს ა. გუგუშვილს. მას ისეთი საზოგადოების ჩემოყალიბება სურდა, რომელიც ქართული და კავკასიური ისტორიის შესწავლით დაკავდებოდა. ოლივერის დახმარებით მართლაც ჩამოყალიბებულა მგავსი საზოგადოება, რომლის პრეზიდენტი იყო სერ დენისონ როსი, ხოლო ვიცე პრეზიდენტი ოლივერ უორდროპი და ჯონ ბადალაი, ა. გუგუშვილი კი საბჭოს წევრი.

1918 წელს არსებობდა ასევე საზოგადოება, რომელიც ბრიტანელ ხალხს საქართველოს შესახებ ინფორმაციას აწვდიდა ჩვენი ქვეყნის თურქების შემოტევისაგან დაცვის მიზნით. საზოგადოებას (ანგლო-ქართული საზოგადოება) Anglo-Georgian Society ერქვა და მისი მიზნები მათ მიერ 1918 წლის 6 მაისს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაშია გამოხატული. სტატია მხოლოდ ერთი ფურცლის სახითაა შემონახული ბოდლის ბიბლიოთეკაში. (<u>იხილეთ დანართი №21)</u>

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ უორდროპთა შესახებ არსებულ გამოკვლევებში არსადაა საუბარი ამ ორგანიზაციებზე, გარდა ლონდონის ქართული კომიტეტისა, ასევე არსადაა მინიშნება

იმაზე, რომ მარჯორიც ერთ-ერთი მსგავსი, ოლივერის ხელშეწყობით ჩამოყალიბებული ორგანიზაციის წევრი იყო (გარდა 2004 წელს ჯერნიფერ დონკინის მიერ გამოქვეყნებული მცირე ნარკვევისა).

როგორც ოქსფორდში ნანახი მასალებიდან ჩანს, 1906 წელს უკვე არსებულა ერთობა სახელით Friends of Georgian Committee და რომლის თავჯდომარე იყო ჯ. ა. მიურეი მაკდონალდი, ხოლო ერთ-ერთი წევრი მ. უორდროპი. 1992 წელს მომხდარა მისი ხელახალი რეკონსტრუქცია იმ ქართველების დასახმარებლად, გამოსაკვებად, შესამოსად და განათლებისათვის, ვინც ზარალი განიცადეს ბოლშევიკების შემოსევის შედეგად, ვინც წამოვიდა ქვეყნიდან და ლტოლვილის სტატუსით ევროპასა თუ ინგლისში ცხოვრობდა. უმთავრეს მიზანს კი ამ მცირე ერის დამოუკიდებლობის შენარჩუნება წარმოადგენდა. (იხილეთ დანართი 20) MS. Wardr.d. 30

ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკა მართლაცდა უძვირფასესი საგანძურია, სადაც დაცული და შემონახულია მარავალი საქართველოსთან დაკავშირებული ინფორმაცია. ამ ფონდმა დიდი როლი შეასრულა ინგლისურ – ქართული ლიტერატურული კონტაქტების კვლევასა და გაღრმავებაში.

ჯენიფერ დონკინი, ეროვნული ბიოგრაფიების კვლევის დროს შეისწავლის უორდროპის კოლექციას და აღნიშნავს, რომ:

“სერ ოლივერ უორდროპისა და მისი დის მარჯორის მიერაა დაარსებული უორდროპის კოლექცია. დის გარდაცვალების შემდეგ ოლივერ უორდროპმა, რომელიც იმთავითვე დაინტერესებული იყო ოქსფორდის უნივერსიტეტში ქართული კვლევის ცენტრის დაარსებით, მთელი კოლექცია ბოდლის ბიბლიოთეკას უძღვნა. მომდევნო წლებში კოლექცია მდიდრდებოდა ოლივერის მიერ შეძენილი თუ უორდროპის ფონდის სხვადასხვა წიგნებითა და ხელნაწერებით... უძველესი ხელნაწერს წარმოადგენს მერვე საუკუნის პალიმფსესტი. მეტერთმეტე

საუკუნის მენოლოგიონი კი უძველესი დასრულებული ხელნაწერია. დაცულია რუსთაველის პოემის "ვეფხისტყაოსნის" ნაბეჭდი ვერსია გამოქვეყნებულია მეფე ვახტანგის მიერ 1712 წელს. აქვე დაცული ორი ხელნაწერიც მეჩვიდმეტე საუკუნით უნდა იყოს დათარიღებული." (დონკინი 2004 : 380)

ნიკო მარი ეხმიანება ეკატერინე ჩერქეზიშვილის მიერ პირველი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის გამოცემას და უორდროპთა ღვაწლზე ამბობს:

"ოქსფორდის უნივერსიტეტში, მარჯორი უორდროპის ფონდის მეურვეობითაა დაბეჭდილი და გამოქვეყნებული ეკატერინე ჩერქეზის მიერ შედგენილი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი. დასავლეთში დაბეჭდილი პირველი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, გამოიცა მარჯორი უორდროპის სამახსოვროდ, რომელმაც თავის ძმასთან სერ ოლივერ უორდროპთან ერთად ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს ქართველური კვლევების დიდი ბრიტანეთის რუკაზე მოსათავსებლად." (Marr 1952 : 81)

ამდენად, ოქსფორდის საცავში 2008 წელს მიკვლეული მრავალფეროვანი (პირადი) კორესპონდენცია გვაწვდის მნიშვნელოვან დამატებით ინფორმაციას უორდროპთა მოღვაწეობის შესახებ და მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინგლისურ-ქართული კონტაქტების შესწავლის დროს.

X. ერთი უცნობი წერილის გამო და მასთან დაკავშირებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია

„ერთი უცნობი წერილისა გამო“ (ლიტ. მუზეუმი) ასეთი სათაურითაა საქართველოს ხელნაწერთა მუზეუმში 172486 შიფრით დაცული ერთ-ერთი წერილი. მასზე არც თარიღია მითითებული და არც ავტორი. წერილი საკმაოდ გაკრული ხელითაა ნაწერი და ბევრი რამ არც იკითხება. ხელნაწერი ასახავს უორდროპების გურიაში მოგზაურობას. წერილის მიხედვით საქართველოში პირველად ჩამოსვლისთანავე ისინი გურიაში წასულან და ისე შეთვისებიან იქაურობას, რომ, იქ ყველაზე მეტ ხანს დარჩენილან. გადმოცემით, მარჯორი გურიელების ოჯახის წევრებს ნათესავებს ეძახდა.

აღნიშნული წერილის საფუძველზე საშუალება მოგვეცა გვესაუბრა ოლივერსა და ქართველი მადლილოსანს, ვენერა ბერიძეს შორის არსებულ ურთიერთობებზე.

წერილის მიხედვით ოლივერს „*ნინოს დიდად განათლებულის დის, ვენერას ცოლად შერთვა სდომებია, მაგრამ ვენერას შინაურებს არ უქნიათ, მაგ სიშორეს როგორ გავათხოვოთ, ხომ სამუდამოდ დაგვკარგებაო.*“ (ლიტ. მუზეუმი) მარჯორი სიკვდილის წინ სთხოვდა თურმე ძმას საქართველოში წასვლას და ვენერას შერთვას, მისი ნივთების ვენერასთვის წაღებას, მაგრამ ოლივერი როცა საქართველოში ჩამოსულა, ვენერა როსტომ წერეთელზე ყოფილა დანიშნული. ოლივერი ინგლისში გაბრუნებულა, თუმცა წამოღებული ნივთები, დის ანდერძისამებრ, ვენერასათვის დაუტოვებია. როდესაც ოლივერს პირველი ვაჟი ეყოლა, საქართველოში მოუწერია - ქალი რომ მყოლოდა, ვენერას დავუძახებდიო.

საინტერესოა ვის მიერაა ეს ხელნაწერი დაწერილი და შეესაბამება იგი სიმართლეს თუ არა?

ოქსფორდში, 2008 წელს მიკვლეული წერილების მოიხედვით, მარჯორი მართლაც ახლოს ყოფილა მამია გურიელის ძმის – ტელემაქეს ოჯახთან. იგი ევროპაში ყოფილა ნამყოფი და რამოდენიმე უცხო ენას ფლობდა. გურიელების ოჯახი სტუმართმოყვარეობით იყო ცნობილი, აქ იკრიბებოდა ინტელიგენცია, დღეში ორ ხარს კლავდნენო. – ასე იხსენებს მამია გურიელის ბიოგრაფიის აღმწერი – გ. ჟრენტი. (ჟღენტი 1961)

ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია გურიელების სახელთან დაკავშირებული კიდევ ერთი წერილი, რაც დაბეჭდილია გაზეთში „საქართველოს ქალი“ (წერეთელი 1973 : 3) იგი თითქმის სრულიად იმეორებს ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერს. ამ სტატიის ავტორი პაპუნა წერეთელია და როგორც თავად მისივე სტატიიდან ირკვევა, მას ეს ინფორმაცია პირადად იუნონა (ნინო) ტელემაკის ასულ გურიელისაგან მიუღია. წერილი ოლივერის პირველი ვაჟის დაბადებისას უნდა დაწრილიყო.

განვილხილოთ ამ წერილთან დაკავშირებული წოგიერთი დეტალი:

აღსანიშნია ისიც, რომ მარჯორი გურიელებთან ვიზიტზე ძალიან მოკლედ საუბრობს თავის ნაშრომში „შენიშვნები 1894-1895 წლებში საქართველოში ვიზიტის შესახებ.“ (უორდროპი 1958) იგი წერს, რომ გურიაში გურიის თავადის რეზიდენციაში გაჩერდა. ახასიათებს გურიელებს და საუბრობს მამია გურიელსა და შემდეგ მის ძმაზე, ტელემაქ გურიელზე. სწორედ მის ოჯახში გაიცნო ვარდო მარჯორიმ, იგი ამ ოჯახის ახლო ნათესავი იყო. ტელემაქეს მეუღლე ნინო ბერიძე იყო ვენერას და.

ვენერა ბერიძე, მამიას ასულის შესახებ ქართულ წყაროებში ძალიან მწირი ინფორმაცია მოიპოვება, ცნობილია ის, რომ იგი იმ დროის აქტიური მოღვაწე ყოფილა, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში ასწავლიდა ფრანგულს. მის შესახებ იმ პერიოდის გაზეთებში არაფერია ნათქვამი, გარდა 1897 წელს „ცნობის ფურცელში“

გამოქვეყნებული ცნობისა რის მიხედვით ნინო და ვენერა ბერიძემ 5 მანეთი შესწირეს რუსთაველის ძეგლისათვის, 5 მანეთი ბარათაშვილის ძეგლისთვის, 5 სალიტერატურო ფონდს, 5 ნოე ჟორდანიასთვის გადასაცემად.

მარჯორის გარდაცვალების შემდეგ (1909 წელი) სერ ოლივერი მართლაც იმყოფებოდა საქართველოში, (1911 წლის, იანვარს). მან ამ დროისათვის ქართული უკვე საკმაოდ კარგად იცოდა, ვინაიდან იგი უკვე თავად აგროვებდა ხელნაწერებს და თითოეული საქართველოსთან დაკავშირებული დეტალი მისთვის დიდი მნიშვნელობას წარმოადგენდა.

ოლივერისა და ვენერას ურთიერთობას უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერის ისტორია. შესაძლოა ვენერა ბერიძე - წერეთლელმა ამჟამად ბოდლიდ ბიბლიოთეკაში დაცული XVII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული „ვეფხისტყაოსანი,“ (MS. Wardrop. d.17) ფერადი მინიატურებითურთ, მარჯორის მიერ გამოტანებული ნივთების სანაცვლოდ უძღვნა. ეს მინიატურები პარმენ მარგველაშვილმა ოქსფორდში ვიზიტის დროს მონახა, გადაიღო მისი ფერადი ვერსია და საქართველოში ჩამოიტანა, 2007 წლის „ვეფხისტყაოსნის“ (Wardrop 2005) გამოცემაში, ჩართო.

აღნიშნული გამოცემის მიხედვით, ოლივერს უკვე სცოდნია ამ წიგნის არსებობის შესახებ. იგი წერეთლების ოჯახში ვიზიტის დროს უნახავს:

“უორდროპებმა რამოდენიმეჯერ გადაშალეს და გადაფურცლეს ეს ხელნაწერი საქართველოში ყოფნის დროს, განსაკუთრებით საჩხერეში, წერეთლების ოჯახში ვიზიტისას. საბოლოოდ, უორდროპის საუკეთესო მეგობრის, ქალბატონი ვენერა ბერიძე – წერეთლის სურვილით ეს ძვირფასი განძი გადაეცა ოლივერ უორდროპს 1911 წლის 8 ოქტომბერს, ბოდლის ბიბლიოთეკისათვის შესაწირად.” (Wardrop 2005 : 6)

ამ მონაკვეთის მიხედვით, მარჯორის უახლოეს მეგობარს-ვენერას აღნიშნული წიგნი თავისი სურვილით საჩუქრად მიუცია ოლივერისათვის მარჯორის სახელობის ბიბლიოთეკისათვის შესაწირად.

2008 წელს ოქსფორდის ქართული კოლექციის კვლევის დროს შესაძლებელი გახდა "ვეფხისტყაოსნის" ამ ვერსიის ორიგინალის ნახვა და წიგნის ისტორიის დადგენა. წიგნს ახლავს ყდაზე დაკრული თეთრი ფურცელი, სადაც მითითებულია, რომ იგი ეკუთვნის თავად გიორგი სიმონის ძე წერეთელს, აქვე მითითებულია თარიღი 1911 წლის 8 ოქტომბერი.

საინტერესოა, თუ წიგნი გრიგოლ წერეთელს ეკუთვნის, მაშინ როგორ გადასცა იგი ვენერამ თავისი სურვილით? ამ კითხვაზე პასუხს თავად წიგნის შიდა ყდაზე დაკრული ინგლისურენოვანი წარწერა გვაძლევს:

"*მ. ვ. ბიბლიოთეკა*

ბოდლის ბიბლიოთეკაში გაგზავნილია 1914 წლის 6 ივლისს.

ბიბლიოთეკაში წარდგენილი 1911 წლის 8 ოქტომბერს საჩხერიდან ბატონი გრიგოლ (სიმონ I ის ვაჟი) წერეთლის მიერ ქალბატონი ვენერა წერეთლის, როსტომ წერეთლის მეუღლის და გურული, ხიდისთაველი სიო (სიმონ) წერეთელის ქალიშვილის საშუალებით. ვენერა იყო უორდროპების ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი.

ხელნაწერი შესაძლოა ეკუთვნის XVIII საუკუნის ადრეულ წლებს. იგი მოიცავს ორმოცდაათ ფერად ფურცელს, რომლიდანაც ზოგიერთი დაზიანებულია." (MS. Wardrop. d.17) (ინგლისური ვერსიისათვის <u>იხილეთ დანართი №15)</u>

ამდენად, წიგნის გადაცემა მხოლოდ ვნერას საშუალებით მომხდარა და არა ვენერას მიერ. წიგნი გრიგოლ წერეთელს გადაუცია და მისი მფლობელიც თავად ყოფილა. როგორც ირკვევა,

წიგნის თავდაპირველი მფლობელი დავით იმერეთის მეფის ქალიშვილის მზეხათუნი ყოფილა.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიას ავსებს მარჯორისა და ოლივერს შორის არსებული პირადი ეპისტოლაურლი მასალა. საინტერესო ინფორმაციაა მოცემული 1911 წლის 20 აპრილს ვენერას მიერ ოლივერისათვის გაგზავნილ წერილში. ვენერა ოლივერს განვლილ დღესასწაულებს ულოცავს და ოლივერის წერილში დასმულ შეკითხვას პასუხობს:

“ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვა რომ განგიზრახავს დიდად ვიხარით და მოველით მოუთმენლად გავიგოთ თქვენი ქვეყნის სჯა ამ ჩვენი დიდების შესახებ. რომელ ხელნაწერს თხოულობ ოლივერ ვეფხისტყაოსანს ჩვენი ოჯახისას თუ რამე სხვას. თუ იმ ვეფხისტყაოსანზე მწერ დანამდვილებით ვეცდები გამოგიგზავნო მხოლოდ სანახავად, თორემ ის შეწირული აქვთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თუ მუზეუმს არ ვიცი, თუ სულით გინდა რომ მანდ იყოს ვეფხისტყაოსანი ხელით – ნაწერი მაშინ ვეცდები სხვა ვიშოვო, მომწერე კარგათ რომ მივხვდე და ყოველ ღონეს ვიხმარ რომ ვიშოვო....“ (MS. Wardr. d. 38/7)

ბოდლის საცავში ვიხილეთ ასევე ვენერას მიერ 1911 წლის 3. სექტემბრით დათარიღებული, საჩხერიდან მიწერილი წერილი:

„...რაც შეეხება იმას რომ მწერ ძველი ნაწერების შესახებ, რასაკვირველია მეც და სხვა შეგნებული ვინც არის ვცდილობთ რომ არ დაიბნეს. ვეძებთ, მაგრამ მაინც ბევრი იკარგება და უფრო ბევრი რუსებს უვარდება ხელში. ოლივერ, როსტომას ბიძაშვილს, რომელიც ჩვენს გვერდით ცხოვრობს, თუ გახსოვთ თითქმის ერთ ეზოში ვდგავართ, ჩვენი სახლიდან მათი ძლიერ ახლოსაა, რომელსაც ჩვენ გიგას ვეძახით და ისე კი სახელად გრიგოლ სიმონის ძე წერეთელია, სურს გამოგიგზავნოს ოქსფორდში მარჯორის ბიბლიოთეკას შესწიროს ხელით ნაწერი სურათებიანი ვეფხისტყაოსანი და არ ვიცი თუ როგორ

გამოვაგზავნო, გთხოვ კარგათ მომწერო რა რიგათ გამოვაგზავნო რომ არ დაიკარგოს; მე ასე ვფიქრობ ჯერ შენ გამოგიგზავნით და შენ თვითონ მერე იქ გადასცემ...“ (MS. Wardr. d.38/7)

აქ უკვე ირკვევა ვის მიერ და როგორ აღმოჩნდა ერთ-ერთი ქართული საგანძური 1911 წლის ოქტომბერს ოქსფორდში, მარჯორი უორდროპის წიგნების კოლექციაში. აქვე მიგნებული წერილების მიხედვით წიგნი ნამდვილად თავად გროგოლ წერეთელს შეუწირავს ბიბლიოთეკისათვის, რადაგან ჩაუთვლია, რომ ამაზე უკეთეს პატრონს ამ წიგნს ვერ მოუნახავდა.

აქვე ისმის კითხვა: სინამდვილეს შეესაბამება თუ არა ისტორია ვენერასა და ოლივერის სიყვარულის შესახებ? მათი წერილების მიხედვით ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა ცოტა რთულია, აქ ხშირადა გამეორებული ის, რომ ისინი ახლო მეგობრები იყვნენ.

1912 წლის 12 იანვარს ნიცა ბაგრატიონ - წერეთელის მიერ დაწერილ წერილში ვკითხულობთ:

„ერთი ცუდი ამბავი უნდა გაგაგებინოთ: ჩვენი საყვარელი ვენერა (ბერიძე – წერეთლისა, გ.შ.) გარდაიცვალა. მისმა მეუღლემ როსტომმა (წერეთელმა) მთხოვა თქვენთვის შემეტყობინებინა ეს ამბავი... ყველა ძალიან შეწუხებულები ვართ... ეს ამბავი თქვენც ალბათ ძალიან გეწყინებათ, თქვენ ხომ ის დიდი პატივს გცემდათ.” (MS. Wardr. c.27)

აშკარაა, რომ ვენერა და ოლივერი საკმაოდ ახლოს ყოფილან ერთმანეთთან და ეს ურთიერთობა არავისათვის ყოფილა დამალული. ოქსფორდის უორდროპის კოლექციაში არსებული წერილებიდან მოცულობითა თუ რიცხვით, ყველაზე მეტი ვარდოს და ოლივერის წერილებია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ წერილში არაა საუბარი მათ შორის არსებულ სხვა გრძნობის შესახებ გარდა მეგობრობისა და ისინი ერთმანეთს ხანდახან “თქვენობით” მიმართავენ. თვალშისაცემია ისიც, რომ გაგზავნილი წერილები დიდი სითბოთი და სიყვარულითაა სავსე.

„10 დეკემბერი 1910

ძვირფასო ოლივერ,

ახლა მოსული იქნები პარაკლისიდან, როგორ იმგზავრე? ხომ სრულიად კარგად ხართ ახლა? წუხელის სიზმარში გიხილეთ ვითომ ისევ ჩვენთან დაბრუნდით...“ (MS. Wardr. d.38/7)

ყოველი ვენერას მიერ მარჯორისადმი მიწერილი წერილი მთავრდება ოლივერის მოკითხვით: „ბატონ ოლივერს უგულითადესი მოკითხვა ჩემს მაგიერ.” (MS Wardr.d. 26/2) ხოლო ოლივერისადმი მიწერილი წერილები კი შემდეგნაირად: - „მარად თქვენი მეგობარი.“ (MS. Wardr. d.38/7)

მარჯორი მუდამ ეპატიჟება ვენერას ინგლისში, მაგრამ ვენერა საქართველოში არსებული მდგომარეობის გამო ვერ ახერხებს ჩასვლას. მარჯორის დაჟინებული თხოვნით დაიწყო ვარდომ ინგლისურის სწავლა. იგი, როგორც წერილებიდან ჩანს, მუდამ უგზავნიდა ინგლისურ გაზეთებსა და ჟურნალებს, ინგლისურის სახელმძვანელოებს.

„*საყვარელო მარჯორი!*

დიდსა და უდიდეს მადლობას გიძღვნი ბარათისა და წიგნისათვის, რომელიც მივიღე და დიდათ მასიამოვნა, როგორც საჩუქარმა, აგრეთვე შენმა ჩემდამი ხსოვნამ. საკვირველია, რაკი შენ აქებ უთუოდ კარგი იქნება ეს წიგნი. ე.ი. ოთხრობა, მაგრამ მე რომ მაგის გადათარგმნა შევძლო, მანამდის ბევრი შრომა დამჭირდება, ჯერ ვცდილო მხოლოდ ვიშრომო და შევისწავლო ინგლისური... დიდათ გმადლობ, ჩემო საყვარელო მარჯორი, დაპატიჟებისათვის, გეფიცები, რომ ჩემთვისაც არ ვიცი რა იქნება ისეთი სანატრელი, როგროც თქვენი ნახვა და თქვენთან დრიოს ტარება, მაგრამ ამ წელიწადს ისეთი ცუდი დრო შემხვდა, რომ ჩემდა საუბედუროდ ვერ ვისრულებ ამ ჩემს სულითადს სურვილს, ვეცდები მომავალში შევისრულო ეს ჩემი წადილი....“ (MS Wardr.d. 26/2)

ამდენად, დანამდვილებით იმისი დასკვნა, რომ მათ ერთმანეთი უყვარდათ, ძნელი დასასაბუთებელია. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ოლივერი სწორედ ქართველი ქალისადმი სიყვარულმა დააკავშირა საქართველოსთან და სწორედ მანდილოსნიდამი სიყვარული იქცა მისი ამ მცირე ქვეყნით აღტაცების წყაროდ.

***

მარჯორის სიცოცხლის ბოლომდე უნდოდა კიდევ ერთხელ წვეოდა საქართველოს, თუმცა იგი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოახერხა სტუმრებოდა ნანატრ ქვეყანას. 1909 წლით დათარიღებულ ერთ - ერთ წერილში ბუქარესტიდან წერს ოლღა ჭავჭავაძეს:

„მეც ღმერთსა ვთხოვ ყოველთვის მაღირსოს თქვენი ნახვა და საქართველოში წასვლა... მაგრამ ჩემი ბედში არ წერილია, ცამეტი წელიწადია არ ვყოფილვარ საქართველოში, ჩემი გული სიყვარულით მისკენ ბრუნდება...“ (MS. Wardr. d.26/4)

ამ დროს მარჯორი უკვე ძალიან ავად იყო. იგი ბუქარესტში გარდაიცვალა იმავე წელს. დაკრძალვის ცერემონიალს ოთხი ქართველი ესწრებოდა: *„როგორც ახლახან დავადგინეთ, ჩერქეზიშვილის, ანდრონიკაშვილის და ჩხენკელის გარდა 1909 წელს ინგლისში მარჯორი უორდროპის დასაფლავებას დასწრებია დავით ღამბაშიძე.“* (ჩვენი მწერლობა 2001 : 4) - წერს გაზეთი *ჩვენი მწერლობა.*

გადმოცემით, მარჯორის გარდაცვალებამდე უთქვამს - თუ საქრთველოდან ჩამოტანილ ყვავილებს მოიმიტანენ დაკრძალვაზე, თან ჩამაყოლეთო. მართლაც, მის დაკრძალვაზე ოთხი ქართველი წარმომადგენლის მიერ მიტანილი მხოლოდ ერთადერთი ყვავილების გვირგვინი ჩაუყოლებიათ თან.

თედო სახოკიას შეუტყვია, რომ დაავადებულ მარჯორის სიკვდილის სარეცელზე მწოლიარეს უკანასკნელ წამებში ენა ჩავარდნოდა, ხელით დაეხატა სიტყვა საქართველო - „გეორგია“.

ქართველმა საზოგადოებამ არ დაუკარგა და-ძმას გაწეული ღვაწლი და სიცოცხლეშივე დიდი პატივი მიაგო.

საქართველოში ყოფნისას მარჯორის თავის ტკივილები ჰქონია. ქართველების გადამეტებული ყურადღებით აღფრთოვანებული მარჯორი წერს: “*ყოველი ქართველი, ექიმი, თუ არაექიმი ისე ზრუნავს ჩვენს კეთილდღეობაზე, რომ ეს ფრიად გასაოცარია.*” (Ms. eng. C. 6824)

1895 წელს საქართველოში ჩამოსულ მარჯორის საპატივცემულოდ გამართულ საღამოზე კოტე ბაქრაძე ულამაზესი სიტყვებით მიმართავს ინგლისელ ქალს. (უორდროპის კოლექციაში ამ გამოსვლის ბაქრაძისეული ხელნაწერი ინახება)

“*ქალბატონო ვარდროპ,*

ჩვენ ხალხ სწამს, რომ ეს ჩვენი პატარა ქვეყანა წილად ხვდა ღვთისმშობელს, იმ დროს, როცა მოციქულები იყოფდნენ თავიანთ შორის მაშინდელ ცნობილ ქვეყნებს ქრისტეს სჯულის გასავრცელებლად, მან მიიღო ჩვენი სამშობლი თავისი მფარველობის ქვეშ და დიდხანს არ მოუკლია მისთვინ თავისი მოწყალე თვალი... იშვიათად შეხვდებით, რომ ქალს ისეთი დიდი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონოდეს რომელიმე ხალხის ისტორიაში, როგორც ჰქონდა ჩვენსაში; საუკეთესო წამები ჩვენი ისტორიისა დაკავშირებულია უთუოდ ქალის სახელთან: მოციქულთ თანასწორს შემოაქვს საქართველოში ქრისტეს სახელი...“ (MS.Wardr. d. 20)

მოხსენებაში ასევე ნახსენებია შუშანიკისა და ქეთევანის, თამარის და თითოეული ქართველი დედის ღვაწლი. მარჯორი გათანაბრებულია უდიდეს ქართველ მოღვაწეებთან.

“შესაძლოა იმ კურთხეულმა თქვენ აგარჩიათ თავის მფარველბის გამოსაჩენად; შეიძლება თქვენ, სუსტ ადამიანს, დაგავალათ ის დიდი

საქმე, რომელიც ჩვენ ჯერ არ შეგვისრულებია, საიდან სად ჩაუგდია თქვენს გულს ნაპერწკალი და აღუძრავს მასში ჩვენდამი სიმპატია და სიყვარული? საიდან სად მოგიმართავთ თქვენ ჩვენსკენ, რომ გაგვიცნოთ და შეგვისწავლოთ რიგიანად. და შემდეგ გააცნათ თავი ევროპას, აღძრათ ჩვენდამი სიმპატია რომ იმით იქნება მივიწყებული დროებით ერი გამოირკვეს წყვდიადიდან... ღმერთმა ქნას შეგესრულებინოთ ეს დიდი და სამძიმო საქმე პირნათლად...“ (MS.Wardr. d. 20)

მარჯორის ღვაწლი ქართველთა მიერ მის სიცოცხლეშივე დაფასდა. მარჯორი ქართველების შესახებ საუბრისას ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ქართველი ქალი მებრძოლი სულითაა აღსავსე და დიდ როლს ასრულებს საქართველოს სიტორიაში, ქართველი საზოგადოება მასაც იმ ქართველ მანდილოსანთა გვერდით ახსენებს, რომლებიც წმინდანებად არიან შერაცხულები. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები ქართველი საზოგადო მოღვაწეები მარჯორის არაერთხელ ადარებენ წმინდა ნინოსა თუ თამარს და მასში დიდ იმედსა და ნუგეშს ხედავენ.

სულით მაღალო და გულით
პატიოსანო ცამდისა,
ვინც გაგაცნო საქართველო,
შეგაყვარა-შეგათვისა,
ვინც ეგ სათნო და ღვთიური
თქვენი თავი მოგვივლინა,
მას ვევედროთ სულით, გულით.
გრწამდეს ქალო, ყოველთვინა,
რომ გვიცოცხლოს თქვენი თავი
და თქვენი ძმა ოლივერი,
რომ ორნივე მხიარულათ
იყვნეთ მრავალ-ჟამიერი.” ლადო იაშვილი

(MS. Wardr. d. 20 (25)

მარჯორი უორდროპის ქართულ კოლექციაში სხვადასხვა ქართველი მოღვაწის მიერ ათამდე ლექსია მარჯორისადმი მიძღვნილი, სადაც თითქმის ყველგან მარჯორის ღვთიურ ძალაზეა საუბარი. ქართველი ხალხი მას თითქმის ყველგან უფლისგან გამოგზავნილად მიიჩნევს.

ლადო იოსების ძე იაშვილი, სოფელ ქალას გამართულ სადილზე სადღეგრძელოდ თქმული ლექსი:

„ციურსა ნიჭსა კეთილსა
მუდამ ნათელი ჰფენია,
ნათელსა, ბროლის ნათალსა,
ბაგე სიბრძნითა ჰშვენია.
მისნი სპეტაკნი საქმენი
მნათობთა გარდაჰფენია!
ვარდი, ზამბახი ყოველთვის
მისგან ყოველგან ჰფენია!
დღეს თაიგული შემკული
ჩვენს შორის გამოგვრევია!“

(MS.Wardr. d. 20)

ქართველ ხალხს ჯერ არ დავიწყებია მარჯორის ღვაწლი. 2007 წელს საქართველოს კულტურულ და ბიზნეს ურთიერთობების საერთაშორისო ცენტრმა, ბრიტანეთსა და საქართველოს შორის კავშირის გაღრმავების მიზნით გახსნა მარჯორი უორდროპის პარკი. „ამ პარკის გახსნის მიზანი იმ ადამიანთა, იმ ხალხის ხსოვნაა, ვინც პირველებმა დაამყარეს კავშირი ამ ორ ქვეყანას შორის – მარჯორისა და ოლივერის.“ (ქიციშვილი 1984)

რეჟისორმა გიორგი თუმანიშვილმა ფილმიც კი გადაიღო სახელწოდებით „მარჯორი და ოლივერი“. როგროც გავარკვიეთ, ფილმი დღეს ინახება საქართველოს პირველი არხის არქივში და მისი ნახვა სამწუხაროდ ამჟამად შეუძლებელია სპეციალური დანადგარების გარეშე. რეჟისორის მეუღლის თქმით - ამ ფილმის გადაღების დროს აღმოჩნდა რომ ოლივერი და მარჯორი ისევ ახსოვთ ჩვენს ქვეყანაში, მაშინ, როცა თავის ქვეყანაში მისი ვინაობა ძალიან ცოტამ თუ იცის.
ამაში ჩვენ თავად დავრწმუნდი ოქსფორდში სამეცნიერო მივლინების დროს. მთელ ბიბლიოთეკაში არ არსებობს თანამშრომელი, ვინც ერკვევა ქართულ მასალებში, რაიმე იცის საქარველოს შესახებ და ვინც შეიძლება რაიმე მიმართულება მოგვცეს ქართული მასალების ძებნის დროს.

XI. მთარგმნელის მიერ შერჩეული თარგმნის სტილი

ყოველ მთარგმნელს საკუთარი სტილი, ხელწერა აქვს შერჩეული დედნის თარგმნისათვის. მთარგმნელის მიერ არჩეული მთარგმნელობითი სტილის დადგენა საკმაოდ მნიშვნელოვანია ასევე მარჯორისეული თარგმანების განხილვის დროს. მთარგმნელობითი სტილი, ია ზეინაბიშვილის თქმით არის მთარგმნელობით ტრანსფორმაციათა შეჩევის და კომბინაციის ის უპირატესი პრინციპი, რომლითაც მთარგმნელი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ხელმძღვანელობს თარგმნის პროცესში მთარგმნელობითი კომუნიკაციური ეკვივალენტურობის მიღწევის მიზნით. (ზეინაბიშვილი 2004)

მარჯორისეული თარგმანის პრინციპების შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მისი პირადი წერილები. აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილია მარჯორის მიერ შერჩეული თარგმნის სტილი ქართული ნაწარმოებების თარგმნის დროს, რაც ძირითადად ეყრდნობა თავად მის მიერვე დაწერილ წერილებს თუ თარგმანებს.

თარგმანის მონოლითურობის მისაღწევად მარჯორისათვის მნიშვნელოვანია **დედნის შესწავლის საკითხი**. ქართული მწერლობით დაინტერესებულმა მარჯორიმ, ცხადია, ბევრი რამ იცოდა ილიას შესახებ. იგი ქართული ენის დასახვეწად და ავტორის გასაცნობად თავად ჩამოვიდა საქართველოში. მოცემული ნაწამროებების თარგმნამდე მთარგმნელი იცნობდა არა მხოლოდ ავტორს, მის, როგორც შემოქმედის წარმომქმნელ ლიტერატურულ პროცესს, არამედ ასევე მშობლიური ლიტერატურის მთელ საუნჯეს.

მარჯორიმ განსაკუთრებით დიდი ხანი მოანდომა „ვეფხისტყაოსანს“ დედნის შესწავლას. იგი დაახლოებით თვრამეტი წელი თარგმნიდა პოემას და წერილებში მაინც უკმაყოფილებას

გამოხატავდა მის მიმართ, რამდენჯერმე მიბრუნებია და ხელახლა უთარგმნია იგი. თავად მარჯორისეული თარგმანი გამოგვადგება იმის საჩვენებლად, თუ როგორ სწავლობდა იგი თითოეულ სიტყვას, სხვადასხვა ენებზე ეძებდა ნებისმიერ, პოემასთან დაკავშირებულ, მასალას და იყენებდა დედანში ჩადებული შინაარსის სწორად გაგებისათვის. აღსანიშნია ისიც, რომ მთარგმნელს სქოლიოებში დართული აქვს განმარტებული ადგილები და მითითებული ჰყავს მათი ავტორები, ვინც კი დახამრება გაუწია მას, ქართველ მეცნიერთათვისაც კი, საეჭვო ადგილების განმარტებაში.

პოემის თარგმანში კარგად ჩანს მთარგმნელის ზოგადი განათლება. „ვეფხისტყაოსნის“ 893-ე სტროფის დასასრულს იგი პარალელებს ავლებს მეცამეტე საუკუნის გერმანელ მწერალთან ვოლფგაგნგ ვონ აიშენბახის „პარცივალთან“, სადაც მას ეს ეპოზოდი სხვაგვარად აქვს აღწერილი; შარლოტა ბრონტეს „შირლისთან“, სადაც შირლის მისი შეყვარებული ხშირად უწოდებდა პანტერას, ლეოპარდს.[1]

აღსანიშნავია მარჯორის მიერ მკითხველისათვის განმარტებული ადგილები, სადაც კარგად ჩანს ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის საფუძვლიანი ცოდნა: “ქართულ მითოლოგიაში მზე ქალი ღვთაებაა, მთვარე კი მამაკაცი.” (Rusthaveli 2005 : 24)

პოემას დამატების სახით დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურა, სადაც შედის: თარგმანი ნიკო მარის მიერ რუსულად დაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ კვლევისა (*An English rendering of the Russian Translation by Professor Marr of the introductory quatrains of the “Man in the Panther's skin”*) და ასევე ბიბლიოგრაფია 84 წიგნისა, პოემის

———————————

1. (Rustaveli's contemporary, Wolfram von Eschenbach, in Parzival, vi. 80, has an episode different in this character, but vaguely suggestive of the psychological aspect of this passage. Cf. Gulak, p 53. Charlotte Bronte's Shirley is repeatedly described by her lover as „pantheress,“ „leopardess“ (chap, xxxvi). Cf. Rust'haveli, 26,85.) (Rusthaveli 2005: 152)

შესახებ დაწერილი სხვადასხვა ენაზე შექმნილი იმ მასალებისა, რაც მთარგმნელმა შეაგროვა და გამოიყენა თარგმნის დროს.

იგი მეცნიერულად იკვლევს დედანს, სწავლობს თითოეულ სიტყვას და მკითხველს სწორ მიმართულებას აძლევს.

მარჯორი უორდროპი თარგმანის შერჩევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვინაიდან ესმის, რომ კარგად თარგმნილი დედანი **ლიტერატურის გამდიდრების წყაროა.** მარჯორი ინგლისელი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქართული ლიტერატურა მართალია არაა ცნობილი, მაგრამ იგი საკმაოდ მდიდარია და ამასთან დიდი ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელი. ამიტომაც ცდილობს ქართული ლიტერატურის თითქმის ყველა პერიოდში შექმნილი ნაწარმოების ინგლისურ ენაზე გადატანას, რადგან იგი *„ყოველი მწერლობისთვის სასარგებლოა.“*

მარჯორი უორდოპი *განდეგილის* წინასიტყვაობაში წერს:

„მაშინ, როცა მრავალნი ინგლისელნი სპარსულ ლიტერატურას ეტანებიან, ცოტას ნახავთ, რომ ვინმემ ქართული ლიტერატურის არსებობაც იცოდეს. საქართველო სწორედ ყურადღების ღირსია. „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის მე XII საუკუნის ეპოსის პოეტისა სულაც არ ჩამოუვარდება შაჰნამეს...“ (თოფურიძე 1957)

მარჯორის მიერ ქართული მხატვრული ლიტერატურის, ფოლკლორული თუ ეთნოგრაფიული ნაწარმოების თარგმნის ძირითადი მიზანი ინგლისში ქართული ლიტერატურისა და კულტურის პოპულარიზაციაა. თანამემამულეთათვის იმ ესთეტიკური სიამოვნების მინიჭება, რაც თავად განიცადა ქართული ენის დაუფლების და ქართულ ენაზე დაწერილი ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ. მთარგმნელი “ვეფხისტყაოსნის” თარგმანის შესახებ ამბობს:

“წარსული ორი წლის განმავლობაში მრავალი დრო მოვანდომე ქართულ კლასიკურ ლიტერატურას და განსაკუთრებით მეთორმეტე საუკუნის პოეტის შოტა რუსთაველი შესწავლას. მე დიდი სურვილი

მაქვს მალე გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც მე ამ წიგნმა მაგრძნობინა." (Wardrop 1912)

მარჯორის თანამედროვე განიხილავს მის ნაშრომებს და B ს ფსევდონიმით აქვეყნებს რეცენზიას "ვეფხისტყაოსნის" თარგმანის შესახებ. მოცემული მასალა გვაწვდის ინფორმაციას მარჯორის მიერ შერჩეული თარგმანის სტილის შესახებ:

"მის ვარდროპი ცდილობდა "ვეფხისტყაოსნის" ენა, ორიგინალობა და განსაკუთრებული სული გადაეტანა ინგლისურ ენაზედ, მისი მიზანი "ვეფხისტყაოსნის" სიტყვებისა და ფრაზების თარგმნა კი არ იყო, არამედ "ვეფხისტყაოსნის" შექმნა ინგლისურად, როგორც განსვენებულმა ივანე მაჩაბელმა შექსპირი შექმნა ქართულად." (B 1909 : 10)

ილიასადმი მიწერილი წერილის მიხედვით მთარგმნელი მხარს უჭერს **ექვივალენტური თარგმანის პრინციპს.** მას ესმის, რომ თარგმნის დროს დედნის ბევრი მშვენიერება იკარგება.

„ვსცადე სიტყვითი სიტყვიერად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს, საჭიროდ დაკარგული უცხო თარგმანში." (ოძელი 1998 : 219)

მარჯორისთვის მნიშვნელოვანია თითოეული ფრაზის ფორმისა და შინაარსის დაცვა. მთარგმნელი მუდამ უკმაყოფილოა თავისი შრომის შედეგით, თუმცა, მის მიერ ნათარგმნი რუსთველის პოემა საუკეთესოა ინგლისურ თარგმანებს შორის. 1894 წლის 14 ნოემბერს „ვეფხისტყაოსნის" თარგმანის შესახებ წერს:

„თუმცა მრცხვენია ჩემი ცუდად შესრულებული თარგმანის გაგზავნა. მე გადმოვწერე 40 სტრიქონი, ის, რაც დღეს უნდა გამოგიგზავნო, მაგრამ წერის დროს ვიგრძენი თარგმანში გაპარული უზუსტობანი. ინგლისური ტექსტი ძალიან უფერული და უშნოა, მაგრამ ვფიქრობ, ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან

უპირველესად მე ა ზრის სწორად გადმოცემას ვაძლევ უპირატესობას.“ (ოძელი 1998 : 217)

მარჯორის ქართული მდიდარ ენად მიაჩნია, ისე, რომ ხანდახან იძულებულია გამოტოვოს დედნის ზოგიერთი დეტალი ინგლისურში არსებული სიტყვათა მარაგის სიმცირის გამო.

საინტერესოა როგორ აფასებს მარჯორისეულ თარგმნილ ზღაპრებს და შერჩეულ თარგმნის სტილს მარჯორის ეპოქის ინგლისური პრესა. გაზეთი „ივერიის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ იგი იშველიებს ერთი ინგლისური გაზეთის აზრს მის მარჯორი ვარდროპის მიერ ნათარგმნი ქართული არაკების შესახებ.

“*მის მარჯორი ვარდროპსაო, - სწერს გაზეთი: მშვენიერი ენა აქვს, მისი ენა სწორედ ზღაპრებისათვის არის მოწყობილი. იგი წერს ინგლისურის ძველის აქეთ მის ენით, მაგრამ არა ჰხმარობს იმ ფრაზებს, რომელნიც საღმრთო წერილშია, რადგანაც ბევრს ეწყინებოდა იმ ფრაზების ამოკითხვა ზღაპარში, რომელიც საღმრთო წერილშია... თარგმანის ენა ჰხდის სასიამოვნოდ ზღაპრებს ყველასათვის რომელსაც-კი უყვარს ლიტერატურა ბავშვისა.*” (ივერია 1894)

ივერიის ქართველი კორესპონდენტი, რომელიც ინმანის სახელით ბეჭდავს სტატიებს „ივერიაში“ წერს:

“*დასასრულ ამისა მის ვარდროპ განაგრძობს: „მე ვწუხვარ, რომ ჩემი თარგმანი დედანთან შორს არის, მაგრამ თუ მხედველობაში იქონიებთ ენის უცოდინარობას სიძნელეს, და იდიომებს, მაშინ ამას მაპატიებთ... ეს სიტყვები ალბათ უნდა მიეწეროს ავტორის კრძალულებას, რადგანაც ჩვენ შევუდარეთ თარგმანი დედანს: თარგმანი ძალიან ახლოა დედანთან, ენა მშვენიერია და ჰარმონია დაცულია.*” (ივერია 1896)

მთარგმნელი მხატვრული ლიტერატურის თარგმნის დროს ძირითადად ექვივალენტური თარგმანის პრინციპებს ეყრდნობა. იგი

ზედმიწევნით გადასცემს მკითხველს ავტორის ჩანაფიქრს, იკვლევს სიტყვათა მნიშვნელობებს და ეძებს ზუსტ ექვივალენტებს.

მარჯორიმ თავის მიზანს მიაღწია კიდეც, ქართული კულტურა გააცნო უცხოელ საზოგადოებას, მისმა თარგმანებმა გამოძახილი ჰპოვა სხვადასხვა უცხოურ გაზეთებში.

ინგლისში მცხოვრები ქართველი კორესპონდენტები ხშირად აქვეყნებენ მოძიებულ ინფორმაციას მარჯორი უორდროპის თარგმანების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მარჯორის ამ თარგმანთან დაკავშირებული მორფილისეული შეფასებები:

“მრავალმა მოგზაურმა აგვირწერაო, - ამბობს პროფესორი მორფილი (“ეკლდემი,”4 აგვისტო, 1894) კავკასია და იმის მკვიდრთა მშვენიერება. მაგრამ ეხლაც კი იმ ეროვნებათა სხვადასხვა ენისა ჩვენში არა იციან რა ბროსეს, ცაგარელის და სხვათა შრომების მიუხედავად; ამ ენათა შორის მხოლოდ ქართულს ენას და მის შტოებს აქვთ ლიტერატიურა... ძალიან ბედნიერი აზრი დაჰბადებია მისს ვარდროპს, მოუწადინებია რა ჩვენი ამ ნაკლებ ცნობილ ქვეყნის ფოლკლორთან, ზრაპრებთან და საერო ლიტერატურასთან გაცნობა.” (ვაზიანი 1894, №198)

გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს ინფორმაციას ლონდონის პოლიტიკურ-ისტორიული ჟურნალის “შაბათის მიმოხილვის” სტატიის შესახებ:

„ჯერ არც ერთხელ არ გამოცემულა წიგნი ასეთის მოხერხებით როგორიც არის მისს მარჯორი უორდროპის “ქართული არაკები”, გამოცემული ალფრედ ნუტის მიერ, რომლის გამოცემულ წიგნებსაც სწორედ რომ ლამაზად ეწოდება “გრიმების ბიბლიოთეკა”... მრჯორი უორდროპს ქართულს საერო სიტყვიერებაში ძვირფასი საუნჯე უპოვნია და თავისს წიგნში მიუქცევია, რაც ერთადერთი ახალი ამბავია ინგლისელ მკითხველთათვის.” (ივერია 1894)

ინმანი, (ივანე მაჭავარიანი) განიხილავს ბრიტანულ გაზეთში, (Athenaeum, 9 March, #3515, 1895) დაბეჭდილ სტატიას, (სადაც მიმოხილულია საქართველოს ისტორია ძალიან მოკლედ) და ივერიაში აქვეყნებს თავის რეცენზიას მასთან დაკავშირებით: "*მისს ვარდროპი პირველია, ვინც დაჰბადა აზრი, რომ სახალხი ზღაპრები დიდად საინტერესოა და იმისს წიგნს ვინც წაიკითხავს, მართლაც გულში მადლობა ალეძვრება მისდამი.*"(ინმანი 1895)

"ივერიაში" დაიბეჭდა ასევე რეცენზიები გამოქვეყნებული სხვადასხვა ბრიტანულ, (Athen, Daily Chronicle, Saturday Review,) რუსულ (ივერია 1894, №227) თუ ამერიკულ (" Nation 27" ივერია 1895, №20) გაზეთებში. მისი თარგმანები ხშირად ყოფილა არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი კორესპონდენტების განხილვის და შეფასების საგანი.

ბოდლის ბიბლიოთეკაში 2008 წელს მიკვლეული მარჯორისეული თარგმანების სტილი საკმაოდ განსხვავდება ილიას ნაწარმოებებისა თუ სხვა თარგმანებისაგან. სტილი განპირობებულია ძირითადად თარგმნის შესრულების მიზნით. მათი მიზანი არაა მკითხველისათვის ესთეტიკური სიამოვნების მინიჭება, ან ქართული კულტურის საზღვარგრეთ პოპულარიზაცია და ისინი არაა ფართო მასებისათვის განკუთვნილი. მთარგმნელი აქ უმთავრესად არსებული რეალობის ადრესანტისთვის სწორად დახატვას ისახავდა მიზნად, ამიტომაც, ამ თარგმანების დედანთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ მარჯორი საკმაოდ ახლოსაა დედანთან, იგი გვაძლევს დედნის ადექვატურ თარგმანს. მან იცის, რომ თითოეულ დეტალს, მცირე მინიშნებას, ინფორმაციას, თვით ინტონაციასაც კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადრესანტამდე არსებული რეალობის დაუმახინჯებლად მიწოდებაში.

იგი ცდილობს სათარგმნი დედნის ზედმიწევნით გადატანას, რისთვისაც მას მოძიებული და შესწავლილი აქვს თარგმანთან დაკავშირებული საკმაოდ დიდი ინფორმაცია, საქართველოდან

მიღებული გაზეთების საშუალებით. ვფიქრობთ, რომ მარჯორის მიერ შესრულებულ ყოველ თარგმანს მისი საკუთარი წერილი უნდა ჰქონოდა დართული, სადაც ნაჩვენები უნდა ყოფილიყო მის მიერ ღრმად განცდილი და კარგად შესწავლილ-დამუშავებული ცნობები, მისი შეხედულებები, პოზიცია თუ დამოკიდებულება არსებული რეალობისადმი.

თუ კი მთარგმნელი მხატვრული ლიტერატურის თარგმანს შედარებით დიდ დროს ანდომებს, საგაზეთო სტატიებს დაუყოვნებლივ თარგმნის, ქართველ მეგობართათვის დასახმარების მოპოვების მიზნით.

განსხვავება შეიმჩნევა ასევე თვით 1900-1909 წლებში შესრულებულ თარგმანებში. თუკი ერთის მხრივ თარგმანი ახლოსაა დედანთან, მეორეს მხრივ, მარჯორი თარგმნის მხოლოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას ამა თუ იმ სტატიიდან. იგი იღებს საჭირო ინფორმაციას და მათ თავის საკუთარ სარჩულში ახვევს.

აღსანიშნია ისიც, რომ თუკი მარჯორი ქართული მხატვრული ლიტერატურის თარგმნისას დედანს და მასთან დაკავშირებულ ისტორიას საფუძვლიანად სწავლობს და იკვლევს, საგაზეთო სტატების თარგმანებისადმი ნაკლებ კრიტიკული რჩება. მართალია, რომ იგი საკუთარ წერილშიც კი სრულ ნდობას უცხადებს აღნიშნულ სტატიებს, და ქართველი მეგობრების მიერ დაწერილ წერილებს, მაგრამ იგი ხომ მხოლოდ მთარგმნელია ამ შემთხვევაში და არა თანაავტორი. მისი მიზანი ინფორმაციის თარგმნა და ადრესატამდე მიტანაა.

მარჯორისეული შეხედულებები განსაკუთრებით კარგად ჩანს მის მიერ სხვადასხვა ქართული ჟურნალიდან ამოკრებილ სტატიებში. მსგავსი სტატიები არც თუ ისე ახლოსაა დედანთან, მათი მიზანი უმთავრესად მკითხველისათვის ზოგადი ინფორმაციის მიწოდებაა. ასეთ წერილებს ახლავს მთარგნელისეული დიდი ემოცია და მასში ხშირადაა ჩართული მისეული კომენტარები.

ერთ-ერთი ასეთი წერილია *Memoir concerning Russian atrocities in Georgia in 1906,* (MS.Wardr. C. 2) სადაც იგი დაუფარავად ამხელს რუსული პოლიტიკის თვითნებობას საქართველოში, იზიარებს რა მარჯორი ქართველების ტანჯვას, როგორც მანდილოსანი თავად მიმართავს რუს ქალებს, რომ მცირეოდენი თანაგრძნობა გამოიჩინონ ქართველი და-ძმების მიმართ.

ამდენად, 2008 წელს ბოდლის ბიბლიოთეკაში მიკვლეული მარჯორის მიერ შესრულებული თარგმანების სათარგმნი სტილი განსხვავდება მის უკვე კარგად ცნობილი თარგმანებისაგან და ძირითადი მიზეზი კი თარგმანის შესრულების მიზანია.

XII. ორიოდე სიტყვა მარჯორისეული თარგმანების აქამდე ჩრდილქვეშ ყოფნის მიზეზებზე

აღნიშნული ნაშრომის მიზანი ასევე მოგვიანებით აღმოჩენილი თარგმანების აქამდე ჩრდილქვეშ ყოფნის მიზეზის კვლევაა, იმისი დადგენა, თუ რატომ დარჩა ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი თარგმანები ქართველი საზოგადოებისათვის უცნობი და შეუსწავლელი.

